თანამედროვე ჯუჯგაჩოჯი პოეზიის ანთოლოგია

ბოლოგა-
რიულიდან
თარგმნა
მუხრან
მაჭავარიანმა

თბილისი „მერანი"
1989

84 (4ბლ) 7—5
თ.295

ეს ლექსები, ნახევრად მაინც, სისხლნი და ხორცნი არიან ჩემნი. სამ წელიწადზე მეტსანს ვგალშაედი ქართულ სიტყვას, რათა ცოტათი მაინც გამეჩემებინა სულისკვეთებანი სხვათანი.

გაეართვი თუ არა ამ ძნელ საქმეს თავი, და, თუ გაეართვი, — როგორ — ამას მკითხველი განსჯის.

თუ ღმერთი შემეწია და ჩემმა თარგმანებმა ქართველ მკითხველს ოდნავ მაინც მიანიშნეს დედნის სიკარგეზე — ხომ კარგი და კარგი, თუ არა და—რა გაეწყობა!—„თავსა ახლად ვერვინ იშობს!“

მუსრან მაჭავარიანი

ამ თარგმანებისათვის, 1989 წელს, ბულგარეთის მთავრობის გადაწყვეტილებით მ უ ხ რ ა ნ მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი დაჯილდოვდა კ ი რ ი ლ ე ს ა და მ ე თ ო დ ე ს ორდენით.

რედაქტორი ნანი მაძაღუა

4703000000—190.
მ ——————— ბრძ. № 1/16
მ 604(08—89)

© გამომცემლობა „მერანი“.

ეროსი ბუნებაში



გულის სეისმოგრაფი

აი, შენ ხედავ ადამიანს,
იგი, პეწიანად ჩაცმულ-დახურული
თვალთა შენთა წინაშე
მიმოდის, საქმიანობს, ლაპარაკობს,
მოგზაურობს, კითხულობს...
თვით კი:
შეულწევია,
წაუკითხავია.
რომელი ხელსაწყოთი გინდა გამოიცნო შენ სული მისი?
რომელი მექანიკით გინდა შეაღწიო შენ მისი ოცნების ცაში?
რანაირად გინდა შეამჩნიო შენ ფიქრთა მისთა მეტეორნი?
როგორ უნდა აღრიცხო
იმედთა მისთა აღმობრწყინება?
ვნებათა მისთა მოვანება?
გლოვათა მისთა დაბნელება?
გულგატეხილობის მისის სიღრმე?
როგორ გინდა გაზომო
სასოწარკვეთილების ის კატასტროფული მოზღვავება,

რომელიც ანგრევს ნაპირებს მოთმინებისას,
გლეჯს ნერვების მავთულებს
და აბრჩობს ხოლმე თვისსავე სისხლში
ადამიანის გულს — უნუგეშოს?

ბიზვიზა ხე

ვით ოკეანე — ტევრია ირგვლივ,
უზარმაზარი მწვანე ზვირთებით.
ლარივით გზაზე მანქანით მივქრი,
ვთრთი, — შემოგარენს რომ ვუკვირდები.

თითქოს ბაგეზე ადევს ურდული.
დაბოლმილია თითქოს ყიამდე,
სივრცე ბუზღუნებს ხმით მოგუდულით
და იზმორება მწვანე წყვდიადი...

მაგრამ, ეს რაა? ნუთუ ხანძარი?
რომ გაიელვა ულრანში უცებ?
— დაამუხრუჭე, შენ გენაცვალე,
შენი ჭირიმე, დაამუხრუჭე!

და, ვხედავ თვალთა წინაშე ჩემთა
ფლამბოიანი შრიალებს წითლად.
ეს დიდებული მცენარე ნეტა
აქ ვინ და როდის გადმორგა ციდან?

რომ ჩამობრძანდეს ცა ფეხად, მაინც,
შენსას ვერარას ავნებს სიალეს.
ტევრის პოეტო, სიკეთე ჰყავი, —
შემაძლებინე შენებრ ციალი!

მიხდა შენსავით უქრობად ვენთო,
ძარღვებში შენი მიდუღდეს სისხლი,
მიზანი მქონდეს შენსავით ერთი
და ისარივით მოვქროდე მზისკენ.

ინდუსტრია

ბრაზილიაში
უთვალავი დაფრენს ფარვანა,
თევზებს და ჩიტებს
სიერფერი აცვიათ კეართი,
ფრაბები —
ფარფატა პეპლისანი —
სიფრიფანანი, —
პატიოსანთა სილამაზით ჯაბნიან თვალთა.
გზის პირას მჯდარი
ზოგიერთი მათგანი ზოგჯერ
უცხო ყვავილი მგონებია —
დაეხრილვარ მყისვე.
ვიეთზე მითქვამს: —
ზეცას ალბათ ვარსკვლავი მოგჯა, —
გაუქროლია თვალთა ჩემთა წინაშე ისე.
ხოლო იმ კარგებს —
მუზეუმში რომელნიც ვნახე, —
მე კი არა და,
საკადრისად ღმერთიც ვერ აქებს.

და, აი, ახლა,
მაღაზიის წინარე მდგარი, —
მე შეშფოთებით ვაკვირდები ვიტრინის იქით:
ფარღულებს, ბეჭდებს...
ფაქტიურად რომელიც არის
ფარვანის ფრთები, —

დატვიფრული ფაბრიკის სიქით.
ო, ინდუსტრიავ,
რა თქმა უნდა, მე შენი მჯერა,
ოღონდ ეს კია, —
ერთი ფიქრი მიწეწავს ნერვებს:
ვაითუ ლექსნიც, —
რაც აქამდე ფრთებია ჩვენი, —
წყრომით ღეთისათა
ინდუსტრიად ვაქციოთ ჩვენვე.

ერთადერთი

ეს შენ იყავი —
ჩემს გვერდით რომ იდექი გუშინ?
ეს შენ ხარ —
ჩემთან რომ დგახარ ასლა?
ეს შენ ხარ —
ხვალაც უთუოდ რომ იქნები ჩემთან?
სახე — ძილშიაც რომ მიდგას თვალწინ,
ლანდი — სხვა ლანდებს რომელიც არ ჰგავს—
და მე ერთგულად დამყვება ყველგან,
ხმა — მე რომელიც მაღვიძებს დილით
და მიკარნახებს დიდებას მზისას,
სახელი — გიხმობ რომლითაც ზოგჯერ, —
ნუთუა შენი? შენია ნუთუ?

ეს შენ ხარ მართლა,
თუ სახეა ტრფიალის ჩემის, —
ჩემს გულში როა,
როგორც ცეცხლი ხმელეთის გულში.
ეს შენ ხარ მართლა,
თუ სახეა წყურვილის ჩემის, —
ლოდინიანი და ცახცახა,

როგორც წყურვილი ყომრალი ხნულის, —
საწვიმარი რომ წყურის ღრუბელი.

ეს შენ ხარ მართლა,
თუ სახეა ტკივილის ჩემის, —
იმ ერთადერთზე,
იმ მარადზე,
იმ განუყრელზე,
როგორც მთვარეა განუყრელი დედამიწასთან.
ეს შენ ხარ მართლა?

სიტყვა და ეჭო

გესლით სავსენი და უმწარესნი,
ალერსიანნი და ვნებიანნი,
ზრახულნი მარაგით, ზრახულნი წყაროსებრ, —
ზოგჯერ აშკარად,
ზოგჯერ ფარულად,
ზოგჯერ ხმადაბლა,
ზოგჯერ ხმამაღლა,
ხან წერილებით,
ხან ტელეფონით, —
დღისით და ღამით
გვივსებენ სმენას
სიტყვები, სიტყვები.

გულს გვიმძიმებენ ერთნი,
გვაფრთოვანებენ მეორენი,
ლახვრად გვესობიან ერთნი,
სიცოცხლეს გვმატებენ მეორენი,
ცეცხლს შემოგვინთებენ ერთნი,
წყალს გადაგვასხამენ მეორენი...
ზოგიერთნი კი —
უექოოდ

გავლენ და წავლენ —
სიტყვები, სიტყვები.
დაუწერელი,
მოუსმენელი,
გამოუთქმელი,
წარმოუთქმელი
სიტყვებითაა დამუხტული ცხოვრება ჩვენი,
მაგრამ ისინი ყოველ სიტყვას
ახშობენ ქვეყნად
და მათი მძიმე დუმილის ექო
ზარივით რეკავს
სისხლში ჩვენსაში.



უცნაური ამბავი, რომელიც ერთ კაცს გადასდა

ქმარმა სამზადში შესულმა წასახემსებლად დილით,
გადაიხედა ფანჯრიდან და დააფჩინა პირი:
ბაღჩაში, ვარდის ბუჩქებთან, ზედ იასამნის გვერდით,
ყვავილებს შეექცეოდა იხტიოზავრი ერთი.
ფერი წაერთვა, გახევდა, მადა წაუხდა ჭამის,
ბუდეებიდან თვალები გადმოუცვივდა ლამის:
მოუხეშავი, ზორზოხი, მხეცი — გარდასულ ჟამთა,
წალკოტის ტურფა ყვავილებს ჭამდა, ჭამდა და ჭამდა.
მყისვე დატოვა სამზადი გაოგნებულმა ქმარმა,
შეაჯანჯღარა მეუღლე, უთხრა: ადექი ჩქარა!
წამოდი, ნახე ბაღჩაში იხტიოზავრი არის,
და ისე ღვიძლავს ყვავილებს, როგორც იონჯას ხარი.
— ხომ არ გაგიჟდი, რას როშავ, ცოტა ჭკუაზე მოდი,
იხტიოზავრის ჯილაგი გაწყდა ჯერ კიდევ როდის! —
შემოუძახა დიაცმა გამეხებული პირით,
ქმარს ზურგი შემოაქცია, ყურთუკში დურთა ცხვირი.

მამაკაცს ნირი წაუხდა, გაიჯახუნა კარი,
ბაღში შევიდა, იქ, სადაც უცხო იხილა ხარი.
დაკრიფა ნორჩი ვარდები, მხეცს მიუტანა პირთან;
ცახცახით უთხრა: — მიირთვი, ჭამე, რამდენიც გინდა!
იხტიოზავრმა ერთბაშად, თითქოს მადლობის ნიშნად,
ვარდები ეკლებიანა გადაუძახა პირში.
კაცი, რომელსაც კაცისას აღარ უგავდა სახე
(გქონდეს, ხუმრობა როდია, იხტიოზავრთან საქმე),
ცოლთან შეიჭრა ხელახლა, უთხრა: — გენახა ნეტა,
იხტიოზავრმა ვარდები შთანთქა ეკლებთან ერთად!
ცოლმა უყივლა: — რეგვენო, რა სისულელეს ჩმახავ!
იხტიოზავრი კი არა, იხვი არ გინდა ახლა!
ამის ხელში რომ მამყოფებ, რა შეგცოდეო ღმერთო!
აქედან მომწყდი ახლავე, შე უტვინო და ყბედო!

ქმარი ფიქრებში წავიდა, თქვა: ფალავანი ლოხთა,
ნეტა საიდან მოშავდა, აქ რანაირად მოხვდა,
ამდენი ვარდი რომ ჭამა, ხომ არ მოწყურდა წყალი,
ნეტა ბუნებით გლისპია, თუ მორჩილი და წყნარი?!
და გამოვიდა სახლიდან, და იხტიოზავრს უცებ
როგორც მხედარი იორღას ისე მოახტა ზურგზე.
და მასთან ერთად მოკურცხლა, გადაიკარგა იგი,
შინ აღარ დაბრუნებულა, წასული ცხრა მთას იქით.

ახლა იმ კაცის მეუღლე, ამას უამბობს ყველას,
მაგრამ მაგარი ის არის, რომ ეს არავის სჯერა.

ბიჭი და შადრევანი

შადრევნის ხვრელს, ირგვლივ ცქერით,
დააჭირა ბიჭმა ხელი.
და მოგჭამა წყალმა ჭირი,
მიწამ უყო თითქოს პირი.
წუთს გასტანა მხოლოდ ამან, —
იგრიალა უცებ წყალმა,
მოისროლა განზე ბავშვი
და ავარდა ისევ ცაში.
ტანის რხევით ჩქეფდა ჭაელი: —
ვიყარეო ცელქზე ჯავრი.
ხოლო ცელქი, როგორც ჭინკა
გაწუწული სკუპდა იქვე.

— გალიაში გყავარ დამწყვდეული რატომ? —
საყვედურით ხმაში ჩიტმა უთხრა პატრონს, —
ხომ ხედავ, რომ აქა, სხვა სიკეთის გარდა,
გალობასაც, ჩემებრ, ბარაქას ვერ ვატან!
— რომ გაგიშვა გარეთ, — ჩიტს მიუგო კაცმა, —
გამოგიყვანს წირვას უეჭველად კატა!
— თუკი ეგრე კარგად იცის ჩემი ფასი,
გალიაში მაშინ თვითონ კატა ჩასვი.

არწივი და კაჭკაჭი

ელვის სისწრაფით გავრცელდა ტყეში ამბავი ცხელი:
ფრინველთა მეფემ კაჭკაჭთან მოაწერაო ხელი.
— რაო? როგორ თუ კაჭკაჭთან? — ატყდა მითქმა და მოთქმა.
— კაჭკაჭი რომ არ შეერთო, გაწყდა არწივთა მოდგმა?!
მაშინ იქუხა არწივმა: — კრინტი, იყავით წყნარად!
იქ, სადაც სიყვარულია, კარგავს კანონი ძალას!
და ბედნიერი ცხოვრება დაიწყო ერთმა წყვილმაც:
მზე იყო — მათთვის მზეობდა, წვიმდა და — მათთვის წვიმდა.
ხვევნა-კოცნაში დღეებმა როგორც იციან გასელა,
თვე თვეზე ისე გავიდა, დრომ თავი მოიქაჩლა!
ერთ დღეს არწივმა ნისკარტით გაიხანხალა მხრები,
მაღლა ზეცაში აფრინდა, დაბლა დატოვა მთები.
იყო მინდორი, ჭაობი, ტევრი იყო, თუ სერი, —
არწივმა ყველას ერთბაშად მოუთაღურა მზერა.
ამ დროს ბუდეში კაჭკაჭი გულს შემოასკდა ლამის:
თავგადაკლული ტიროდა, ცრემლებს იწმენდდა კაბით:
— მაღლა ზეცაში დაფრინავ, აღარ გახსოვარ სულაც,
ისე მექცევი, ვინ იცის, იქნებ, კიდევაც გძულვარ.
— როგორ ვუყვარვარ, შეხედე! — არწივს ღიმილი მოსდის, —
ჩაკვლევნებული ამგვარად, წუთით დატოვე, მოდი!
ცოლთან დაბრუნდა მაშინვე, თავზე გადუსვა ხელი,
და ჩამოცვივდა სითბოში ფრთის რამდენიმე ღერი.
სხვა დროს, ახოდან მთებისკენ კაცი იძახდა ვინმე:
— მიეშველეთო! ბულბული დაიჭირაო ქრცვინმა!
და იმავ წუთში არწივი წამობრიალდა ცეცხლად,
რომ მგალობელი ძმაკაცი მტრის კლანჭებიდან ეხსნა.
— სად მიდიხარო! — კაჭკაჭი გადაეღობა არწივს, —
მე ბულბულში მცელი, ასე ხომ, თუ არ შეგრცხვება, გასწი!
არწივი შედგა, ჩაფიქრდა: არის კაჭკაჭი სწორი! —
ერთი რომ ვიყო, — კიდევ ხო! მყავს შვილები და ცოლი!
..და განმეორდა იგივე, — არა ერთხელ და ორჯერ
(ქალს ქმარი შინ რომ დაება, — ცრემლებს აფრქვევდა მოჭრედ).
ცა ელავს, მეხი გრიალებს, ქარი ქვეყანას ანგრევს,
ხეს ეფარება უღრანში სამიწეა თუ სამგლე.

ქარიშხალს მკერდით მიაპობს არწივთა გუნდი მხოლოდ;
მათი ნიჩბები — ფრთებია, მათი ტიმონი — ბოლო.
არწივსაც უნდა, მოძმეებს რომ გაუსწოროს მხარი,
უნდა მათებურ გააპოს მკერდით წვიმა და ქარი.
მაგრამ კაჭკაჭი არ უშვებს: — გაცივდებიო ქარში,
სხვებმა იმტვრიონ კისერი, შენ შენს ოჯახში დარჩი.
ამგვარ ამინდში, ზეცაში რა დაგრჩენია ან კი?!
როცა ასეთი თავსხმაა, რაა ბუდეზე კარგი?!
არწივიც რჩება, შეფრფინვით შეჩერებია კაჭკაჭს...
ის კი არ იცის, რომ მისი ფრთები თანდათან გაჭკნა.
ბოლოს, ერთხელაც გაისმა ტყეში ძახილი სირთა:
არწივს უხმობენ ჩიტები ხიდან, ჯაგიდან, ციდან.
ის არ გონიათ არწივი, ვინც არის იმათ თვალწინ:
— ნეტა, რა ღმერთი გაუწყრა, — გაიძახიან, — არწივს! —
ფრთებდაცვენილის გარშემო პირდაფჩენილი დგანან,
ერთმანეთს ეკითხებიან: ეს არწივია განა?!
ზოგი იძახის: — ის არი! ზოგი იძახის: — არა!
— როგორ არ შეეცოდება, ვისაც უნახავს წინათ,
შეხედე, ერთი შეხედე, კაჭკაჭივით არ ფრინავს?!
ძმანო, არწივნო, ცოლქმრობას ვთვლი საჭიროდ და სწორად,
მაგრამ კაჭკაჭი მტერსაც კი ნუ შეხვედროდეს ცოლად!

საუკეთესო თანაშემწე

— უნდა შემსუბუქდეს დირექტორის შრომა!—
განუცხადა მხეცებს ღონიერმა ლომმა; —
თანაშემწე მინდა,
დრო არაა მოცდის!
თქვით, თუ ვინმე იცით,
ჭეშმარიტად ღირსი
ამ მაღალი პოსტის.

ტყეს ბოედვნენ მხეცები:
თანაშემწეს ეძებენ.

ერთი არის მათი დარდი,
ერთი მხოლოდ:
თანაშემწე!
არაფერზე,
არაფერზე,
არ ფიქრობენ
ლანარჩენზე.

თავიანთი აზრით ბოლოს
მიაღწიეს მიზანს კიდეც
და ლომს ოთხი კანდიდატი
წარუდგინეს.
სპილო წარსდგა პირველი
(ჰქონდათ მისი იმედი).
— არ ივარგებს! — ბრძანა ლომმა, —
მერე რა, რომ არის მშვიდი!
ვერ ავიყვან თანამშრომლად,
რადგან არის ჩემზე დიდი! —
და აზნიქა წარბი.

მოიყვანეს ზღარბი:
— თუმც არაა ლამაზი,
მაგრამ მერე რა ვუყოთ,
ჯერ არ ოქმულა ამაზე
ტყეში ერთი აუგიც.
— არა, რადგან ეგა,
მეც კი მიჩხვლეტს ეკალს!
წარადგინეს ძერა:
— აქვს მახვილი მზერა!
— არა, რადგან ეგ!
ერთობ მაღლა ფრენს.
— მელა?
— არა, რადგან ძალიან
დიდი ინტრიგანია!

სხვებიც დაუსახელეს, —
შეაწიეს ზოგს ქებაც,
მაგრამ ლომმა ყველაზე
ბრძანა: — არ გამოდგება!
ამიტომ და ამრიგად
ატყდა ერთი პანიკა.
—როგორ განა ამ ტყეში ერთი კაცი არ არის!—
იღრიალა ლომმა და აებურძგლა ბალანი.
საიდანღაც მოისმა:
— არ არის!
(და ხმა იყო ნარნარი).
ლომმა დააყურადა
და იკითხა ნელიად:
— ლომი შეუცვლელია?

— ლომი შეუცვლელია! —
კვლავ გაისმა ხმა სხვისი
(ხმაში იყო ლაციცი).

ყველა შემოტრიალდა
— ვინ არისო ნეტავი?!
ჩანდა მაღლა ფოთლებში
თუთიყუში ჭრელთავა.

სიხარულით პირისახე გაუბრწყინდა ლომს,
და, რადგანაც, როგორც ვიცით, არ იცდიდა
დრო,
თანაშემწედ იმავ წუთში
აიყვანა თუთიყუში.



რკინა სწავლობს ფრენას

მილკო მილკოვს

სიმღერებიდან რომელი მიყვარს?!
ვერ გეტყვი.
თვალწინ უფსკრული მიდგას.
და რომ უფსკრულზე გადამაფრინოს, —
თავისკენ მიხმობს გზა საბაგირო,
რომლის უძილო სანოტო ხაზებს, —
გადაჭიმულებს ხეობის თავზე,
ვაგონეტები მისდევს და მოსდევს, —
ძალიან ჰგვანან რომლებიც ნოტებს.
აქ არწივები ლაღობდნენ წინათ,
ახლა ისინი შესცვალა რკინამ.

რკინაა ახლა ხრამზე რომ ფრინავს,
ჩვეულებრივი რკინა!

ეს რკინა მალე აუდგამს ენას
ოვით მოგანგაშე ბორბლების ღერძებს,

განეწონება მელტავროს ელვად,
გადირბენს ცაზე, ვით ოდოჟლერზე.

შთაგონებულო სიმაგრეე სრულო,
მე შენი მძიმე სიკეთის მჯერა,
ჩვენ იგი ვპოვეთ მგზნებარე სულით,
კლდეს მისთვის დიდხანს ვუშენდით წერაქეს;
ჩვენ მას დამსკდარი ხელებით ვკრებდით,
მაღაროს ჩვენი ავსებდა ქშენა,
მან სილიკოზით აგვივსო მკერდი,
ბეჯითად სწავლობს დღეს იგი ფრენას.

რკინაა ახლა ხრამზე რომ ფრინავს,
ჩვეულებრივი რკინა!

ვაგონეტები ცეკვავენ ხრამზე,
და ძველი ზღაპრის მფრინავი ქოშით,
რკინისებური გადააქვთ აზრი
ჩვენი დროიდან მომავალ დროში.
იქ, სხვა სიამის ანკარა ძირზე,
უფრო დახვეწილ ლითონთა შიგნი,
როგორც მზის შუქზე ალმასი, ისე,
ბრწყინვას დაიწყებს უდაოდ იგი.
და ხვალინდელი კეთილი ხალხი,
ფლოტაციათა კედლებზე დასწერს,
ყველაფერ იმას, რაც ხდება ახლა,
რაც მაღაროში გადაგვხდა თავზე.
სიმღერებიდან რომელი მიყვარს?!
შენ შეგიძლია წაკითხვა ზეცის?!
კი?!
თუ – კი, — მაშინ შეუდექ კითხვას,
აბა, შენ იცი, თუ რამეს შეცვლი!
მე კი ხრამზე რომ გადამაფრინოს,
თავისკენ მიხმობს გზა საბაგირო,
რომლის უძილო სანოტო ხაზებს, —
გადაჭიმულებს ხეობის თავზე,

ვაგონეტები მისდევს და მოსდევს, —
ძალიან ჰგვანან რომლებიც ნოტებს.
აქ არწივები ლაღობდნენ წინათ,
ახლა ისინი შესცვალა რკინამ.

რკინაა ახლა ხრამზე რომ ფრინავს,
ჩვეულებრივი რკინა!

საათების ბაღაზია

— რა მოგივიდა,
ცისკენ რატომ გაგექცა მზერა,
რა გემართება,
რამ ჩაგიგდო მუცელში ენა,
რატომ გაჩუმდი,
განაგრძეო, რა მოხდა მერე?! —
ჩამციებოდა ბაზელელი[1] ქალწული ქერა.

უთვალავ ღერძზე
გაშმაგებით ქალაქი რბოდა,
ჩვენ ამ ქალაქში
ორად ორნი ვიყავით მარტო,
სადაც კი შუქი რეკლამისა
ბეუტავდა ოდნავ, —
ტანზე იხდიდა უსირცხვილოდ
იქ ბრიჯიტ ბარდო.
თვალებს გვიმჭყვლეტდა
ჭრელა-ჭრელა რეკლამა უხვი,
იდგა გნიასი გულშემზარავი,
და წამდაუწუმ ცვალებად შუქზე
კაცის არ ჰქონდა სახე არავის.

---

[1] ბაზელი — ქალაქი შვეიცარიაში.

უმალ ერთმანეთს გადავხვიეთ
ხელები მხარზე,
ქალაქის ხმაურს
შევაქციეთ ზურგი მაშინვე,
მყუდრო ადგილი
გულით გვსურდა გვეპოვნა სადმე
და საათების მაღაზია აღმოვაჩინეთ.

ოჰ, საათები,
ტყუილია,
ვერ იტყვის ენა, —
იყვნენ ისინი
რარიგ კარგნი,
რარიგ ტურფანი;
ფლობდნენ უკლებლივ ყოველნაირ ფრინველის ენას, —
თითქოს მოძღვრავდა თითოეულს თვითონ უფალი.
სამრეკლოები პაწაწანი რეკდნენ და რეკდნენ,
სცემდენ და სცემდენ ქანქარები ნერვიულ ბოლთას,
კადრილს ცეკვავდნენ თოჯინები —
მცირენი ნეკზე.
არც მენუეტი ეშლებოდათ იმ ჭინკებს ოდნავ.

თითოეული —
ამ წარმტაცი სეირის მიღმა
ორ მუშა ისარს ასკდებოდა სახეზე ხვითქი;
მიწყივ ჯაფაში
უსასყიდლოდ ხარჯავდნენ სიყრმეს, —
გაჰყავდათ გზები,
სდებდნენ ხიდებს,
აგებდნენ ქვიტკირს.
და დრო ჩნდებოდა,
დრო დიადი,
დრო ვრცელზე ვრცელი, —
რაც კი რამეა, —
ყოველივეს რომელიც იტევს:
წამებს და წუთებს,

ცისკარს,
წყვდიადს,
იადონს,
ძერას,
სიამეს,
ქვითინს,
ვარდებს,
ყორნებს,
კუბოებს,
მზითევს.

მაღაზიიდან გამოვედით როდესაც გარეთ,
ქალაქი ისევ
გუგუნებდა,
ელავდა,
ჟღერდა, —
ყველა საათის
მასში თითქოს რეკავდა ზარი,
ჩვენ კი
საათის ისრებივით
ვიყავით ერთი.

ქალაქს, ცხადია, არავისი არ ჰქონდა დარდი,
თავისებურად განაგრძობდა ხმაურს მუდრეგი,
ირგვლივ დუმილის ფიორიც კი არსაით ჩანდა,
და,
როგორც სხვები,
ჩვენც
ჩვენსავე გზას გავუდექით.

ასაკი

იმ საუკუნემ,
ჩვენ, ყველანი,
რომელშიც ვცხოვრობთ,
გამოავლინა ჩვეულებრივ სიმტკიცე თვისი
და სამყაროში სამეფონი არსებობს როგორც,
წლოვანებაში სამთავრონი გამოჰყო ისე.

ერთდროს ჩვენც გვქონდა,
რა თქმა უნდა,
დრო ერთობ ბლომად,
წარმოგვედგინა, —
დაგვადგამდა მერმისი გვირგვინს...
ახლა კი მოდის გაბედულად ახალი ტომი
და ჰქმნის საკუთარ სამფლობელოს აშკარად იგი.
იქ,
ამ ახალი სახელმწიფოს ფარგლებში მყოფნი
მეოცნებენი არ არიან ჩვენსავით თუმცა,
მაგრამ ისინი ჩვენზე უკეთ, ღმერთმანი, ბჭობენ,
რადგანაც მათი აზროვნება უფროა ზუსტი.
შენ?!
შენ ამ ყოფას მოკვეთილის თვალებით უმზერ,
მათ უფლებანი მოქალაქის აგყარეს რადგან,
და ნაღდი ეჭვით გამსკდარი გულზე,
გულდაწყვეტილი მიდიხარ მათგან.
მშვიდობით!
რაც რომ იანცე, კმარა!
წადი,
ჩეროში დაჯექი სადმე!
რა ჯანდაბაა მაინც ეს ზღვარი, —
ახალგაზრდობას რომელიც გვართმევს.
ჭორი ყოფილა მტკიცება ყველა, —
განმეორება სიჭაბუკის ხდებოდეს თითქოს,
ამდენჯერ როცა დატრიალდა
შენს თავზე კევრი, —

მუდამ ჭაბუკი ვით უნდა იყო.

თავშეკავების სამეფოში შედიხარ ახლა,
ხდები მორჩილი, იქაური მკაცრი წესდების;
წინსვლას თავისით, თავის დროზე მოუვა ვადა,
შეცდები თუკი დაჩქარებას მისას ეცდები.

მხოლოდ ფორმულით, —
ჩაღვრილია რომელშიც სისხლი,
და ისიც მხოლოდ თაბაშირად ანდა ბრინჯაოდ,
იმ სამეფოსი
შესაძლოა
შეიქნე ღირსი.
სადაც ყველაფერს ლუპით სინჯავენ.

მოვკვდები გზაში

ცაში აჭრილი ლეგა ღრუბლებს გადავუქროლებ,
მერე ცვარივით შემიერთებს, მჯერა, ძილეთი, —
მოვკვდები გზაში,
უნარკოზოდ,
უნეკროლოგოდ, —
ისე რომ ნაშთი არ დარჩება ჩემგან მცირედიც.
დამიმახსოვრებს მხოლოდ ზოლი აფრენ-დაფრენის,
განთიადისას საიდანაც ითქვა: — იალა!
და ტრაგიკულად იელვარებს ლურჯი ნაპირი,
როგორც უბრალო მემორიალი.
შემდგომად ჩემსა,
თუ გსურს რამე იცოდე ჩემი,
მობრძანდი,
ნახე აეროდრომი,
სადაც დიდრონი ელავენ ჯვრები, —
დაჩვეულები ქარიშხლით თრობას.

და ჩემთვის გული ოდნავ თუ გტკივა,
თვითმფრინავების განრიგთან შესდექ
და მანძილების აღმნიშვნელი ციფრების მწკრივი
მოგითხრობს ჩემზე.

ბ ა მ ა რ ჯ ვ ე ბ ა

ჩაკვლევნებულნი უსახელო ნივთების ხროვას,
სიკვდილის ვიდრე გაიელვებს უეცრად ცელი,
სულთამხუთავი ვიდრე არ მოვა, —
ნამცეცებივით
წრიალებენ
სახენი ჩვენი.

ზოგჯერ თუ ხდება რაიმე დიდი...
მაგრამ აზრია იმაში სწორედ, —
მყოფმა პაწია ნამცეცის შიგნით,
ნამცეცს შიგნიდან შეჰმატო ღონე.

რათა არ გიყოს სამარემ პირი,
კუბოსი რათა აგშორდეს ჭერი,
და მზე როდესაც ამოვა დილით, —
სახე ცოცხლობდეს იმ მზეში შენი.



ელეგია

შენაც დაბერდი? შენს მონღოლურ თვალებში განა
ავანტიურის აღარ ღვივის მძაფრი წყურვილი,
რაც მათ, ჩემს თვალში ეშხს ჰმატებდა ჭარბად ესოდენ?
შენაც დაბერდი? ბედნიერი უზიხარ თავთით
და ყმაწვილს შენსას საღამო ხანს უყვები ზღაპრებს
და ქუჩის ბინდი შენი ტანის ვნებიან რხევას
დღეს საიდუმლო პაემანზე აღარ ეძახის?
დამჯდარხარ ბედის კმაყოფილი, უიმსურვილოდ
გულს და გონებას ხანძარივით ბუგავს რომელიც!
ეჰ, რა არ ძალუძს, რას არ სჩადის დრო საძაგელი! —
გვიკარგავს სახეს, გვასხვაფერებს, დღემუდამ გვხოცავს.

მაგრამ მე მისი არა მჯერა, რადგანაც იგი
შეფარდებითი არის თურმე, ვით ბრძანებს ბრძენი! —
საიდუმლონი ყოფისანი რომელმაც უწყის,
რაც იმას ნიშნავს, — სიყვარულშიც ჩახედულია,
დრო არ არსებობს. არის სავსე თვალები შენი
ნოჭირებული შავი ფერის ბაიებითა,

ტანზე ვაცვია შენ უბრალო თეთრი კაბა და
ჟოლოს ბუჩქნარში გზით მიდიხარ საცალფეხოთი.
მყუდრო დაისის ვარსკვლავებზე ხარ მოარული.
მე შენ მოგყვები, არ გშორდები, ვკვდები და ვცოცხლობ.
დრო კი, ამ წამის შემხედვარე ჩერდება უცებ,
რადგანაც წამი — მყოფი დროში, მძლავრია დროზე,
რადგანაც არის საიდუმლო ამ ქვეყნად ბევრი,
რომლებზეც ფიქრი, — უაზრობა იყო და არის...
დაბერდი? არა! მე არ მჯერა, არ ძალმიძს რწმენა!
და არც ოდესმე დავიჯერებ! — პირობას გაძლევ!

ე ლ ვ ა

შენ ყველაფერი გადაივიწყე —
დაკავებულმა ქმარშვილზე ფიქრით.
მე მარტოდმარტო ვარ და ვარ ისევ —
წაუკითხავით ბოლომდე წიგნით.

და ნეტა რატომ ვიგონებ ახლა
იმ არხს, ჩვენ სადაც ვიდექით ხოლმე,
ან იმ დიდ ღრუბლებს, იმ მდორე არხთან,
მაშინ თავზე რომ გადაგვიქროლეს.

ანდა, სხვის ოთახს — ძალიან მცირეს, —
სადაც ჩვენ ჩუმად შევედით მერე,
რომ შენ ქვითინი დაგეწყო მწარე, —
არ დაგელვარა თან წვეთი ცრემლი.

ურიცხვმა განვლო მას უკან წამმა,
მაგრამ ჩვენ გვახსოვს ორი თუ სამი,
ორად აპობენ რომლებიც ღამეს
და გვინათებენ სულს ელვასავით.

მტერი

ლექსების წერით ვქენი იმდენი,
რომ თვით მოყვრები გადავიმტერე;
ყოველი ლექსი, რომელსაც დავწერ,
დაცინვით არის რადგანაც სავსე.
გულისწყრომაში ურიცხვი მტრისა,
როგორც წვიმაში მივდივარ, ისე.
თრთის ჩემს ტუჩებზე ნიშანი ბრაზის,
მწარე და ზუსტი და არა ნაზი.
ჩემი სიცილი იმგვარად ელავს,
ვით მოშვერილი ჩემსკენ ხანჯალი,
რომლისაც მალე გავხდები წერა,
რადგან არ არის იგი ჯანჯალი.
დღეა თუ ღამე, არ გავა წუთი,
არ გავიგონო, რომ მე ვარ ცუდი.
ეს კი, თუმცაღა არ ვიცი რატომ,
მე სიამაყეს მმატებს და მათრობს.
ღირს ასეთ კაცთან ცხოვრება განა?
თუ დამიჯერებ, მე მგონი — არა!
მე იმ ლექსებით როგორ გაცხოვრო,
მტრებს მიმრავლებენ რომლებიც მხოლოდ,
ერთ მშვიდ ღამეში რომლებსაც ძალუძთ
ბოლო მოულონ თვით ჩვენ სიყვარულს.
რაკი წამომცდა ყმაწვილის მსგავსად,
რასაც არ ვუმხელ საკუთარ თავსაც, —
ამიტომ არ მსურს რომ დასძრა კრინტი,
მითხარი მხოლოდ უსიტყვო მზერით,
რომ გეყვარები კიდევ და კიდევ,
თუნდ გავხდე შენი ბოსისხლე მტერი.

ატელიე

სხვენზე, ქალაქის ზეცასთან ახლოს,
ანტენებს ღრუბლის რომ ხურავთ ჩაჩი,
იქ, სადაც ქარი უსაზღვროდ ლაღობს,
ვიწრო ფანჯრიდან პირდაპირ ცაში
აწებს დროდადრო მხატვარი ყალამს;
ციური ტონის დაჭერას ცდილობს,
იძენს ყალამი უცნაურ ძალას,
ქალაქის საზე ეძლევა ტილოს.
იგივე ხეთა გვახარებს ხილვა,
ზის მოსახვევში მეზაპიროსე,
ხოლო პაწია ყვავილი ქილის
უკვე მეასედ ჰყვავის ტილოზე.
ლიელივებს ზეცა, ვით ოდოჟღერი,
საწვიმარ მილზე მიმჯდარა ჩიტი,
და გვეყურება მავთულთა ჟღერა,
და შუაღამის დუმილი მშვიდი.
ატელიეში არ ქრება შუქი,
ხოლო მხატვარი — ნაბიჯით ნელით,
უკლებლივ ყველას დაივლის შუკას, —
ხელში საჭირო რომ იგდოს ფერი.
ბნელს უკუიყრის უეცრად სფერო,
წამოენთება ცარგვალი ლურჯი,
გამოაღვიძებს მძინარე ფერებს,
ამოძრავდება გრძნეული ფუნჯი.
მიეშხეფება სიმწვანე ფანჯრებს,
თვალებს გაახელს პალიტრა ჭრელი
და სანთელივით, — თავისი ხარჯვით, —
ამეტყველდება ფერადი ენით.
ენით, რომელიც იქმნება ზემოთ,
ზედ ცასთან ახლოს,
ზედ მთვარის ცხვირწინ,
იმ ენით, რომლის ეშხი და გემო,
ყველაზე კარგად, მხატვარმა იცის.

მიმოქცევა

როგორც მოსულან, ისე წავლენ გაზაფხულები.
ვიყავ ჭაბუკი, ვარ ბებერი. ხვალზეგ მოვკვდები.
და არაფერი არ დარჩება ჩემგან და შენგან
იმ ლექსთა გარდა, რომლებშიც კვლავაც
როგორც მოსულან, ისე წავლენ გაზაფხულები,
სადაც ვიქნები ჯერ ჭაბუკი, მერე ბებერი,
მერე მოვკვდები და ამ ქვეყნად ჩემგან და შენგან
სხვა არაფერი არ დარჩება,
სიყვარულს გარდა.



ᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲒᲝᲑᲐ

ჩემი სევდა წვიმაა მონოტონური, —
ფანჯრებზე რომ აკაკუნებს გათენებამდე.
ზოგჯერ არილია მთვარისა, —
ჩემს თმას რომ ასევადებს,
ჩემს ძილში რომ შემოიპარება
და წყაროსავით
ჟონავს იქიდან...

მაგრამ ირიჟრაჟებს თუ არა,
გავაღებ თუ არა სარკმელს, —
მომავალი დღის შესახვედრად მიფრინავს იგი,
ო, რა კარგია მზიანი ზეცა!
გადამიფრენს ჩიტი თავზე და —
ფრთებს ვგრძნობ საკუთარს,
წამომეწევიან ჯეილნი ლაღნი და —
ეუხშირებ ნაბიჯს,
მსურს ყმაწვილებს შევუწყო ფეხი,
სადმე ჩავლისას შევეყრები შემთხვევით მზერას და —
ებანაობ თვალთა მისთა ცისფერ აუზში.

მაგრამ, როგორც კი შებინდდება, —
კვლავ მიბრუნდება
მე ჩემი სევდა...
და უკვე მჯერა, —
რომ მე არ ძალმიძს
არც უმზეობა,
არც უჩრდილობა.

შეურიგებელი

საკუთარი უკიდეგანობის გვერდით,
ჯვარზე გაგიკრავს შენ ჩემი აზრი
და თავზარსა მცემ
სამყაროო უზარმაზარო, —
ვინაიდან
შენში წერტილია ჩვენი დედამიწა,
ღედამიწაზე კი:
მე უმწეო ვარ, —
გავხადო შენი სიდიდის ფარდი
სიყვარული და უნარი ჩემი.
შენ მე მომეცი:
ეეებერთელა სურვილი
შენს სიდიადეში შემოღწევისა, —
და, მე მწყურია შეცნობა შენი...
და, მე გავქრები, —
და, — ყველაფერი, —
რაც შენ მომეცი, —
გახდება შენი.

ეჭვრეტ დილასა და საღამოს,
ვწვდები მარადისობას შენსას,
და ველი შეურიგებელ
ბოლოს, — საკუთარს.

ტელეპათია

ჩემს მხარს
უეცრად უხილავი შეეხო ხელი...
ნაცნობი სახე, —
დავიწყებული დიდი ხნის წინათ,
ამოტივტივდა ჩემს ხსოვნაში
და დადგა ჩემს წინ.
იქნებ, ეს, — მისი ჩემზე ფიქრი
მოფრინდა ჩემთან, —
სივრცედ გარდაქმნილ დროჟამის შემდეგ?
არილზე მალი,
ხილვაზე ცხადი,
ხელის ხლებაზე უფრო საგრძნობი, —
ნუთუ ეს მარილა ფიქრია მხოლოდ! —
მოგონება რომ
ცოცხალ სახედ
აქცია
ჩემი.

მას როსმე ახსნის მეცნიერება;
ი	i გახდება დასანახი, ვითარცა ზეცა,
ნათელი, როგორც მუსიკა...
მაგრამ ჩააღწევს
სულთა ჩვენთა ფსკერამდე იგი, —
მარადისობამ ჩანასახი დასტოვა სადაც?!
ახლა სიჩუმეა ჩემს ოთახში;
დუმან კედლები, ნივთები.
ცოცხალი ვარ მხოლოდ მე
და სახე შენი და ის საიდუმლო,
რომელსაც ვერავითარი მეცნიერება ვერ გახსნის.

დუმილი

ჩემს დუმილში
შეყუჟულან ფიქრები.
რომლებიც ანაზდად დამაცხრებიან ხოლმე
და მანამდე ბჟუტავენ ჩემში,
ვიდრე ცეცხლად არ გაიფურჩქნებიან.
მე ველი მათ გაფურჩქვნას,
რომ ამ ვეება ქვეყნის წინაშე
გავაღო ჩემი გულის ფანჯრები.

შენ, ვინც შემოდიხარ ჩემს სახლში
და მიფრთხობ დუმილს,
და შენით ავსებ
სიჩუმეს ჩემსას,
გასწოვდეს:
მე უნდა ვიყო წყნარად,
რადგან ვეძებ სიტყვას, —
მე ვეძებ რომელიღაც პაროლს,
რომელმაც ჩემი ფიქრები
უნდა გახადოს
ხილვადი და სმენადი...
აქციოს ისინი ჩიტებად,
რომლებიც ჟღურტულით
ვაბოარღვევენ დუმილს.

ნუ მიფრთხობ მათ,
მიჯექ სარკმელთან
და სიჩუმეს მიუყურადე.

შენ შეგეხება ფიქრი ჩემი
და სევდას შენსას
დაიფრენს შენგან —
და მაშინ მაინც
შეიტყობ ალბათ, —
სიჩუმეში ჩასაბუდ
და დუმილში გაჩენილ
სიტყვათა ჯადოსნურ ძალას.

სიმძიმე

აბურდული ქვეყნის სიბრალულმა
ადრე დაღუპულთა შეწყალებამ,
ახალშობილებით გახარებამ, —
სიყვარულად აქცია მთელი ჩემი არსება.
სიმძიმემ მისმა მე ერთ ადგილზე გამახევა, —
დამანამუსა,
მიმასიკვდილა.
ჩემი გული გახდა
მზეში გამომცხვარი გრანიტი.
რა ვუყო ამ ჩემს საქონელს?
ვის ავკიდო?
იქნებ, აჯობოს, —
ჩემს ადგილზე დავიბორკო,
კლდესავით
დიხაშხოში ჩავერჭო...
ეგების, მაშინ ვიგრძნო შვება,
ვინ იცის...

ცვივიან სოფლები ქალაქებში

ცვივიან სოფლები ქალაქებში,
ადიან სოფლები ქალაქებში.
გააჩნია რომელი სად მდებარეა, —
ცვივიან
ფრიალოზე შეფენილნი,
ადიან
ტაფობში მდებარენი.
სოფლის სახლებმა ფეხი აიდგეს თითქოს,
და, როგორც პერსამიის ტევრის ხენი
მიემართებიან ქალაქების გარეუბნისაკენ,
და კაცს არ შესწევს
ძალა მათი შეჩერებისა.

ცვივიან სოფლები ქალაქებში,
ადიან სოფლები ქალაქებში.
გააჩნია რომელი სად მდებარეა.
შეიმჩნევა,
ყოველი სოფელი

ლაგდება თავისი შარაგზის ერთ მხარეს,
ერთი სახლიც კი არ ხვდება
მოედნის მაგნიტურ ნალს იქით.
რა აჭედებს მათ აქ,
ამ თავდაჭერილი კვარტლის ბოლოს?
იქნებ მჭედელი, რომელიც ზანტად სცემს გრდემლზე
მოგონებებივით მძიმე ხვედას?
ან იქნებ, იქვე საწვრილმანო დუქნიდან
სცემს მათ ურმის საპნის სუნი
(თუმცაღა სასაპნე კასრი ცარიელია)
და იგი თავისკენ იზიდავს მათ?
ანდა იქნებ,
ვინ იცის, ადამიანური სულის კვალს
ატარებენ ისინიც:
გადასახლებულია კაცი ქალაქში სამუდამოდ,
მაგრამ მისი საყრდენი ჯერ კიდევ
სოფელია მაინც.

ონორე დე ბალზაკი

სხვა ყველაფერი შენში ნაღდია,
ნათაღლითარია მხოლოდ სახელი შენი:
შენ გამოჩმახე ეს კეთილშობილი „დე“,
როგორც, სხვათა შორის, მონაჩმახი იყო
თვით კეთილშობილება.
ჩვენ, უაზნონი,
ღიმილით მიგიტევებთ
ამ პაწია ღალატს.
მე სხვა მაოცებს:
შენ, გიგანტმა,
რომელიც დროზე ძლიერი იყავ,
ვინაიდან გათოკე იგი
და ჩააყუდე საკუთარ რომანებში.

მაინც რომ ვერ შესძელ
დროის ინერციის გადალახვა
და გამოჩმახე ეს კეთილშობილი „დე“,
რათა მიღებული ყოფილიყავ
ფუქსავატი ქალბატონებისა
და სახელოვანი წინაპრების
გადაგვარებულ შთამომავალთა მიერ.
მათ შესანიშნავად იცოდნენ, შენ რომ ტყუოდი,
ისინი ოავს იმიტომ გიყადრებდნენ,
რომ ელლიცინათ შენზე.
მათ ჰაერივით სჭირდებოდათ ეს სიცილი;
ეს იყო ერთადერთი რამ,
რომელიც განაგებდა
მათი ცასუერი სისხლის მიმოქცევას.
ჩემთვის შეუწყნარებელია საქციელი შენი;
შენ საკუთარი ტყავიდან ძვრებოდი,
რომ აგელწია მათ სიმაღლემდე.
წარმომიდგენია, როგორ გიჭირდა, —
ყოფილიყავ მათი ტოლი,
ვინაიდან ეს შენგან
დაპაწიებას მოითხოვდა უკიდურესს.
წარმომიდგენია, იმიტომ რომ ვიცი შენი სიდიადე,
და ისიც კარგად ვიცი, რომ ვერასოდეს
ვერ გაგიტოლდები:
ვერც ჭეშმარიტებით გაჭექილი უშქარი სიტყვით
(შენ რომ გეკუთვნის),
და ვერც იმაში, რომ დროის ინერციამ
შენ ერთადერთი, ერთმარცვლიანი სიტყვა
დაგცინცლა მხოლოდ.

პირველნი გატყდნენ

პირველნი
გატყდნენ ცხოველნი.
სახურავისთვის,
ალერსისათვის? —
არავინ უწყის;
ეს კია, — მორჩილად შეუდგნენ ხვნას.
აღარ ეძახდა კაცი უკვე
მათ გარეულებს,
დამამცირებლად მონათლა უფრო:
— შინაურნი.
მეორე
გატყდა მადანი.
იგი კაჟივით იყო მაგარი
და ამ სიკერპემ
შვა სწორედ ცეცხლი,
რომელმაც გაადნო იგი.

მესამე
გატყდა მცენარე.
მან იცოდა რომ
ყოელისშემძლე იყო ბუნება.
მაგრამ არ იცოდა,
რომ ცრუბუნების შექმნაც იყო
შესაძლებელი.
და ახლა მინის სახურავქვეშ
შუა ზამთარში
მწიფს ხოლმე იგი,
ან, უფრო სწორად, —
ბაძავს მწიფობას.
მე, — ერთადერთი, —
არ ვტყდები, —
კაცი.

ხილვადობა

ვინც ვერ გაუგო
ჯორდანო ბრუნოს,
ვამართლებ ყველას,
ჯალათთა გარდა;
დედაბრებსაც კი,—
ლასლასით რომ მოჰქონდათ ფიჩხი;
მათ ვით ძალუძდათ
არ ერწმუნათ სიაშკარავე:
მზე როცა დასტურ დედამიწის
ბრუნავდა ირგვლივ?!
მაინცდამაინც
ნუ ვიქნებით გულქვანი ერთობ,
რადგან მას უკან
თუმცა დრონი წარილტვნენ უხვად,
კვლავ წარამარა მეორდება
შეცდომა მათი.
სახლებს საკუთარს
ვუტრიალებთ სიცოცხლე მთელი.
საღამოობით
შევძუძგურებთ ტელევიზორებს,
შემოვიარეთ ცისქვეშეთი
მანქანით, გვჯერა, —
სინამდვილეში
მანქანების ვბრუნავთ გარშემო
და ვერც კი ვხვდებით, —
მანქანაში ბენზინის ჩასხმით, —
ვთამაშობთ ცეცხლთან, —
კოცონია ბენზინი რადგან, —
და ამ კოცონში
ვიწვით, როგორც დაიწვა ბრუნო, —
ჩვენსობას თუმცა
მწვალებლური არ გვითქვამს აზრი.
საჭირო კია
მოძრაობა საპირისპირო:

ჩვენ კი არ უნდა ვტრიალებდეთ
გარშემო ნივთთა,
ჩვენს ირგვლივ უნდა ტრიალებდნენ
მიწყივ ისინი;
ამას კი უკვე
გალილეი უნდა თავისი.

ჟან ბატისტ მოლიერი

საზოგადოება გამჭრიახია;
ჟან ბატისტ მოლიერო:
იგი დასაწყისშივე ხვდება,
რომ ტარტიუფი
შენილბული ფლიდია.
მისთვის ბანალურია ორგონი,
რომელსაც საკუთარი
შვილისა და ცოლის ერთგულებაშიც კი
შეაქვს ეჭვი, —
ვინაიდან ჭეშმარიტებას ეუბნებიან ისინი.
და ტარტიუფი ახერხებს
წაართვას სახლი ორგონს,
მაგრამ საზოგადოება როდი ქვითინებს,
როგორც ერთდროს
გენოვევას ბედზე
ქვითინებდა.
არავის უცნაურობად არ მიაჩნია
ზარზეიმი ერთი პირფერისა:
საზოგადოება გამოცდილებით მდიდარია, —
ჟან ბატისტ მოლიერო.
იგი მხოლოდ ოდნავ იღიმება
დასასრულისას
(იმ ოპტიმისტური ტრიუკის დროს,
როცა ხელმწიფის მოდის დესპანი

და სიკეთე იმარჯვებს მუნთქვესვე).
და
განივი გარდერობიდან,
თამბაქოს ბოლქვთა შორის,
უხმოდ იღებს თავის საჭურველს, —
ერთი ხანგრძლივი ბრძოლისათვის.



ყოვლად კეთილი კაცი

ის ერთობ გვიან ტოვებდა ყანას,
წელში წყდებოდა მუდამ დღე ჯაფით,
პირს არ უხსნიდა გატანჯულს დანა,
და ზოგჯერ თავი ძლივს ჰქონდა ჭამის.

ცოლი თახჩიდან იღებდა ჯამს და
ჯამში ლობიოს უსხამდა ციცხვით...
დაღლილი ქმარი პურს როგორ ჭამდა,
ქოხის კუთხიდან ხედავდა იგი.

დილით სახლიდან გასული მინდერად,
დაღამებამდე ეკიდა სახნისს...
ფეხს მოიდგამდა როდესაც ბინდი,
აგონდებოდა მაშინღა სახლი.

ცუდ გუნებაზე თუ იყო, მაშინ,
ზრდილობა ფეხზე ეკიდა შენი;

ცოლს ერთი-ორჯერ გასცხებდა ყბაში
და პირს კედლისკენ იზამდა მერე.

ასე ხდებოდა მუდამ დღე თითქმის,
ხანდახან როდი ხდებოდა ასე.
მაგრამ სოფელში ვერავინ იტყვის,
ცოლს საყვედური რომ ეთქვას ქმარზე.

ერთ დღეს, როდესაც წიხლი ჰკრა ახტამ
და გაუერთა ძვალი და რბილი.
ცოლს უთხრა კაცმა: — მოკვდები ნაღდად!
მე სასიცოცხლო აღარ მაქვს პირი!

შემინდე, რაც რომ გტანჯე და გცემე,
რაც რომ ცხვირიდან გადინე ძმარი,
მაგრამ ეს ბრალი არ იყო ჩემი!
ეს იყო ჩემი ცხოვრების ბრალი!

და დიდხანს, დიდხანს უმზერდა მერე,
უმზერდა, როგორც არასდროს, ისე...
ქალმა ქმარს ნაზად აკოცა ხელზე,
კაცმა პასუხი კოცნითვე მისცა.

იგივე ხელი, რომლითაც ასე,
რომლითაც ასე უღმერთოდ სცემდა,
ახლა სათუთად გადუსვა თავზე
და მოუნამა თვალები ცრემლმა.

ატირდა ქალიც, ატირდა საწყლად.
იყო ტირილში დაკარგვაც, პოვნაც,
რადგანაც იგი დატოვა კაცმა,
კაცმა დატოვა კეთილმა ყოვლად.

თქმულება ტახტზე

გამოიტაცა, იხმარა ძალა,
ყური არ უგდო ქალწულის ტირილს,
მზის ამოსვლამდე აქცია ქალად,
ტახტის კეოებას შეუდგა დილით.

იმ დღეებს ტახტი იგონებს ახლაც:
უბრალო იყო ცხოვრება მათი,
ერიხელ უეცრად აჭყივლდა რაღაც,
გაჩნდა ბუღეში პირველი ბარტყი.

კაცმა ხელეჩოს აუწყო პირი,
ტახტს წაუმატა ფიცარი ერთი,
ქალმა ფიცარზე დააგო რბილად,
რომ არ ტკენოდა პატარას გვერდი.

განში მატება განაგრძო ტახტმა
(ურუხიანი გამოდგა ქალი),
და ტახტი ყველას რომ ვეღარ გახვდა,
მერხზე გადაწვა ტახტიდან ქმარი.

ერთიც რომ კიდევ გაუჩნდათ ბავშვი,
და აღარ იყო თავს ზევით ძალა,
კაცმა სოხანეს მიმართა მაშინ,
ძირს გაიფინა თივა და ჩალა.

მერე ზრდა უცბად შეწყვიტა ტახტმა,
შემოეჩვია სიჩუმე საყდრის,
ბარტყნი ზედიზედ გაფრინდნენ სადღაც,
დაცარიელდა თანდათან ტახტი.

ცარიელია დღეს ფართო ტახტი
(თითქოსდა უწყლო პეშვია იგი),
ყველა დატოვა რომელმაც სახტად, —
წამოაფრინა ვაჟკაცი შვიდი.

ლონგოზის[1] გაკაფვა

იყო შიმშილი, მიწა არ იყო,
არვინ ელოდა შველას ციდანაც
და ხალხი სულ რომ არ გამწყდარიყო,
ტყეს დღე დაადგა, შენს მტერს მისთანა!

გამოექანა მწირი მინდორი,
მიწას განართხო ხენი წამებით:
ხენი მცირენი, ხენი დიდრონი,
ხენი კი არა, ხეთა გვამები.

მიწაც იწვოდა კუნძებთან ერთად,
ოსტენს[2] ხვდებოდა ხარი კრუსუნით,
იდგა ულრანში ზღართანი ხეთა
და ფრინველების — ფრთებშეტრუსულის.

ტევრი, მიმდგარი სიკვდილის პირას,
კვნესით უთმობდა ადგილს ყანობირს
და ცეცხლისაგან ჯერ კიდევ თბილი
მიწა ჩნდებოდა თანდათანობით.

ბელტი ბელტებზე წვებოდა ყორნად,
ახოში ღამედ წვებოდა ხნული,
და ფიქრად ჰქონდა კაცსა და ორნატს:
პური და პური, პური და პური.

აქა-იქ მხოლოდ იფანი ჩანდა,
იარებიდან დიოდა სისხლი,
თავისას ადგა საწყალი საფლავს
და ხელებს უხმოდ იწვდიდა ცისკენ.

არ გაეწირა იფანი უფალს,
გადარჩენოდა როგორღაც სიკვდილს,

---

[1] ადგილი აღმ. ბულგარეთში.

[2] საქონლის გასარეკი რკინისწვეტიანი ჯოხი,

და ახლა იდგა, იდგა და ჩუმად
უსაბუთებდა ქვეყანას იგი:

თუ კაცი ჩადის რა სისასტიკეს,
სილამაზესაც კი სპობს ჭამისთვის,
თან თავსაც როგორ იტყუებს იგი,
პქონდეს უფლება თითქოს ამისი.

ხიდი

გახლავართ ხიდი, ქვიტკირის ხიდი,
რაც ამაშენეს, ხანია დიდი.

რუხია ჩემი სალუქი რკალი,
და ჩემი ტანი, ბებერი ტანი
ტერფით და ფლოქვით არის მაძღარი.

ვარ ისტორია და არა ხიდი;
ქვეყანა მოდის, ქვეყანა მიდის,
ფერხთაგან რჩება მარტოდენ მტვერი,
ყველა სტუმარი ბრძანდებით ჩემი,
მე მასპინძელი გახლავართ თქვენი,
მადგია ჯაფა — საკმაოდ დიდი,
გახლავართ ხიდი, ქვიტკირის ხიდი.

გახლავართ ხიდი — ნაგები თქვენთვის,
თქვენს ფეხთა ქვეშე ვარ მხოლოდ ერთი,
მდინარეში კი ლანდია ჩემი.
მე ვარ ქვიტკირის, ის — აბრეშუმის,
ის არის ცეტი, მე — ჩუმზე ჩუმი,
ნებივრობს იგი, მე მწყდება წელი,
ზურგზე მკიდია ხალხი და დღენი;
შეგებრალები, თუ დამაკვირდი,
გახლავართ ხიდი, ქვიტკირის ხიდი.

გახლავართ ნაღდი, ის არის ჭორი.
ვარ ჭეშმარიტი, იგია ყალბი,
ვგრძნობ პარასკევი დამრჩა მე ორი,
თანდათან ცვდება ეს ჩემი რკალი.

და ერთ დღეს, ოდეს გაცვდება სულ მთლად,
და აღსასრულის მეწვევა ბინდი,
ორეულს ჩემსას მივიკრავ გულთან...
გახლავართ ხიდი, ქვიტკირის ხიდი.

...ვარ საქორწინო ბეჭედი მანამ,
ხალისიანი ნაპირის ორის,
და თქვენ როდესაც ჩემს ტანზე დგახართ,
და წყალში თქვენიც რომ ჩნდება ჭორი.
ნამყოა თქვენთვის — ნაპირი ერთი,
ხოლო მეორე — მერმისი არის...
მე ხმას არ ვიღებ, ან კი რა მეთქმის,
და გადამყავხართ მეორე მხარეს.
გახლავართ ხიდი, ქვიტკირის ხიდი.

თ ა მ ა შ ი

რადო რალინს

ქიში, შამათი!
ქიში, შამათი!
ახალგაზრდები უსხედან ჭადრაკს.
ჯერ კიდევ ყოვლად უმანკო ბალღებს
ძველი თამაშის
შესწავლა უნდათ.

არის თამაში ძალიან რთული.
გამოცდილება აკლიათ ბიჭებს.

აღიზიანებთ სირთულე უფრო,
ღამეს ღამეზე ათევენ თეთრად.
ჭადრაკის თამაშს
არ თმობენ ძილშიც.

არიან ბიჭნი ღარიბნი ერთობ —
აქვთ არაფერი სიცოცხლის გარდა.
უანგაროა თამაში მათი,
ამიტომ, როცა ჩამოვლენ რამეს —
თავს ჩამოდიან თავისას მხოლოდ.

ისინი პაიკს, წირავენ როცა —
თავებს წირავენ საკუთარს მაშინ.
საფრთხე როდესაც უქადის მხედარს —
თვითონ ყმაწვილებს უქადის საფრთხე.
უეცრად როცა ეცემა ეტლი —
მყის ეცემიან ისინი თვითონ.

მაგრამ ბიჭები არ ყრიან ფარ-ხმალს,
გამარჯვებაზე ვინც ფიქრობს, თურმე,
ის დამარცხებას
დაგიდევს როდი!

ქიში, შამათი!
და რბიან დღენი!
ქიში, შამათი!
და ბრუნავს დაფა!

გამჭრიახდება თანდათან მზერა,
მარდნი ხდებიან თითები მათი,
მოთამაშენი თეთრებით ერთ დროს
ახლა შავებით
იწყებენ თამაშს.

ქიში, შამათი!
ქიში, შამათი!

შებერტყილები უსხედან ჭადრაკს.
გამოჯანდრულნი ამდენი დარტყმით,
შებერტყილები ფიქრობენ დინჯად.
დროს არ კარგავენ ისინი უქმად,
თითს არ გაძრავენ უაზროდ ოდნავ,
შორს არის მათგან სიჩქარე ბალღის,
არაფერს თმობენ, —
მქონენი ბევრის.
სჯიან.

თამაში მათი მათთვისვე ხდება,
სხვებს ჩამოდიან ამიტომ მუდამ;
წირავენ პაიკს! —
მწირავენ! — ვიცი.
აგებენ მხედარს! —
გაგებენ! — გწამდეს.
ეტლს რომ კარგავენ! —
კარგავენ ვინმეს.
ქიში, შამათი!
ქიში, შამათი!
შებერტყილები
უსხედან
ჭადრაკს.



ჭიქა მასტიკა[1]

ალკოჰოლისგან აზრის და გრძნობის
დაკონსერვება როდესაც ხდება, —
უკვე ატანაც ხერხდება მათი.
და დამცინავი ტუჩები შენი
თავს ანებებენ დაცინვას ჩემსას.

და ღვთაებრივი მასტიკის ძალით
უარზე უკვე ხარ ხოლმე როდი.
— მიყვარდებიო! — ღიმილით ამბობ, —
არ დამდგარაო ჯერ კიდევ ოღონდ
ჩემი ოჯახთან შეჩვევის ჯერი.

აუტანელი ბევრია გრძნობა,
მაგრამ ამაში მე არ მაქვს ბრალი.
მაყურებელი ტუჩების შენის, —
ვფიქრობ: სიმშვიდის გაუხდები ღირსი
და ხელმეორედ გავჩნდები ქვეყნად.

[1] სახეობა ანისულის არყისა, რომელშიც კევია გახსნილი.

ისე, სიცოცხლე არ მინდა სულაც.
ანდა, იქნება მკვდარი ვარ უკვე.
შექანდა ჩემი ნაკლული ჭიქა.
ელავს და ბრწყინავს ღიმილი შენი —
დამცინავი და სიკეთით სავსე.

ერთგულება

ხალხი კი არა, მბეზრდება ღმერთიც,
და მეტსაც გეტყვი, და ნუკი მიწყენ,
ხანდახან ისე მცივა შენს გვერდით,
გულის მაგივრად მკერდიღა მიძგერს.

ჯერ ჩამოგვადნობს ზრუნვა და სენი,
მერე სკლეროზის გავხდებით წერა,
და ტრფობის ვარდი მერე და მერე
ჩამოყრის ფურცლებს ნელა და ნელა.

გული მიკვდება და ასე ვფიქრობ:
ვალს გადავუხდი როდესაც ზეცას,
შევძლებ კი იმ დროს,
თუ შევძლებ იმ დროს
ოცნებით ჩემთან წაყვანას შენსას?!

ღღე

ღღე — გატენილი ბედ-იღბლით, ხალხით,
შხამით — გაჩრიან რომელსაც შაქრად,
ამბიციებით, სიამით, დარდით,
აენთო ხელად და ხელად ჩაქრა.

ვიყავით ერთად, მე ვიყავ შენთან,
ვარსკვლავი კენტად გვიმზერდა ციდან.
თქვი, გინდა რამე ამ დღეზე მეტი?
გინდა? თუ გინდა, თქვი, რატომ გინდა?

მე კი არ მინდა. რადგანაც მჯერა,
ხვალ წრე ნაცნობი შეიკვრის ისევ
და წყნარი ღამის წყვდიადში მერე
ამეტყველდება უსაზღვრო სივრცე.

ეს არის არსი. მორჩილი მისი,
ამ მიმოქცევას მუდამ დღე ველი.
და დღე ყოველი, ნამყოთი ვიცი,
თანასწორია სიცოცხლის მთელის.

ედელვაისი

მუხლზე დასმული ვყავდი სიკვდილს მე როგორც ბავშვი
და უცხო ამბავს მომითხრობდა უზადო ენით:
— ჩაგიძახებენ ჯერარსმენილ უძირო ხრამში,
წყლად და ტალახად წარდინდება სისხლიო შენი.

და წლითი წლამდე აღმა-დაღმა იდენსო იგი, —
ხან მიწით ხეში მოექცევა, ხან ცაში ხიდან;
ახლობლის ხილვა, ზამთრის ღამე და ყინვის მჯიღი
ჟრუანტელს მოჰგვრის, ისე როგორც შენსობას ჰგვრიდა.

მოემზადეო... და ხელახლა როს ავა ცამდე
ედელვაისი, — ჩამოსული ზეციდან ქვეყნად,
შენ იმ ყვავილში ფიქრთა შენთა შეკრება სცადე
და ერთხელ კიდევ მოიგონე რომ იგი შენ ხარ.

საკარნავალო გროტესკა

კისკასი ცეკვა ჭერს და კედლებს ნაპერწკლებს ახლის,
ლავას სჭარბობენ მხურვალებით გულები ბევრად,
თვალები მზეზე მცხუნვარენი არიან ახლა,
და გაზაფხულის ქარზე უფრო ცხელია ხვევნა.

ხალხის ტუჩები ასპარეზად არ ჰყოფნის სიცილს,
სახლის კედლებსაც სძგერებია, ყველაფრის გარდა,
თვალთა წინაშე ყოველგვარი გამქრალა შიში,
ვუალებიდან აცხუნებენ თვალები ქალთა.

ტუჩებს სწყურიათ, ცხელ-ცხელ ტუჩებს, ცხელებს
და წითლებს,
უნდა დაეხრტნო, რომ ძარღვებში იხუვლოს ლხინმა;
კაცმა არ იცის, გეღირსება თუ არა კიდევ,
დღევანდელივით, შენი გულის უნიღბოდ ხილვა.

ახლა კი, იგი არის ღია, ღია და ლაღი,
და უყვარს მძაფრად, უყვარს ნაზად და უყვარს მარტო
ერთი ლამაზი ქალიშვილი, — უმანკო სახის,
განუსაზღვრელი მისწრაფების და სულით ფართო.

ცეკვავ და სული გეხუთება, ჩურჩულებ თრთოლვით,
მოულოდნელად ქალის თმაზე მოგიხვდა ხელი,
მან გაიცინა, ცას ეწია, აღარ გყავს ტოლი,
რაც გულით გსურდა, არის შენი, შენი და შენი.

მას მოსწყდა ბაბთა. აჰ! სულია ცასავით ვრცელი.
ახლა ქალწული ვაჟზე ნაკლებ როდია ლაღი!
ლამის ავტირდე, უნებურად მაწვება ცრემლი...
ჩემს მაგივრადაც დაუკოცნე, გეთაყვა, სახე.



პოეზია

ვინ ბრძანდებოდა,
რომ ბრძანა,
თითქოს,
დღეს პოეზია
ზედმეტი იყოს?!

მე გუშინ ამ დროს
ვუსმენდი კასტროს.

ხმა იყო მისი
მახვილზე ბასრი
და უმძაფრესი
პუშკინის ქნარზე:

„დედა-სამშობლო რომ ტირის თურმე,
დედები სდუმან...“
რომელი შტერი მიედ-მოედო:
— არ არიანო ახლა პოეტნი?!

ყოველი კვნესა
და პულსი ნელი,
და ამოსუნთქვა
უკანასკნელი,
მებრძოლის სისხლის
ყოველი წვეთი,
საფლავზე მდგარი
დუმილი ხეთა, —
იყო და არის
სიმღერის დედა.

სიმღერა
კვლაკაც გაიჟღერებს
კიდითი კიდე...
სევდა,
რისხვა,
და სიყვარული
არსებობს ვიდრე.

ი ს ხ ა რ ი

რა კარგი ქნა, რომ მოვიდა წვიმა,
მოულოდნელი,
გიჟმაჟი
წვიმა...
ენა აუდგა საწვიმარ მილთა.
მიფხრიწ-მოფხრიწა
მდუმარე სივრცე
და, როგორც ორი ერთგვარი ჩიტი
გადმოხურულში შეგვყუჟა ისე.

კაცი არ არის მესამე ჩვენთან,
დარსა და ვინმეს ამაოდ ველით, —

ვინ და ვინ მერე?! —
რომლებსაც ერთად,
წვიმა რომ არა,
შეგვყრიდა ვერვინ.
ჩვენ —
ოცი წელი რომ არის უკვე
ერთ გზაზე ვდგავართ, —
თანხმობის ნიშნად,
მაგრამ ყოველთვის გავურბით ურთერთს,
რადგან წვრილმანი კამათი გვთიშავს,
რადგან შუღლი და მოგება ნიშნის,
რადგან ტარტარი ბოროტი ენის,
გვიშლიდა დღემდე და დღესაც გვიშლის,
რომ ჩამოვართვათ ერთმანეთს ხელი.

სასაცილოა ცოტა ეს დრამა
(უფალი ალბათ სიცილით კვდება),
ორთავეს ისე გვიჭირავს თავი,
თითქოს ერთმანეთს პირველად ვხვდებით.

— ე, ცისარტყელა გამოჩნდა, შეხე!..
— ასეთი წვიმა რომ იყო, ერთხელ, —
და საუბარი გავაბით ტკბილი,
და მზემ დაბანა შეწყვიტა პირის.

ჩვენ სიგარეტი არ გვქონდა ბედად,
ძმურად მოვწიეთ
ორთავემ ერთი...
გამოიდარა,
ისხარი შეწყდა,
შუქით გაბრწყინდა
ბაღი ჩვენს გვერდით.

უცხო სიკეთის აჟღერდა სიმი, —
აღარ ვნატრობდით
დარსა და ვინმეს...

რა კარგი ქნა რომ
მოვიდა
წვიმა.

საუბარი ჯერარშობილ ლექსთან

ვართ ერთმანეთის ამარა ორნი.
დაღამდა.
წვიმა გრძელდება გარეთ.
ფანჯრებს თქარუნით ასკდება თქორი.
რას მომისწავებ?! —
მითხარი ბარემ.

მოლურჯო ბოლში ტორტმანებს ბინა.
მოხაზულობა მიზიდავს შენი,
ვით მექარავნეს
მირაჟის ბზინვა,
ოკეანისა
ვით მყვინთავს ფსკერი.

სიცოცხლის ფასად დამიჯდეს თუნდა,
მსურს და კიდევაც დაგითრევ ქვიშით;
წყალმცენარეთა შემოგხსნი ხუნდებს, —
სამყაროს ხილვას რომელიც გიშლის.

და აიჭრები ზეცაში ისე,
როგორც თოლია —
მომწყდარი ტალღას...
იმ გზას დაადექ —
მე რომ გზა ვიცი, —
თუ გსურს შვილივით მიგიღოს ხალხმა.

ჩვენ რომ დაღვრემილს ავცილდით ცოკოლს,
პოლიგონს ოფლის ვაღვარეთ წვეთნი;

გახსოვს, ყოყმანში ვკვდებოდით როგორ,
როგორ ვდგებოდით ხომ გახსოვს მკვდრეთით?

ერთმანეთს სცვლიდა მწარე და ტკბილი,
თავზე დაგვექცა რამდენჯერ ჭერი,
რამდენმა კედელს შეასხა ტვინი,
რომ ყოფილიყო ერთგული შენი.

შენ არ შემდრკალხარ არასდროს მაინც;
როგორც ჩნდებოდი,
ისევე ჩნდები.
შენა ხარ ჩემი ძილი და ცხადი,
ხარ და იყავი სიცოცხლე ჩემი,

შენ იშვიათად ახლოდან მიცქერ,
ცაში ვარსკვლავად ციმციმებ ხშირად,
ათას აზრებში რამდენჯერ გჩიჩქნე,
რათა მქცეოდი
ჭირად ან ლხინად.

კვლავინდებურად თქარუნებს წვიმა...
თქვი! —
აღარ იტყვი! —
რა მოგაქვს ჩემთვის:
იქნები ჩემი ნანატრი შვილი,
თუ ქარიშხალში დაღვრილი ცრემლი?!

მოდი, იცრუე, მომატყუე, რაც იყოს-იყოს!
მითხარი, თითქოს კვდები ჩემთვის,
გიყვარვარ თითქოს;
თითქოს შენ ჩემზე ოცნებობდი ჯერ კიდევ მაშინ —
იყავი ოდეს სრულიად ბავშვი.

შენ ხომ სცენაზე წარმატებით ასრულებ ხშირად
ჭეშმარიტებას,
ცბიერებას,
სიცრუეს,
ღალატს...
თუ არა შენი, ვისი ნიჭის წყალობით ბრწყინავს
აურაცხელი ყოფითი დრამა?!

ვით შეყვარება, შეგიძლია გადაყვარებაც,
შენგნით ცოცხლდება სახე ურიცხვი.
და ყველაფერი, — იქ რაც ხდება, — სათაყვანოა! —
დასასრულიც კი...

ჰოდა, შენ, აბა, მოტყუება რად გიღირს ჩემი?
გამომეცხადე ჯულიეტად ერთ საღამოთი.
არ გადმომვარდეს, ვეცდები, ცრემლი.
რაც იყოს-იყოს, მომატყუე, იცრუე, მოდი.

ჩაფიქრება

ნეტა თუ მართლა მელირსოს მიწის
მე კოსმოსიდან ოდესმე ხილვა?!
მე ხომ ამ მიწის სიტურფით ვიწვი,
და დედამიწა უსაზღვროდ მხიბლავს.

გავივლი ხოლმე ბინდისას იქით,
ხმაური მოდის სიდანაც ღელის,
იქ, სადაც მაყვლის არ იძვრის ჩირგვი
და ჩირგვთან ორი მიმელის ხელი.

ამბობენ თუმცა, პოეტებს თითქოს
ფრინველებივით ძალუძთო ფრენა...
გინდ იყოს ასე
და გინდ არ იყოს,—
დაბლიდან მიჯობს მე ზეცის მზერა.

ნუ მიწყენთ, ზეცა ამაოდ მელის,
ვარ დედამიწის ხორცი და სისხლი...
და, როგორც ახლა,
სიკვდილის მერეც
მსურს
ვიყო
ეპისი.



იყო ერთი მხატვარი

მხატვარი, ყოვლად უანგარო, ცხოვრობდა ერთი,
ცოტა არ იყოს, უცნაური,
უფროსთა სიტყვით.
ნივდევდით ხოლმე პატარები
უკან და გვერდით,
სასაფლაოსკენ მიდიოდა როდესაც იგი.

მას ვაზირობას ტორროლასი უწევდა ბარტყი,
მოლბერტი მიწად ღუზასავით ჩაეშვა მხატვარს,
ნავმისადგომი ვინაიდან იქ იყო მხატვრის, —
ამობურცული იყო ზვირთნი საფლავთა სადაც.

მკერდგაღეღილნი გლეხნი ხნავდნენ იქვე ყანობირს,
ერკინებოდა ყომრალ მიწას წითლონი ურჩად,
და გუთნის ორნატს,
ღრუბლის ქულას,
ჩიტის გალობას
იმეორებდა ფერადი ფუნჯი.

ყელშეფუთული — დამდნარი შარფით,
გალობასავით შერწყმული სივრცეს —
უხმოდ უხმობდა იგი მერქანს აზნექილ წარბით,
და მხატვრის ფუნჯზე
ნერგი ფესვებს იდგამდა მყისვე.

როცა შინისკენ ბრუნდებოდა მხატვარი ზანტად,
ცისარტყელათი სავსე ჰქონდა როდესაც ტანი,
ფეხის გადადგმა,
ეტყობოდა,
უჭირდა მხატვარს,
იღლიით რადგან ვეებანი მოჰქონდა მთანი.

ხდიდა ზამთარი მხატვრის სარკმელს ბნელსა და მრუმეს,
და ქარაშოტი აურევდა როგორც კი გარეთ —
მზეს აჩაღებდა ცივ ტილოზე მხატვარი უმალ,
რომ უკუეგდო ხეთაგან ქარი.

მოჰქონდა სიდან?
ვინ აძლევდა?
იძენდა როგორ?
რა მანქანებით შოულობდა მზეს იმ ყინვაში?
ვერვის გაეგო,
ამიტომ ზოგი
გრძნობდა რაღაცას, — შიშისმაგვარს მხატვრის წინაშე.

ამგვარი ხალხი, რომ არსებობს, ღმერთმანი, ვაშა!
სხვისი სიამე ურჩევნიათ საკუთარ ლხენას
და, როს ქრებიან,
ისეთ კოცონს ტოვებენ მაშინ, —
მომავლისანი
იმ კოცონთან
თბებიან დღენი.

არ ფორჯალობენ, —
თესლუკანი რომ ჰპოვონ შვების, —

სადად ცხოვრობენ,
კვდებიან სადად;
გალაქტიკანი გრძნობათანი ჩვენ მათგან გვრჩება,
ადამიანებს პრაქტიკულებს
არ ესმით მათი.

პ ო რ ტ რ ე ტ ი

დვახარ სარკმელთან.
სადღაა გორა?
თქეშმა წარეცხა,
როგორც მირაჟი.
სარო ფუნჯივით მოძრაობს სწორი
და სურათს ხატავს შენსას მინაზე.

უჩვეულოა სურათი იგი
(ვერ დახატავდა მას ბარე ორი);
გუგუ-ა შენთა ანთია შიგნით
ბოპირდაპირე კვარტლის ნეონი.

სულათ იმოსვის გარედან ხორცი,
ქუჩა ლაპლაპებს,
როგორც ცორანო, —
და შენი შუბლის ნაოჭზე ორზე,
ვიი ნაურმალზე,
მიდის ფორანი.

ცად შემოდგომის მუქდება სევდა,
ქალაქს ღრუბელი აწვება მძიმე;
რაც თავი გახსოვს,
პირველად ხედავ —
შენს სულს მინაზე დახატულს წვიმით.

პირველი ზღვა

გახსოვს მოხუცი მრეცხავი ქალი? —
წინა ეზოში ცხოვრობდა ისა.
წვიმებით დაღრღნილ მესერთან მდგარი,
მუდამ დღე
ვარცლი
ელავდა
მისი.

მას ზღვის არასდროს ენახა ქედი,
თვალს ლაგუნასი უსებდა ქაფი,
და სხვისი ჩვრების ბრაგათა ზედა,
მზე — ფერწასული —
ბზინავდა საპნის.

ათასში ერთხელ,
როდესაც იგი,
თავს აიღებდა ვარცლიდან ნელა,
მაშინ სივრცეში,
ეცთ ზათქი ზვირთთა,
ისმოდა მისი
ხველება ხმელი.

ბავშვები ისხდნენ ყოველთვის მასთან,
შხეფებს ისროდა
ოცნება მათი:
სადაც არხევდა ყვავილთა ნაზთა,
პალმაზე
ზანგი
არბოდა
მარდი.

გეჯაში,
როგორც ობოლი თევზი —
მუშის პერანგი ცურავდა სადა...

და იქ ქვეყნისკენ ეჭირა გეზი,
თანასწორობა
ბატონობს
სადაც.

...რაც უნდა გქონდეს შენ ახლა მიზნად,
ყველგან და მარად გახსოვდეს, გმართებს! —
იმ ზღვას ხველება აზვირთებდა და არა ბრიზი,
იმ გემს იალქნად კალატოზის ეკეთა კვართი.

ოლე ბაქანზე

ხეო ბაქნისავ —
ერთადერთო მგზავრო უგეზო,
ხარ დარჭობილი რა ხანია შენ ამ ჭიშკართან...
და რაც აქამდე
შენ ორთქლმავლის გინახავს შუქზე,
არა მგონია,
სხვას ენახოს
იგი, შენს — გარდა.

უხმო რელსებზე
კისერს იტეხს
ტაროსის ღმერთი,
წიკილ-კიკილით ორთქლმავლები დაქოშინობენ —
ვით ნაფლეთები ჭვარტლისანი
ტოტთაგან შენთა
სცვივა და სცვივა
ბელურები
გათოშილები.

თოვლს გამოუჭამს ნაურმალი როდესაც მუცელს,
არავთა წნევით საფლავები როცა რეკავენ,

ისე ამაყად იწვდი ხოლმე შენ მწვანე ფურცელს,
ხელში ბილეთი მატარებლის თითქოს გეკავოს.

სიახლეს შენსას
ორთქლმავალი ვერ ამჩნევს სულაც,
— სამხრეთისაკენ! —
ლაშლაშებენ ბორბლები მისი...
გიკვდება გული
და გულმოსული, —
სადაც იდექი,
იქ რჩები ისევ.

წამოდი ჩემთან,
აგიყვან მთაზე,
ჩანჩქერის შხეფებს გასხურებ წმინდას...
ღრუბლის ქულაზე
გულაღმა დაწექ
და იოცნებე
რამდენიც გინდა.

დაგტოვებ წუთით,
გეწევი ისევ,
და შენ თუ ზღაპარს მიამბობ მერე, —
წინასწარ ვიცი,
ლექსს დავწერ ისეთს,
როგორსაც მხოლოდ სიზმარში წერენ.

სატვირთო ვაგონები

არ შემოსულან არასოდეს
მთავარი ბაქნით,
ჯერ არ გამხდარან
ყვავილებით შეხვედრის ღირსი.
მათ დანახვაზე
ტუჩს იბზუებს
ნაწილი ხალხის,
ოშვიათად თუ ჩანან ხოლმე ისინი დღისით.

რომ გაწყრეს ღმერთი
და ზეიმით კიდეც რომ შეხვდნენ, —
უკაცრაული პასუხია, —
ჰკიდიათ ფეხზე;
დაჩვეულები არ არიან რადგანაც პატივს,
აღმართებია
ვინაიდან ამპლუა მათი.

მათი საქმეა
ქარიშხლიან ღამით ძუნძული
ტოტებს და სიზმრებს
წყალი გასდის როცა წურწურით.
ცეცხლფარეშია
ყველაფერი ამ ქვეყნად მათთვის
(არის რომელიც,
უნდა ითქვას,
საკმაოდ მარდი),
ღია კარიდან
ღამის წკვარამს რომ უმზერს ახლა
და სიგარეტი —
ღიმილითურთ —
უნათებს სახეს.

გადმოუგდია ქოფაკივით ორთქლმავალს ენა,
გამურულია ვაგონები ნახშირის მტვერით.

მაგრამ ისინი
მე ასეთნი მიყვარან სწორედ,
რადგან ერცახეც არ ექნება ორთქლმავალს ღონე
(თავს გამოჰყოფდა მაშინ იგი როგორ და სადღა), —
რომ წამდაუწუმ არ ილებდეს ნაკვერჩხალს მათგან.

რა დიდი ჰქონდა მნიშვნელობა,
ახლაღა ვხედები,
ერთხელ შენიშნულს,
გზის გუშაგის საქციელს ჩემგნით:
მატარებელმა გაიარა სამგზავრომ როცა,
მან წესისამებრ აჩვენა დროშა;
ხოლო სატვირთომ გაიარა როდესაც მძიმემ —
ჯარისკაცივით
გამოეჯგიმა.

ჯიმრია ალბათ,
მე რომელიც დამჩემდა იმ დღეს, —
ხმას რომ გავიგებ რელსებისას, —
შევკრთები მყისვე.
თან ვხარობ,
რადგან, —
ვხედავ:
ჩემი სატვირთო მიდის
და კვამლით,
როგორც ცხვირსახოცით,
შუბლს იწმენდს იგი.

ვხარობ მაშინაც, —
მიჰქრის როცა ვაგონთა მწკრივი, —
სადაც ტილჭირი ან წალიკა
ჰყვაოდა წინათ;
ისინი მაშინ
შავ მუშებს ჰგვანან,
მტვრიან მორებზე
რომ სხედან წყნარად;

პურს სტეხენ ძმურად,
იყუდებენ ტუჩებზე სურას.

ეშლება ზღვარი ყოველგვარი
ჩემს აღტაცებას, —
კაცი, —
ვაგონზე მიხატული, —
თუ ენახე ცარცით;
რადგან ეს ნიშნავს, —
რომ ვაგონებს ჰყავს ხმის გამცემი,
სხვისი რომ შესჭირს,
არსებობს კაცი.



თოვლი

ამ სახურავებს, რომ ბზინავს წითლად,
ამ ვიწრო ქუჩებს — შავად რომ ელავს,
ერთხელ მაინც არ ეწვევა ციდან
თოვლი, სპეტაკი, ვით ნათლის სვეტი?
ეჰ, შენი მტერი არაა მეტი!

ამ შავ ქალაქში იმრიგად ბნელა,
ზამთარიც შავი იქნება ალბათ.
აქ თოვლის ფანტელს რა უნდა, აბა!
და, თუ მოფრინდა, გაუწყრა ღმერთი,
იყოს, თუ გინდა, ზამბახზე თეთრი! —
შავ დღეს დააყრის ფეხი მეძავის, —
მყის გააშავებს მას ღამესავით.
მოსვლისთანავე უღმერთოდ გათხვრის
კვამლი და ჭვარტლი ვაგზლის და ქარხნის.

თეთრად ბაღებში მხოლოდ დარჩება,
იქ, ითამაშეს სადაც ბავშვებმა.

44 AVENUE DU MAINE

1. ღმერთს რა შევცოდე ისეთი ნეტა,
რომ ამ ეზოში დამიდო ბინა?
აქ ორჯერ უფრო მცირეა დღე და
ხე არ ჭაჭანებს არც ერთი ძირი.

ცხვირწინ ვაგზალი უღმერთოდ ხრჩოლავს,
ცეცხლმა რომ იცის — ჩამქრალმა ისე.
კი, მარა, თვალს თუ ვერაფერს მოკრავ, —
არის ფანჯარა მაქნისი რისი?!

მატარებლების ქშენა და ბუკი,
ზედ ყურის ძირში მაინც არ იყოს!
ერთ წელიწადზე მეტია უკვე,
რაც გადებული ვარ გზაზე თითქოს.

2. იგივე ეზო. ფანჯრები კედელს
რვა მწკრივად გასდევს სამთავე მხარეს,
რომელიმეში ნუთუ ვერც ერთხელ
ვერ უნდა მოვკრა კაციშვილს თვალი?!

მაგრამ, დღეს რაღაც ისეთი ხდება,
რაც დღეის დღემდე მომხდარა როდი,
ჟინჟღლავს და შუა ეზოში, ვხედავ,
დგას კაცი — ხელში ვიოლინოთი.

უცებ სიმღერა გაისმა ძველი, —
ერთფეროვანი წვიმაზე მეტად.
და ეს სიმღერა, ცოტა ხნის მერე,
როგორც დაიწყო, ისევე შეწყდა.

ჩანან ფანჯრებში ქალები მწკრივად, —
ცხარე ცრემლებად ქცევიათ დარდი,
და ფანჯრებიდან ეზოში სცვივა
ხურდა ფული და წუწუნი მათი:

— ხარ უსინათლო ჭაბუკი შენა,
თუ მაწანწალა — ნატრული ჭერის!
რა დაგიშავეთ, — რომ შეგვახსენე —
ესოდენ მწარე ცხოვრება ჩვენი.

ბედი ხომ იცი, გვეპყრობა მტრულად,
ფრთა ვერ გაშალა ოცნებამ ჩვენმა,
კარგის ნატვრაში ამოგვდის სული...
გველირსება კი ოდესმე შვება?

ს ა ღ ა მ ო

დავეხეტები ქუჩაში მარტო.
წითელი, როგორც სახურავები,
სახურავებზე იწვის საღამო.
ღა მე ვიგონებ — შემყურე ამის,
რომ ნეაპოლშიც მწუხრია ახლა:
სახლის ფანჯრები — ყველაზე ზედა —
მკვეთრად ელავენ მიმწუხრის ალზე.

მთლად ნეაპოლის ელვარებს ყურე.
როგორც ქარისგან ლივლივა მოლი,
ტალღები ისე მოდიან მწვანე.
და ბრუნდებიან გემები ზანტად,
ვით საღამოთი ძროხების ჯოგი.
თვალისმომჭრელად ჭრელია პირსი.
ხალხი კურთხევით აცილებს ამ დღეს —
ზრუნვით სავსეს და თავად უზრუნველს,
მაგრამ მე ახლა იქ არ ვარ უკვე.

ეს მწუხრი ახლა პარიზშიც იწვის:
ლუქსემბურგისას ხურავენ ბაღნარს.
ხმა საყვირისა ჰგავს მოწოდებას,

და მოხმობილი თითქოსდა მისგან,
თეთრ ხეივანში ეშვება ბინდი...
პოლისმენს მისდევს ბავშვების გუნდი,
ყოველი ბავშვი შეფრფვინვით ისმენს
ზეაწეული სპილენძის ძნობას.
სუყველა ხარობს და ყოველ მათგანს
მესაყვირესთან სურს იყოს ახლოს.
ფართოდ გაღებულ ჭიშკრიდან ლაღად
ხალხი ხმაურით გამოდის გარეთ, —
მაგრამ მე ახლა იქ არ ვარ უკვე.

რატომ არ ძალგვიძს ერთბაშად ყოფნა
აქაც და იქაც, სუყველგან, სადაც
ღვივის ცხოვრება — უოხჭნოდ მჩქეფი?
თანდათან ვკვდებით, თანდათან ვქრებით,
ზოგჯერ აქისთვის, ზოგჯერ იქისთვის
მთლად არ გავქრებით დაბოლოს ვიდრე.

შეხვედრა ვაგზალზე

მე სადგურზე მარტო ვიდექ
და ველოდი მატარებელს.
მოვიდოდა იგი ვიდრე, —
გამობრწყინდნენ ტატანები.

ქარს მოჰქონდა ჩემთან ხმები,
როგორც სიყრმის დაბრუნება:
ყიყინებდნენ ბაყაყები,
სადღაც ტუმბო ჭყაპუნებდა.

უკვდავების მწამდა ძალა,
არ მიღირდა თუმცა ჩეთად;
მატარებელს ვუცდი სანამ,
თვით არ გაჩნდა იგი ჩემთან?!

უფსკრულები გახსნა ღრმანი,
შ‹ გ არ იყო განძთა ტევა,
ცისარტყელის იძრო ხმალი,
ვარსკვლავების სწყვიტა მტევანს.

გამაბრუა, როგორც ღვინომ,
და მთელ ტანში ცხოვლად ვიგრძენ:
როგორ ეპყრა უცხო ღიმილს
უსასრულო ლურჯი სივრცე.

შემიკავდა წუთით სუნთქვა,
შევაპარე მოკრძალებით:
დიდებული რამ ხარ, თუმცა,
ვხარობ შენი მობრძანებით,

მაგრამ გეტყვი, მაგ შენს ძალას,
მე, რა ვქნა, ვერ შევეჩვევი,
ამ მიწაზე, არის რადგან,
რაც კი რამე არის ჩემი.

უკვდავების არ მსურს წყალი,
შევაბერდე არ მსურს ზეცას,
გზაზე რჩებათ ჩვენებს თვალი,
შინ ელიან მისვლას ჩემსახ.

შენთვის ცოტა უცხო კია,
მაინც გეტყვი თუ არ დამსჯი:
შენს სინათლეს მირჩევნია
შუქი ერთი მცირე ფანჯრის.

მოთხრობა

ჩაშავებული, ჩაგმანული არის ფანჯრები,
ჩასაგული და დახშულია კარებიც სახლის.
ხოლო კარებზე ქაღალდია მოკლე წარწერით:
„სახლის პატრონი წასულია ამერიკაში“.
ამ ძველი სახლის— სადაც უკვე არავინ ცხოვრობს,
რაც თავი მახსოვს, ერთადერთი მე ვარ პატრონი,
მაგრამ მე ფეხი არ გამიდგამს აქედან არსად,
არც ხელმეორედ არ მოვსულვარ აქ საიდანმე.
ოთხკედელშუა ჩაკეტილი, ცხვირს არ ვყოფ გარეთ.
წლები არიან ერთადერთი სტუმრები ჩემი.
კაცმა არ იცის, მერამდენედ ყვითლდება ბაღი!
მეც, რა თქმა უნდა, რაც ვიყავი, აღარ ვარ იგი.
წაკითხულია ფოლიანტი უკლებლივ ყველა,
მოგონებათა ყველა გზები არის გავლილი.
წელი იქნება ასი მაინც, თუ არა მეტი,
რაც მე ამ დიდრონ სურათებთან ვსაუბრობ მხოლოდ.
დღისით და ღამით, განუწყვეტლივ, დღისით და ღამით
არწევს და არწევს ლითონის მზეს საათი კედლის.
თავს ვაკვირდები მე საკუთარს სარკეში ზოგჯერ,
ხანდახან მაინც მარტოდმარტო არ ვიყო რათა.
საღამოობით კედელ-კედელ ადიან ხოლმე
და მერე ჭერზე სულს ღაფავენ დღეები ჩემი.
უსიყვარულოდ, უმეგობროდ, უფათერაკოდ,
ცხოვრება ჩემი ამ ოთახში უჩუმრად გადის,
არ ვყოფილიყო მე ამ ქვეყნად არც როდის თითქოს,
თითქოსდა ჩემი არსებობა — ჭორია გლისპი.
შემთხვევით კარებს შემოაღებს უკეთუ ვინმე, —
ძეხორციელი არ დახვდება ოთახში ერთიც.
იხილავს მხოლოდ უშველებელ მტვრიან სურათებს,
ცბიერს და ვერაგს და ცარიელს შენიშნავს სარკეს,
ხოლო კარებზე გაყვითლებულს შეამჩნევს ქაღალდს:
„სახლის პატრონი წასულია ამერიკაში“.

ავტოქრონიკა

ღედაბიწაზე უღროოდ გავჩნდი,—
დრო შემხვდა ერთობ მკაცრი და ფიცხი;
ჯერ კიდევ ყოვლად უმანკო ბავშვმა
ვიხილე კაცის დაღერილი სისხლი.
ლაღი დღის სიტკბოს ვიგრძნობდი სანამ,
პირში ქვემეხის მეძგერა კვამლი;
ძილის წინ შლაგერს მიმღერდა ნანად
ლილი მარლენი! — გარყვნილი ქალი.
თითქმის ყოველლამ ქვემეხნი ყეფდენ,
გაუდიოდა ზეცას კაშკაში...
ვერ მოვიშალე ამიტომ დღემდე
საჰაეროსი შიში განგაშის.
გულად ფოთოლი მიძგერდა ვერხვის,
ვიყავი მორცხვი, როგორც ენძელა,
სათვალიანი ბიჭუნა მერქვა,
ყველა საგანში ექვსი მეწერა.
არ ვიცი, იქნებ, ეს სიზმარს ჰგავდეს,
ვერ დავივიწყე აქამდე ოღონდ;

დავწექი ბავშვი, ვაჟკაცად ავდექ:
ქუჩაში ეგდო ჩემხელა გოგო.
ოქვით, ვარ თუ არა მე ახლა ღირსი, —
თავისუფლებას დავუკრა ტაში,
მე, ვინც გაკვეთილს ვსწავლობდი მაშინ,
ოქვენი იღვროდა როდესაც სისხლი!

ᲔᲔᲓᲠᲔᲑᲐ

შესდექ! მოიცა! ვიდრე წახვალ, ვიდრე დამტოვებ,
ვიდრე გახვალ და ოთახის კარს გაიჯახუნებ,
გთხოვ ჩემგან ყურად ეს მუდარა იღო მარტოდენ:
უკანასკნელად შენი ცხელი ტანი დამხურე!
შეგმატებს რამეს, — მე რომ უცბად სული ამომხდეს?!
დარჩი!
რა მოხდა?!
არ მინდა ჩემგან წახვიდე ისე, —
ერთხანს ერთ ჭერქვეშ ცხოვრების ნიშნად, —
დიდი სიამის არ შემქნა ღირსი —
და შენი მსგავსი შვილი არ მიშვა.
ავადმყოფურად მეშინია მე ამ ჯურღმულის,
შენს შემდეგ ყოფნა უნებლიეთ მომელის სადაც...
ამიტომ ნუ ხარ ისე უგულო, —
ცოტაც მოიცა და მერე წადი.
ბიწაზე დამცემს ოლესავით სიბერე როცა,
და წლები დენას დაიწყებენ როგორც ღელენი...
ბრმა და მოხუცი რომ გავხდები, ვით ჰომეროსი, —
ასულმა ჩემმა შემაშველოს მინდა ხელები.
ქვეყნით ქვეყნამდე შვილმა ჩემმა მატაროს მინდა, —
სული მთავარი ამომივა გვამიდან ვიდრე.
დაბრუნდი, მოდი, ქალიშვილი მაღირსე ოღონდ! —
მერე მოიქეც, — გერჩიოს როგორც!

მსურს დედამიწა შემოვკორღნო მე მასთან ერთად;
კეთილი ვაქო, ბოროტი დავგმო,
მსურს ყველა ჩიტის ეისწავლო ენა, —
და მერე კაცის ენაზე ვთარგმნო.

რ ე ქ ვ ი ე მ ი

ჭირის დღედ გვიჩანს მე და შენ გაყრა;
შენ გინდა ჩემთან, მე მინდა შენთან.
მაშ რატომ დაგვდო სულზე ამ ხალხმა?!
რატომ არ უნდათ, რომ ვიყოთ ერთად?!
ო, ხალხი, ხალხი, უგულო ხალხი!
რას გვიშვრებიან! არც კი რცხვენიათ!
მე მატყუარა ვარ მათი აზრით,
შენ კი, ნუ იტყვი თურმე — გერია.
მეძებრებივით დაგვდევენ უკან,
კვალს ჩვენსას ყნოსვით აგნებენ ხოლმე...
ჩვენ კი, ამ ჩვენი მბეჟუტავი შუქით
მათ გავუმკლავდეთ, სად შეგვწევს ღონე?!
ერთურთს ვაგზალზე ვშორდებით თითქოს,
ორთავეს სული გვევსება თოვლით...
შენ თრთი, არა აქვს შენს პალტოს სითბო.
— გზა მშვიდობისა! — მომძახი თრთოლვით.
და ერთმანეთში ირევა ახლა, —
ტრფიალი, ფული, ორთქლმავლის კვამლი...
რაც შემიძლია, მე ფაუსტს ვთათხავ,
დღემდე რომ მისი არსებობს გვაგი.
ვიყრებით, ვიცი. ამიტომ გთხოვდი,
გამოვიყენოთ ეს ორი წუთიც;
სასაფლაოზე გავიდეთ, მოდი,
მკვდართა წინაშე ვაკოცოთ ურთერთს.
მწამს: მათი უფრო გაგვიგებს ავლი,
სამართალს მხოლოდ მე მათგან ველი...

ვართ დასჯის ღირსნი?! მათ დაგვდონ ბრალი!
ხომ ხედავ, ცოცხლებს არ ესმით ჩვენი!
წამო! ჭირიც კი კარგია ზოგჯერ!
რა ბედენაა მღილი და ობი!
მოვკვდებით?! აღარ დავეძებ! — მოვკვდეთ! —
ნება მკვდრებს მაინც გვექნება ტრფობის.

დონ კიხოტი

ვემთხვევი შენსას, დონ კიხოტო, ჟანგიან დაშნას!
ოქროსი მინდა შენს როსინანტს დავაკრა ნალი!
შენ გაიხარე, ეგ ჯაგლაგი რომ ახსენ ბაგას
და ქვეყანაზე საყიალოდ დეზი რომ ჰკარი.

თვინიერ შენსა, შენისთანა ვის უვის სატრფო?!
სამართალს ქვეყნად, სხვა ვინ არი, შენებრ რომ ნატრობს?!
ყოველი დროის კანონთანი ვინ არის მტერი?! —
თუ არა შენ და, ეგ, პირბლაგვი მახვილი შენი?!

ვინ დაიკვეხნის პატიების შენხელა უნარს?!
ყველა ჩაგრულზე, შენოდენი ვის ძალუძს, ზრუნვა?!
ვინ აიტანდა, შენ რომ იტან, დაცინვას იმდენს?!
სხვა ვინ ბრძანდება, შენებრ მტკიცე და არამკითხე?!

მიყელებს ხოლმე როცა ღამე ვით შავი თოვლი,
არსობის ჩვენის მიმწარდების როდესაც პური, —
ო, როგორ მინდა მაშინ შენი საფლავის პოვნა,
რომ მოვიოხო იქ ცრემლით და სიცილით გული.

ეპილოგი

ენარცხებიან დედამიწას კედლები ზათქით,
ჩემს შორიახლო გააქვთ კედლებს ლიწინ-ლიწინი!
მოულოდნელად სულმა ჩემმა შემოჰკრა ფრთა ფრთას, —
აიწია და გაექანა ცისკენ სიცილით.
მიფრინავს სული, —
გაჟღენთილი რწმენით და ცრემლით.
გამდიდრებული.
ღღეის დღემდე უღარიბესი.
ბიქშუის სული, და უეცრად ფრთას რომ აძგერებს,
ბალავრებითურთ ანგრევს კედლებს მწუხარებისას.
და მიჰქრის სული,
საოცარი სისწრაფით მიჰქრის,
ჭიმჭიმელს უნდა გაუსინჯოს რამეთუ გემო...
ნავარდს სულისას
ხავსიანი ქონგური ციხის
შესჩერებია დამცინავად ქვემოდან ზემოთ.
მაგრამ ამ ქონგურს სული მალე უტირებს ყოფას, —
ერთს გაეხლება და მუნთქვესვე ჭირს მოგჭამთ იგი.
აბიბინდება ნაციხარზე ჯეჯილი ქორფა,
მიწას ოცნება დაეფრქვევა, ვით თოვლის ფიფქი.
და, სადაც იყო ჩვენთა ძველთა ციხეთა ნაშთი, —
გაიზოდება ხოდაბუნი, — ზღვასავით პაშტა.
ეს უნდა შევძლოთ,
ვინაიდან ძალუმად გვინდა,
ეს უნდა შევძლოთ,
შეგვეწია უკეთუ ყინიც.
და თუ ვერ შევძლებთ, —
თავდაყირა დავეშვათ ციდან
და ტინზე, როგორც არწივებმა, შევასხათ ტვინი.
კედლები მიწას ენარცხება
მზე სუფევს მუდამ.
გული როგორღაც უხმაუროდ ბუხუნებს ახლა.
ორწოხი ბრძანებს:
ის არწივი ასცილდა ბუდეს! —
თავისი თვითონ მიმოლეწა რომელმაც სახლი.



ძ ე

ო, ძეო ჩემო, ჩრდილო ჩემო, შენ, — ჩემო ყველავ!
არა! მე შენი გამტყუნების არა მაქვს ნება! —
ვარ ვინაიდან უმთავრესი სათავე შენი
და სრბოლაც შენი — ძირითადში იწყება ჩემგან.

ო, ძეო ჩემო, სისხლო ჩემო, ჩემს მიღმა მჩქეფო,
რისხვაო ჩემო, — ჩემი რომ ვერ გიურვებს ძალა,
მოკრძალებულო უცხო სულო, — და მაინც ჩემო, —
ვის მაგივრადაც მე უნდა ვზღო ყველგან და მარად.

მე ვგავარ ხეხილს, დაძანძვია რომელსაც რტონი,
და საკუთარმა ძირს განართხოს ნაყოფმა ლამის...
ხე ვარ, რომელსაც (არ სწვევია ჯერ თუმცა თოვლი)
არ შეარჩინა ზრუნვის ქარმა ფოთოლი წამლად.

ო, ძეო ჩემო, ქვაო ჩემო, რომელიც ბრწყინავ, —
ცრემლებს გაპკურებ, რომ გაგხადო უფრო ბრწყინვალე...
ქვაო პატარავ, — ხელისგულზე რომ გიდებ ფრთხილად
და გათბობ სუნთქვით, გარეთ როცა ყინვა მძვინვარებს.

ო, ძეო ჩემო, დაკარგულო ულექსოდ დროო! —
მე შენზე ფიქრმა ჯერ კინალამ მომიღო ბოლო...
შენი წყალობით იმ პოემად ვიქეცი მერე,
რომლის ბოლოში: „გაგრძელება იქნება“ სწერენ.

ს ე ვ დ ა

რამდენი სევდაა ამ მდინარეში,
რამდენი სევდა!
საიდან ამდენი სევდა
ამ ერთ მდინარეში?

არაფერია შიგ, არაფერი,
გარდა ჩემი დახრილი სახისა,
არაფერია ჩემს სახეზე, არაფერი,
გარდა ორი თვალისა.
ორი თვალი,
ადამიანის ორი სევდიანი თვალი
ჰყოფნის მთელ მდინარეს...

დაგვიანებათა მდინარე

ამ ღელის გამო მე ყოველთვის ვაგვიანებდი!
ამ ღელის ჭავლებს ჯერ კიდევ მიაქვთ
ჩემი ფარული არდადეგები...
ჰქუხდნენ გორები, ვით დაფდაფები.
ტირიფის სტვირით უსტვენდა წყალი.
ჟღერდა მარადი ზეიმით ღელე.

ღა იყო იგი ძალიან ლურჯი,
ძალიან მწვანე, დროდადრო მრეშიც...

შახტებით იყო მოფენილი პირნი წყლისანი...
მაგრამ ყმაწვილებს ურყევად სწამდათ:
თავისით იყო მდინარე ლურჯი,
თავისით იყო ხანდახან მრუმეც...
და მწიფდა ქვები მდინარის ფსკერზე,
ვით ფორთოხალი მწიფს ხოლმე ტკბილი...
გზაზე ბრჭყვიალა ეყარა ღორღი, —
მე დავდიოდი სკოლაში ამ გზით...
დაყიალებდნენ ქაღალდის ნავნი
ხან წითელ ზღვაში,
ხან ყვითელში,
ხანდახან შავში.

ქარს მიმოქონდა ტირიფის ბურტყლი, —
სიზმარეული სასთუმალი ცეროდენასი.
ქვიშის მარცვლები მოცვივოდნენ, ვით გუნდნი თევზის,
მდინარის ფსკერით ფორთოხალთა ისმოდა ჟღერა,
ალად დაჰქროდა მდინარეზე ქარი მზოსანი,
მზე ჯიბუკებად აჭედებდა ჩრდილებს რიყეზე...
წყალში ცვივოდნენ შემოდგომის ფოთლები ისე,
ვით მოყვითალო საღამონი, — მთვარით ნაფერი.
ღელე, ცხადია, იყო გრძნეული...
და მე რადგანაც თვალთმაქცობა ვიცოდი მისი, —
დაგვიანების ტყემ დაფარა დღიური ჩემი:
დავაგვიანე პაემანზე პირველზე მარტში.
ივნისის თვეში გამოცდაზე დავაგვიანე.
ჩემდა აუგად პირველ ბალზეც ვერ მიველ დროზე.

ასე, თუ სადმე სასიკეთო გამოჩნდა საქმე. —
იქ მე ყოველთვის ვაგვიანებ, არ ვიცი რატომ?
მაგვიანდება ყველგან, — სადაც მომელის ჯილდო,
რისკენაც ასე თავგანწირვით ისწრაფვის ხალხი.
რატომ გიყვები, მეკითხები, ყველაფერ ამას?!
ეჰ, ჩემო კარგო, არ იცი განა? —
მოგონებანი აგრძელებენ სიცოცხლეს ჩვენსას,
უკვდავებამდე აგრძელებენ ხანდახან თითქმის.

თოვლთან გამოთხოვება

იმ დღეს, მთას როცა გამოვეთხოვე, —
უკლებლივ ყველამ გაცილება ისურვა ჩემი,
მაგრამ სუყველას აჯობა თოვლმა, —
სამოკოვამდე ჩამომყვა თითქმის...
იქ დაწვა ოგი და აქვითინდა;
ტიროდა თოვლი,
ტიროდა, როგორც
უკუგდებული ზლუქუნებს ზანგი.

ოოვლო, ჩემს თმაში, რომელიც დნები,
ალმასო ჩემო, გვირგვინო ჩემო,
უფრო და უფრო,
რაც დრო გადის,
რომ გიყვარდები, —
გაზაფხულობით ცხარეთი რომ მასველებ ცრემლით, —
ერთი წლით როცა ვშორდებით ურთერთს...

სამხრეთელთანიც თეთრდება თმანი.
ჭაღარავდება ერთხელ და მარად —
თბილი და მრეში
ზილფნი ქალთანი...
როსმე შუქს შენსას
შენ იქაც შეჩრი...
და, ღმერთმა იცის, —
სად, რომელ ჯანღში
მე ჩავემხობი,
დავღვარო რათა
თეთრი დიაცის
მხცოვანი ცრემლი.



ᲡᲘᲡᲬᲠᲐᲤᲔ

ისეთი სისწრაფით ვიძვრი:
კილომეტრია თუ წამი?!
ხეა თუ ქარია მწვანე?!
ქარია თუ შუილი ყურთა?!
გზისპირა ყაყაჩოა თუ ნაპერწკალი?!
სისწრაფე!

ისეთი სისწრაფით ვიძვრი:
შორეთია თუ ცხვირწინეთი?!
აღმოსავლეთია თუ ვაშლი წითელი?!
სისწრაფე!

ოცნება სიყვარულზე
ფუვდება მწველ იარად.
ჩქარა, შენსკენ!
შენსკენ, ჩქარა!

გზები ჯვარედინდებიან ერთი წამით
და იყრებიან

ასეთი სისწრაფით,
რომ შეხვედრაა თუ განშორება?!
ღიმილია თუ ცრემლი?!
ოცნებაა თუ მოგონება?!
სისწრაფე!

მე სიერცის გადაკვეთით მივქრი,
ამოფლეთილი მატერიიდან,
განტვირთული სიმძიმისაგან,
სხივად ქცეული,
უხორცო.

რათა მივაღწიო მიწას,
გავათბო იგი
მხოლოდ ერთი წამით,
და, მხოლოდ ერთ წერტილში
ჩავქრე იქ.

ჩემს მამას

1.

არ წამოგცდენოდა რათა კვნესა,
მომკვდარიყავი რათა მშვიდად,
არ შემშინებოდა რათა! —
აღსასრულის წინ
ძალები მოიკრიბე
წარმოუდგენელი შენ.

ჩემს ხელში ციოდებოდა შენი ხელი
და შეუმჩნევლად მივყავდი იქ,
სადაც სამკვიდროა სიკვდილის, —
ჩემთვის რომ გაეცნო იგი.

ოდესღაც ასევე ეჭირა მას
ჩემი ძალიან პატარა ხელი,
და სად არ დავყავდი, სად არა —
მაცნობდა ცხოვრებას, უნდოდა:
არ მშინებოდა არაფრის.

შენს კვალს შევუდგები ბავშვის ნდობით,
მეც იქ გეახლები თავის დროზე,
სადაც შენ წახვედი ჩემზე უმალ,
თავი რომ არ ვიგრძნო იქ უცხოდ მე,
და შიში ვიუცხოო მხოლოდ.

2

გარდაცვალება დაიწყო შენი
ჯერ კიდევ მაშინ,
მე გავჩნდი როცა! —
მით უფრო მცირდებოდი დღითი დღე შენ,
რაც უფრო ტანს ვიყრიდი მე.

ჩემმა ბავშვობის ანგინამ
და ახტაჯანობამ შემდეგში, —
გული დაგიკოდა შენ.

მე რომ ვფლანგავდი სიცილს უზრუნველს,
შენ არა ზღავდი დღეებით შენით?!

რა მზრუნველობით ისვამდი მუხლზე,
და რა სათუთად ეფერებოდი
სიკვდილს შენსავეს, მამა.

ზვავი

აი, რა არის ზვავი:
თვინიერ, უბიწო, დაზვინულ თოვლს
სძინავს და ეზმანება სიზმრები თეთრი.
მას ვერ აღვიძებს თვით გაზაფხული.
მაგრამ უკეთუ უტიფარი შეეხო ტერფი,
ან, თუ ურიდი ხმა ჩაწვდა ყურში,
თვალის უმალეს იხუვლებს ზვავი.
და უწყინარი, მხცოვანი თოვლი
უცბად თავისას იბრუნებს სიჭაბუკეს,
ოდეს ის იყო ნაკადი შმაგი,
მქუხარე ღრუბელი
და მძვინვარე ოკეანე.
და ძირს მოქანავს თავპირისმტვრევით,
აპობს გრუხუნით ჰაერს,
გვიხუტებს გულში, როგორც წნეხი,
რომ ჩვენც ვიძინოთ ერთ ადგილზე, —
თოვლის გულმავიწყი ძილით.
რომ აღარ იყოს ხმა ფეხისა,
რომ აღარ იყოს ღრიანცელი,
რომ აღარ იყოს არსად მღვიძარენი!

გამოცანა

მოვალეობათა ვერავითარი ჯუნგლები,
შემთხვევითობათა ვერავითარი ოკეანენი,
ვერავითარი მთები და ვერავითარი ზღუდენი
ვერ აბრკოლებენ ჩემზე მოშვერილ
გულისგამაპობელ მზერას.

ზემგრძნობიერი ანტენებით
ჩემი მთრთოლვარე გული

იჭერს უცნობ ტალღას.
გაზაფხულობით კუნთოვანი ქარები
ხომალდის ბაგირებით მეწევიან უსასრულობისაკენ.
იქ, სადაც ორი ხელი მოწყურებულია ხელებს ჩემსას.

მე მეძებს კაცი.
სხვა პლანეტიდანაა,
სხვა კონტინენტიდანაა,
თუ ჩამკონებელია სხვანაირად, —
მე შეუპოვრად მეძებს იგი.

ყოველი ჩემი დღე იწყება უმიზეზო თრთოლვით.
სამყარო აღსავსეა,
შეუძლებელი შესაძლებლობებით.
თუნდ ყველა ხელისგულმა და ღიმილმა მიმატოვოს,
მე მაინც ვიქნები შეპყრობილი სიყვარულით.

მე მეძებს კაცი.
ყველა გზა მიექანება ხარბი ჩაკონებისაკენ.
მე მეძებს კაცი.
და ჩემს ძებნაში იქნება
უკანასკნელ ამოსუნთქვამდე
იგი.



ᲑᲐᲚᲐᲓᲐ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐᲖᲔ

მუშაობდა მანქანა:
თრახ-თრახ-თრახ,
ამზადებდა მანქანა:
მარილს, შაქარს,
ფქვილს და პურს.
მუშაობდა მანქანა:
თრახ-თრახ-თრახ.
მანქანა იყო საკვირველი.
უცებ ვიღაცამ შენიშნა:
— აქ, საეჭვოა რაღაც! —
რატომ მარილი?
მანქანა გაჩერდა მორჩილად, —
მოხსნეს ერთი ბორბალი.
მანქანა მუშაობდა და ამზადებდა:
შაქარს, ფქვილს და პურს.
მანქანა იყო საკვირველი.
უცებ ვიღაცამ შენიშნა:
— აქ, საეჭვოა რაღაც! —

რატომ შაქარი?
მანქანა გაჩერდა მორჩილად, —
მოხსნეს მეორე ბორბალი.
მანქანა მუშაობდა და ამზადებდა:
ფქვილს და პურს.
განახევრებული მანქანა
ნახევრადსაკვირველი გახდა.
უცებ ვიღაცამ შენიშნა:
— რატომ ფქვილი?
მანქანა გაჩერდა მორჩილად, —
მოხსნეს მესამე ბორბალი;
მესამეს მიაყოლეს მეოთხეც,
რადგან მანქანა
აღარაფერს აღარ ამზადებდა.
იდგა მანქანა ყურებჩამოყრილი.
მანქანა აღარ მუშაობდა.
მანქანა ჟანგდებოდა.
აბლაბუდების გაუჩნდა წვერი.
და საკვირველი ახლა იყო ისღა:
არ დაცდენია წამლად არავის:
— აქ საეჭვოა რაღაც!

წარმოსახვა

მინდოდა გავმხდარიყავი
უსწრაფესი.
მინდოდა გავმხდარიყავი
აქილევსი.

და მანქანაში ჩავხტი,
თუმცა მანქანა არ მქონდა.
და გავაქანე მანქანა,
მართვა არ ვიცოდი თუმცა.

ფეხებზე დავიკიდე
წესები მოძრაობის:
რისი წითელი,
რისი ყვითელი;
ერთიც, მეორეც
მწვანეა ჩემთვის.
დასახლებული არი თუ არა,
რა მგამა-მეთქი, მავანი პუნქტი.
განვავითარე სიჩქარე 220,
გამოვასალმე წუთისოფელს 120 კაცი,
რომლებიც მიყვარდა, ისინი.
ეს კი მე მხოლოდ გავიგე მაშინ, —
უუკიდურესს მივაღწიე
როდესაც წერტილს.

გავხდი კიდევაც უსწრაფესი.
აქილევსმა ჰექტორი განგმირა მხოლოდ.

თაობის ანგარიში

არ გვისწავლია ჩვენ თანამიმდევრულად.
ჩვენ სიტყვა-სიტყვით შევისწავლეთ:
რა არის ა-ერწინაღი,
რა არის ბ-ლოკადა,
რა არის გ-არნიზონი.

და, ვინაიდან არითმეტიკის სახელმძღვანელოები
არ იყო დაბეჭდილი, —
იძულებული ვიყავით
საშინელების ციფრებით
გვესწავლა ანგარიში:
10 მოკლული,
20 დაჭრილი,

300 გადამწვარი სახლი,
სოფლები — გასწორებული მიწასთან.
და რადგან სკოლები იყო დაკეტილი,
რადგან მასწავლებლები ციხეში ისხდნენ,
და ჩვენ საკლასო არ გექონდა დავალება,
თემა არ ვიცოდით საწერი ვინაიდან, —
ჩვენ დროის ანბანი ამგვარად შევისწავლეთ:
კ — როგორც კომუნისტი.
ლ — როგორც ლენინი.
პ — როგორც პარტიზანი.
და, რადგან სკოლები იყო დაკეტილი,
და ბიოლოგიის სახელმძღვანელოები
არ იყო დაწერილი,
ჩვენ ადამიანის შექმნის შესახებ
ჭეშმარიტება ვისწავლეთ ასეთი:
200 გრამი პური დღე-ღამეში;
200 გრამი ბრინჯა თვეში,
ცოტაოდენი საჭმელი ზეთი,
და ბევრი ზიზღი,
და ბევრი დუმილი,
და ბევრი ბორკილი
და ბევრი რწმენა.
და, რადგან სკოლები იყო დაკეტილი,
და, რადგან ჩვენ ვაგლახის ვიცოდით ისტორია,
ჩვენ არ გვისწავლია ვაგლახი ისტორიის —
მეფეთა თარიღებით,
სარდლების თარიღებით,
წყობათა თარიღებით,
უაზრო ნაბიჯებით, —
დახუნძლულ-დაძანძული.
და, რადგან სკოლები იყო დაკეტილი,
რადგან ლაზარეთებად აქციეს სკოლები,
გვსურდა, თუ არ გვსურდა, ნებსით და უნებლიედ,
ხალხს ვეხმარებოდით ჩვენ ასეთნაირად:
უხელოს ვაძლევდით ხელს,
უფეხოს ვაძლევდით ფეხს,

თვალდამდგარს ვაძლევდით თვალს,
სასოწარკვეთილს — ნუგეშს,
თავშესაფარს — უსახლკაროს,
სამუშაოს — უმუშევარს; —
საქმეებს ჩვენსას ვერ იტყვის ენა!
ჩვენ არ ვსწავლობდით თანმიმდევრულად.
ჩვენ შევისწავლეთ ამბოხი და არასრულყოფა.
დანარჩენი კი
ვუანდერძეთ
შთამომავლობას.

ოდა ჩვენს თავისუფლებაზე

თავისუფლებავ,
გაჩენილო წლის მეცხრე თვეში,
თვალებში ჩვენში, ხელებში ჩვენში,
ძარღვებში ჩვენში, გულებში ჩვენში,
ბაგეთა ჩვენთა შეძახილებით:
სიკვდილი ფაშიზმს,
სიკვდილი ტირანებს,
სიკვდილი ომს!

ჩემი სიამის ელვარებაში,
ტყეთა ფოთლების ნოტიო ფშვინვაში
დაგატარებდი მე მხრებით დიდხანს,
როგორც შაშხანას და, როგორც დროშას.

ახლა მტრებში ვარ, თუ ვარ მოყვრებში,
ვარ სამშობლოში, თუ უცხოეთში,
შენ მაკერიხარ სუყველგან პირზე,
შენ ჩემში ცოცხლობ ერთ სიტყვად მხოლოდ.

ვინმემ რომ მითხრას,
თითქოს ამჟამად

შენ მკვიდრი ვახდი ნაგებობათა;
ვერ დავიჯერებ დატევას შენსას
კედლებშორის და სართულთაშორის.
ანდა, რომ მითხრან, —
მზე გახდაო კაშკაშა შენზე,
არ მეყვარები, რადგან იგი
ხალხს უშენს ჩრდილებს,
რომელიც ხალხმა სამარემდე უნდა ატაროს.

მე მინდა ხალხი იყოს სუფთა და გამჭვირვალე,
მგზნებარე გულით და აზრებით უთამამესით, —
მარტოდენ გული და მარტოდენ არტერიები.

უკეთუ მითხრეს,
რომ შენ ახლა ხარ უმდიდრესი,
დამწყდება გული,
დამიდგება რადგან მყის თვალწინ:
ის, — არაერთი ფეხშიშველა და უხამური, —
თავისუფლება ვინც აწონა
თავისი კისრით.

მინდა შენ იყო ჩემს გულში მუდამ,
მინდა შენ იყო ჩემს ხელში მუდამ,
რომ თან გატარო დღისით,
რომ გიდარაჯო ღამით,
რომ ამოხვიდე შენ ყოველ დილით, —
მუდამ მეწამული,
მუდამ სისხლიანი.

ავტობიოგრაფია

მცხუნვარე შუადღისას,
მცხუნვარე ივლისში,
მცხუნვარე თრაკიაში
გავჩნდი მე.

გავჩნდი თუ არა,
მირჩია დედამ:
— წაიღე მზე,
რომ ბალახნი
გაათბო მთათა.
წაიღე მზე,
რომ სიშავე
დაბუგო ყველგან.
რათა დანაცრო
ქუფრი ცრემლი,
ქუფრი ტანჯვა,
ქუფრი მარტოობა,
ქუფრი ეჭვი,
ქუფრი მერდინი.
წაიღე მზე, —
ყველაფერს ათეთრებს იგი
და წყენათა და ღიმილთა შორის
მიდექ-მოდექი ხალხში.
და მე მცხუნვარე შუადღისას,
მცხუნვარე ივლისში,
მცხუნვარე თრაკიაში
აღვიხვენ მზე,
და მოცავიღე იგი თქვენამდე.

ცეცხლი

ყოველი კაცი სიკვდილამდი მსგავსია ცეცხლის.
მეც ცეცხლის ვიყო მსურს ნაპერწკალი.
ვიქნები ტალი,
დამეტაკე, ვითარცა კვესი, —
წამომაფრინე
ტალკვესიდან
როგორც მერცხალი.
ეპოქავ ჩემო,
შენ გეუბნები,
ეპოქავ ჩემო,
ალიერო ერთობ! —
განავრცე შენი ჩემზე უფლება, —
მეც მინდა ვენთო!

არ დამიკავო,
თუ გიყვარდე,
სულის შებერეა, —
ამაბრიალე ჭიაკოკონად!

მე ასე მინდა,
სხვანაირად მე არც შემფერის!
მე ასე მინდა,
დამაყარონ თუნდაც ქოქოლა.

რაც იყოს-იყოს!
ცეცხლის ჩემის გახდი ფარეში!
შემომიკეთე
ყველაფერი, —
რაც შენ გაწუხებს!
ყავ სიყვარული,
ვინაიდან მე შენს გარეშე,
შენც არ მომიკვდე,
თაგვის სოროც ვერ გავაშუქო.

უფრო და უფრო ამიდუღე ძარღვებში სისხლი.
დამქროლე მთელი შენი ძალ-ღონით.
არ გამიმეტო,
ნუ დამივიწყებ, —
მუდარის ჩემის იყავ გამგონე.
რაც უნდა მოხდეს,
თუნდა ზეცა დამექცეს თავზე,
არ დაიჯერო,
არ იფიქრო არც ერთი წუთით, —
სიუხვეს შენსას —
მე უხამსი პასუხი გავცე, —
ჩემი ხელიდან გამოვიდეს რაიმე ცუდი.

მერე კი, როცა საუკუნო წამიღებს რული,
როცა ჩავქრები სამარადისოდ,
შენ რომ საფლავში ჩამბერო სული, —
ცეცხლად ვიხუვლებ სამარიდანაც.

ელეგია

შენ სასახლეში მეფისაში რომც იწვე ახლა
და თვალს ნაირფრად მოხატული გტაცებდეს ჭერი,
იმ წუთებს, —
ჩვენ რომ ფიჭვის ჭერქვეშ შეგვრეკა თავსხმამ,
რომ არ ნატრობდე,
ტყუილია,
ვერ დავიჯერებ.

წვიმამდე ცაზე ვერ შევნიშნეთ ღრუბლის ნასახიც,
მე და შენ,
მახსოვს,
ღელის პირას ვიჯექით უბრად,
იქ არაფერი არ ყოფილა მსგავსი სასახლის,
ეს იყო,
ბინდი შეტორტმანდა,
ვით ფარდა კუპრი.

სვეტნი რომც იდგეს შენს ბინაში მარმარილოსი, —
აღმოსავლური ჩუქურთმებით აჭრელებული,
შენ იმ ფიჭვნართან,
მათ სიტურფეს არც გაიოცებ,
კვლავ ტყეს ინატრებ, —
ვარ ამაში დაჯერებული.

მზე რომ გკოცნიდეს,
ნეტარების რომც იდგე ზღვაში,
შარავანდედად თავზე შუქი რომ გადგეს ჭალთა,
მწამს, გირჩევნია,
იმავ ტყეში,
ვითარცა მაშინ,
თვალს გიჭუტავდეს ისევ იგი ვარსკვლავი ნაღდი.

თუნდ სარეცელზე ვერცხლისაზე შენ იყო მწოლი
და ოქროს ფინჯნით
თავთით გედგას თურქული ყავა,

არა მგონია,
არ გერჩიოს შენ იგივ მოლი, —
ჩვენ რომ ვიწექით,
შენ ჩემს მკლავზე რომ გედო თავი.

ვენტილატორი რომ გიმღერდეს ბილის წინ ნანას
და კელაპტარი ამბრის სურნელს აკმევდეს ცვილის,
ვერ დამაჯერებ,
არ გერჩიოს, რომ ქვენა ქარმა
მაშინდელივით მეყვსეულად გაგიფრთხოს ბილი.

და, ასე მუდამ მენდომება მე ყოფნა შენთან,
და, ასე ყოფნას შენ ჩემს გვერდით ინატრებ მარად.
იმ ჭერქვეშ —
არ ჰგავს ჩვეულებრივს რომელიც ჭერსა,
იმ სასახლეში —
უკარფანჯრო რომელიც არის.

სასტუმროს ანკეტა

მოდგა ანკეტა სასტუმროსი დაკითხვას შენსას,
და თითქოს გულზე გაძგერეს ხიშტი, —
სხეულში გაგცრა,
პირკატა გეცა, —
უცებ რომ გკითხა:
— ჩამოხვედი ვისთან და რისთვის?

რა გინდა რომ ქნა,
იცრუო თუ... იყო გულწრფელი?! —
ცნობისმოყვარე არ გაცილებს თვალებს ფურცელი!
არადა,
უნდა იცრუო რატომ?!
საძრახისია განა სიმართლე?!

სულ ხომ საქმეზე არ ივლი მარტო,
ხომ შეიძლება კაციც გიყვარდეს?!

ჰოდა, დაწერე!
დაწერე, მიდი! —
რაც სიმართლეა —
დაწერე იგი.

მჯერა: ანკეტას შევსებულს ასე, —
ვერ დაგიბრუნებს თვით ყველაზე გულცივი კაციც.
დაწერე?!
ყოჩაღ!
ო, აი, უგრე!
ახლა კი მრწმენინ.
ხარ ჩემი ნეკნი.

მწკლარტე ღვინო

ჭიამარია, თუ გიყვარდე, იყავი ჭრელი,
და ცისკენ ჩემი ნებიდან ფრინდი,
და იქ მავანი დაიგულე ვარსკვლავი შენად,
რომ მზერა ჩემი
მისკენ რბოდეს —
ცოცხალ ვარ ვიდრე.
იყავი ელვა — იკანკელი და მეწამული,
დატოვე ზეცის მუქლურჯი ერდო, —
დამატყდი თავზე, —
ამინთე სული,
რათა წკვარამშიც დღესავით ვენთო.
გადამისროლე თუნდ ცხრა მთას იქით,
მომეპყარ ისე,
უერჩიოს როგორც,
იყავ კეთილიც,

იყავ სასტიკიც,
ნაღდი იყავი ყოველთვის ოღონდ.
დაე, მე მწარემ დამათროს ტრფობამ,
მეღვინეთაგან მსმენია რადგან, —
ღვინოს სიმწკლარტე უხდება ოდნავ,
დიაცთანია, — თუ მოტკბო ადგა.

ნიკოლოზ ფიდელიოვი



პირდაპირ ქრისტეს პერანგი გახდა,
ეს უგამჩენო ზაფხულის სიცხე!
გრძმაფონს ჩავრთავ,
ხელახლა, რათა
ვიგრძნო,
რომელიც მიყვარდა
ის დღე.

შავი და ცივი,
ვით ზურგი სარკის, —
ბრუნავს ფირფიტა და ისვრის ელვას;
ყოველი ისე იშლება ჰანგი, —
თითქოს ყვავილი იღვიძებს ველად.

გულშიც,
ხმიერი ყვავილის მსგავსად,
არ იფურჩქნება რატომ თავიდან, —
მოგონებანი ეწოდა რასაც,
რაც სამუდამოდ ჩემგან წავიდა?

რატომ არ უნდა ძალმიძდეს ნეტა, —
ხელახლა ვიგრძნო,
თუნდ ერთი წამით, —
უხმო ფახული
წამწამთა შენთა
და ჟღერა შენი ეჟვანა კაბის?

გოდებს ფირფიტა.
ზაფხულის დილით
მე და ოთახი ვივსებით ერთად...
რაც იყო წინათ,
რაც იყო ტკბილი, —
თუნდ ერთხელ კიდევ,
თუ ვიგრძნობ ნეტა?!

იასამნის კიმპალით

მწვანე გორაზე, თეთრად და წითლად,
ბზინავს ქალაქი — სავსე ნეონით.
შვიდფრად მოექშუით მეშვიდე ციდან,
ვით მეტეორი.

მაგრამ უეცრად ეშეშდებით, როგორც
პირზე მომდგარი როყიო სიტყვა;
ოკეანეში გაშლილა ჯოგი
ავიამზიდთა:

ვარდით მოფენილ სამყაროს ტაბლას,
მტრედი ღუღუნებს სადაც ლითონის,
ქვემეხნი ლულებს უშვერენ დაბლით
საზენიტონი.

რა ზრდილობაა ეს მრუმე ჯანღი,
რა ამბავია!— მართლა და მართლა,

კაცი ხომ მიტომ აფრინდა ცაში, —
მზე მწიფდეს რათა!

ქვემეხთა ისმის პასუხად ყეფა,
გვიახლოვდება ღრუბელი თალხი...
— სდექ! — წყვდიადს ერთხმად შესძახო ყველგან! —
შენზეა, ხალხო.

დროა, სიგლისპის ვიხილოთ ნერჩი,
ზღვაზე სიკეთის გამოჩნდეს ანძა,
და ნასამნის კიმპალით ხელში, —
მღეროდეს კაცი.

მეხსიერება

მეხსიერებაც სახლია თითქოს,
მისას შორიდან ვამჩნევთ სინათლეს,
იქ საღამოთი ბრუნდება ფიქრი
და უგზო-უკვლოდ დადის დილამდე.

ოქროსი გსურდა შეგეხსნა ენა
და საკუთარი დაგეხშო ზარი;
მოტყუვდი: ხმა რომ ჩაეკლა შენი, —
არ აღმოგაჩნდა იმდენი ძალა!

რამდენჯერ წუთი მარგუნე მწარე,
გული ამივსე რამდენჯერ შხამით,
ქათქათას მტაცებ ხელიდან მთვარეს,
მ.მასპინძლდები უმთვარო ღამით.

შენ მე სიამის დამიფრთხე ჩიტი,
წინ მწუხარების დამიდგი ყავა,
მაგრამ ჩემს ზღურბლზე იმედნი დიდნი
გადმოდიან და მიპყრობენ კვლავაც.

ხაზნი

ნეტავი რაა სულს რომ მიმძიმებს?
რამ გაგიცრუა იმედი ხვალის?
ნევსკიზე უცებ იგრძნობ სიგრილეს
და ვიტოშასკენ გაგირბის თვალი.

და შენს თვალებში უხმოდ ღაღადებს
სწორუპოვარი ღიმილი ერთის...
და აფრინდება კლდიდან ყარყატი, —
პირწავარდნილი ღრუბელი თეთრი.

თუმცა აქედან შორია სფინქსი,
არ ამათრახებს გარემოს ზებრაც,
სიცხეა მაინც იმგვარი ირგვლივ, —
თითქოს აფრიკით ვიდოდეს გზები.

მიახლდებიან წყლულები გულში,
მიბორგავს გული, როგორც კრატერი;
ალმურის კედელს ვასკდები ურჩად,
როგორც მერცხალი — კუდმაკრატელა.

მიტირის თვალნი, — ქცეულნი მზერად,
ვხუნდები, როგორც ყომრალი აზრი...
ჩემს თავზე უხმოდ გადის და ქრება
საჰაერონი ხაზნი და ხაზნი.

გაზაფხულის მოლოდინი

როდის იხუვლებს პატარა ღელე?
ალუბლის როდის იფეთქებს კვირტი?
ადამიანის მზერას და ხელებს
სურნელი როდის აუვა მინდვრის?

ცამ რომ ლაპლაპი დაიწყოს ლურჯად,
მიწას რომ შუქი დაეფრქვეს ზეცით,
რომ დატრიალდეს ხორბალი ხნულში
და გაზაფხული ღაღადჰყოს თესლმა.

რომ შუაგზაზე გაჩერდეს ქასრი,
არ გაიხადოს წითელი კაბა,
რომ გამოისკვნას დიადი აზრი, —
მუცლადღებაზე უფრორე სწრაფად.

რომ კაცის აზრის მოსმენის შემდეგ,
მზეს თავისთავი ეპატარაოს...
და ირგვლივ ყოფა იმგვარად ჩქეფდეს, —
გადამავიწყდეს მე: — პანტა რეი!

რომ ყველაფერი, — რაც კია ირგვლივ, —
ვარსკვლავად, ანდა ყვავილად იქცეს...
და კაცის გული, და ბუდე ჩიტის
აღფრთოვანებით აღივსოს მყისვე.



მე თეთრპერანგა მივაბიჯებ დედამიწაზე

მუთუნეთანი
გამალებით ბრუნავენ ჩარხნი.
ყვავილებს შლიან ალუბლის ხენი.
ვერცხლად ვარდება ვარსკვლავი ციდან.
გერანით ხელში
კეკლუცობენ ასულნი ტურფა.
მე — თეთრპერანგა, —
მივაბიჯებ დედამიწაზე.

მარცხენა მხარზე,
ნაფერთალი უმთვარო ღამის,
ციცინათელა ორფეროვნობს,
როგორც საწუთრო;
წვეთი შვიდფერი
მითახთახებს მარჯვენა მხარზე, —
ელავს რომელშიც
ცისარტყელა პირდაბანილი.

მე ყველაფერი
ციაგსა და მიტოვებს ლხენას.
მე — თეთრპერანგა, —
მივაბიჯებ დედამიწაზე.

მეყვავილეთა გულს ვახარებ
ლევკოიონით,
ვარსკვლავთმრიცხველებს
ბღუჯა-ბღუჯა ვარსკვლავებს ვჩუქნი,
გზებს ნატერფალებს ვუტოვებ ჩემსას...
კარგ გუნებაზე
მე ყოველთვის ვიქცევი ასე.
მე — თეთრპერანგა, —
მივაბიჯებ დედამიწაზე.
უკან მომდევენ
საღამონი სამხრეთისანი,
მიმაცილებენ
ჩარდახები ალუბალთანი,
სვეტნი თაღთანი
ნაღვლიანად მიმზერენ შორით...
ო, შვილო ჩემო,
მთათა ცხრათა იქითა სასოვ,
აწმყოთი ვიცი,
დაცხედრებულ პოეტთა ჯგროში, —
გაგიადვილებს პოვნას ჩემსას
პერანგი თეთრი.

ნაწვიმარი ცისარტყელა

მზემ რომ ზეცა გაწურა,
ცისარტყელას ნაწვიმარს,
როგორც წვიმის ნაწილი,
გადაევლო ქალწული.

უმკვეთრებდა ძუძუ-მკერდს
დუკატების გალანი...
გაიძახდნენ ურჯუკზე:
— ქალია თუ ყარანა?!

მთა დაისით ნაფერი —
დაჭკნა, როგორც თავცეცხლა...
მზემ აკრიფა ცხრა ფერი, —
მთა გადაელო ცხრაჯერ ცხრა.

ცისარტყელა სიმღერად
თითქოს ვინმემ გაწურა...
ერთხელ კიდევ შვიდფერად
გაიჟღერა ქალწულმა.

და გასწია იქითკენ, —
წვიმა რომ წვიმს ცინცხალი...
ვინაობა ვიკითხე, —
მიპასუხეს: — ისხარი!

ბალადა დრამატულ მსახიობზე

იგი, ვით წესი, ხან აქაა, ხან ცხრა მთას იქით,
ნაწნავი უგავს გამჭვირვალე ჩქერალის ტალღას.
როლებს, ოდესღაც ასრულებდა რომლებსაც იგი,
მესამე რანგის მსახიობებს აძლევენ ახლა.

დიდი ხნის წინათ, მოგვითხრობენ, ნესებრში ერთხელ,
ჯაბნიდა სადაც სამრეკლოებს თეატრი ჟღერით,
სწორედ ამ ქალმა (იმ დროს ამ ქალს კლეიო ერქვა),
საკუთარ ცრემლში მოაქცია სამყარო მთელი.

მას თურმე ობი მხრებს ქათქათას უთხვრიდა საყდრის,
ცათამდე ქალის აჰყავდაო კანდელებრ გრძნობა...
იქ იგი თურმე უსხეულო არსება გახდა,
ქალი, ელოდნენ, ვით ხორციელს რომელსაც წლობით.

სულ სხვაა იგი. მსგავსი მისი არაა არსად.
მოჩვენებაა თითქოს იგი და მწუხრის ფიქრი.
აქვეა სადღაც და საცაა ამფორით მხარზე
საგრიმიოროს ფეხაკრეფით შეაღებს იგი.

* * *

მიდიხარ ჩემგან შენ სწორედ ახლა,
ჩემსკენ როდესაც მორბოდე უნდა,
ჯერ კიდევ როცა არც ვიცი კარგად,
იყავი კარგი, თუ იყავ ცუდი.

მეც შენთან ერთად მივდივარ ჩემგან,
ცვივა ყვითელი ფოთოლი უხვად,
უკვე ყელამდე შემომწვდა სევდა,
მომიტივტივა ქალაქის მწუხრმა.

სუნთქვას განაგრძობს სამყარო ირგელივ,
მთიებით სავსე თვალებით სადაც,
მიწაზე, სისწვრივ წეროთა მწკრივის,
ვლიან კაცნი და ჟღერს პულსი მათი.

ვწვები, ზეცაში წეროებს ვითვლი,
სახეზე წვიმის მეცემა წვეთი,
შენ კი ქვეყანას მიარღვევ ზვირთით,
როგორც ანკარა მდინარე თეთრი.

შემთხვევა წამის ქცეულა ბედად,
მივდივარ ჩემგან მეც შენთან ერთად...
ვერ შეგვაჩერებს უებრო ბრძენიც, —
საქმე ისეა წასული ჩვენი.

მიმწუხრის ჟამი

მთით მთიბავები ჩამოდიან
თეთრპერანგანი,
ჩქერალთანია
მიმოხვრანი, ღმერთმანი, მათნი.
ვეებერთელამ
დაუბერა უეცრად ქარმა,
ტრიალ მინდორში,
უჩვეულოდ სურნელოვანი,
ფართო ნაბიჯით
თვით მწვერვალი შემოდის თითქოს,
თეთრპერანგანი
ნაკადთაებრ მიდიან შორს, შორს...
წვიმად, მთიებად, თოლიებად
ერწყმიან სივრცეს...
და იმ დარანში,
სადაც წვერა სრიალებს სხარტი,

და იმ მორევში,
სადაც ალი ივარცხნის ზილფთა, —
ტოვებენ ხოლმე ზურმუხტოვანს
ისინი მზერას.

მოჯადოებულს, —
საკუთარი სულიდან მესმის, —
თეთრპერანგათა
როგორ ცხრილავს ფეხის ხმა დუმილს.
და მოლიელვილვე სილურჯეში
გულალმა მწოლი, —
კაციდან კაცში,
ვვრძნობ გადაზრდა გრძელდება ჩემი.

კაემანი

უეცრად კლიტემ გაიღო ჩქამი
ღ› შემოვიდნენ საკანში სამნი! —
სინათლე,
ბავშვი
და კაცი მავნე.
მამი! — აენთო გოგონა შენი
და ამოევსო თვალები ცრემლით.
გეალერსება შენ ორი ფშანი,
შუბლს ორი ჟოლო გიკოცნის მწიფე,
შენ რომ გიტიროს, — არსებობს თვალი, —
ცხოვრების როცა გიმტყუნებს კიბე.

კვლავ გასაღების გაისმა ჩქამი
და გამოვიდნენ საკნიდან სამნი, —
სინათლე.
ბავშვი
და კაცი მავნე.
მხოლოდ შენს შუბლზე ჯერ კიდევ არის
პაწია ცრემლი, — ვარსკვლავის დარი.

თეთრი ტყე

თვლემს დათოვლილი ფიჭვნარი ტკბილად
ციყვით შემკრთალი ათასში ერთხელ...
თეთრ მოსასხამში ოი, რა თბილა!
და შენ მარტოკა მიდიხარ ტყე-ტყე.
ქოქოლას გაყრის ფიჭვიდან ციყვი,
აქა-იქ შავად ელვებს შაშვი,
ჩერდები წუთით და ზედ შენს ცხვირწინ,
ზედავ, აჩნია თოვლს კვალი არჩვის.

დათოვლილ ტყეში ეშვება მწუხრი,
ტოტიდან ტოტზე ისკუპა ციყვმა...
როგორც მომწყდარი ვარსკვლავის შუქი —
უცებ ბარდანი ვარდება ხიდან.
ასე ანაზდად ირხევა ხოლმე
ხის ტოტი — მსგავსი მოხუცის წარბის...
დგანან ფიჭვები — მძიმენი თოვლით
და სუფთა ჰაერს სუნთქავენ ხარბად.
გვიან კი, როცა იძინებს ტევრი,
როცა თვით ციყვი ყუჩდება ანცი,
ფიჭვნარის მილმა გაგირბის მზერა, —
ხმა გაიგონო გწყურია კაცის.

ᲓᲘᲓᲠᲝᲐ

წამომახტუნა ლოგინიდან ჩანჩქერის ზათქმა.
ვაღებ ფანჯარას: — მდუმარება ხმაურმა შთანთქა;
წყალი, რომელიც ლავასავით მოიზმორება, —
ვხედავ, როგორი ხათქახუთქით სტოვებს მორენას.
იქ, სამკურნალო ბალახიდან დგება მთიები,
წითელ ციაგზე ყვავილებად შხეფდება წყალი,
მთათა ძუძუთი საკმარისად ნაპატივები, —

მოჰქრის ჩქერალი — გაზაფხულის ძალუმი ძალით.
ამ გაქანებამ სინდიყივით ანკარა წყლისამ,
ახალგაზრდულმა, რიხიანმა გრიალმა მისმა, —
გამომაღვიძა, სასიმღეროდ ამიწყო გული,
და მეუბნება: — დამიგდეო, ძმობილო, ყური:
მზის ქვეშ დუღილი დაიწყება ახალი ახლა,
ხეების ზროში აროკდება წვენი ცინცხალი,
დიდყვავილობა გაჩაღდება დაბლა და მაღლა,
სიხარულს ამას მოასწავებს სწორედ მთის წყალი.
და, როცა გულის, ჩემი გულის შეწყდება ძგერა,
შეაცოცდება საფლავის ქვას როდესაც ხავსი,
მიწყივ, როცა კი გაზაფხული აღსდგება ქვეყნად,
ისკუპებს, ვიცი, ვიტოშადან ჩანჩქერი ასე...
თან წამოიღებს ის თოვლსა და გრანიტის ლოდებს,
ფართო ხეობას ამოავსებს ბუხუნი მისი,
და ეს ქვეყანა, ჩვენ მიწაში ვიქნებით ოდეს,
სიმღერასავით იწკრიალებს წინაშე მისხის.

მოვალეობა

მედინი სოფლის პირისპირ მდგართა,
ღაზოსი გვირტყამს სახეში დელგმა,
სიტყვა, მისული სამარის კართან,
მარადისობას ეძიებს ჩვენგან.
შაშინლა რისნი ვყოფილვართ მწყემსნი,
ან ჩვენი რალა ყოფილა ვალი,
უკეთუ, კარგი რაც არის ჩვენში,
მას უკვდავების არ ვასვით წყალი?!

არ მიგვატოვო ნიჭო ციერო,
არ მოგვეახლო სიბერის სუსხო,
აზრო მზიერო და მიწიერო,
არ ბოგვიძაგო და არ მოკურცხლო.

დაე, ცხოვრების მღელვარე ყანას, —
ვესხუროთ, როგორც კრიალა ფშანი,
კაცი იმიტომ არ გაჩნდა განა,
რომ საკუთარი დატოვოს კვალი?!

სიყვარული

გულს ვერ გვიკრთობდა
გამყინავი
ჩხავილი ყორნის.
ვითარცა მზენი
არხეინად
ვვიდოდით
ორნი.

და როცა შუქი
იძლია ბნელით,
მეგზურ ვარსკვლავად
სიყვარული
მიძღოდა შენი.

და როცა მოლი
აოტა თოვლმა,
მე შენი გული
ცხელი გული
მათბობდა მხოლოდ.

და როცა ჩქერალს
ჩვენ ამ ქვეყნის მივქონდით მიღმა,
კვლავ შენმა ხელმა,
ისევ შენმა მარჯვენამ მიხსნა.

კურთხეულ იყოს,
რაც ცათამდე ასულა დაბლით;
კურთხეულ იყოს
სიყვარული —
ესოდენ მძაფრი.



პოეტი

ხმები დაირხა,
ამა და ამ ქალაქის ცენტრში
ცხოვრობსო ერთი, —
ხვაშიადით მდიდარი კაცი.
მხრებზე მნათობნი ღამისანი უსხედან ცხრანი.
მისი ბრძანებით უბერავსო ნიავი მწვანე.
მყის თენდებაო, — ინებებსო უკეთუ იგი.
ჰყავსო ფრინველი მგალობელი ძალიან ბევრი...
და იშვიათად,
როს ეზოდან გამოდის გარეთ,
ერთი კვარტლიდან
მეორისკენ როდესაც მიდის, —
გზადაგზა ალმებს აფრიალებს საკუთარს უხვი.
ურიცხვმა ხალხმა მიაშურა ყაყანით ქალაქს: —
ის ვიღაცაა, —
რა კაცია, —
ვნახოთო, ერთი!
ვიდოდნენ ნელა.

პირდაპირით ვიდოდნენ მზერით.
ორჯერ თუ სამჯერ გადაჰკვეთეს რკინიგზის კვანძი.
წინ მამაკაცნი ვიდოდნენ ბრგენი,
კეთილნი, ლაღნი, მამაცნი, მშვიდნი.
ცოტათი უკან —
მეძუძურნი ვიდოდნენ ქალნი, —
წადილს ცხობისას ვერ მალავდნენ მერდინის ფოჩით...
ფეხთ გამჭვირვალე სანდლები ეცვათ,
ძუძუთა ყრმანი ეკავათ ხელში;
მეორე ხელში, —
ზოგს გოგოსი ეჭირა პალტო,
ზოგს — აჭიმებით გაწყობილი შარვალი ბიჭის,
ხოლო ზოგიერთს, —
ერთიცა და მეორეც ერთად.
შესდგა ქალაქის ერთ ქუჩაზე ერთბაშად ხალხი,
იქ, სადაც სახლი გამოჩანდა მწვანიდან თეთრი... —
ღია კარებში შუატანის გამოჩნდა კაცი, —
მიმოატარა აივნიდან ეზოში მზერა...
მოაჯირიან აივანზე ხის იდგა ტახტი,
ტახტის წინ მუხის ოვალური მაგიდა იდგა,
იქვე, კუთხეში — ზურგიანი მიედგათ სკამი.
და ზედ ჯემპრი თუ პულოვერი ეკიდა მისი.
ხის მაგიდაზე პურის იდო გამხმარი ყუა.
ჩნდა სამელნიდან მელნის ნაცვლად ხიჩატლის წვენი,
წვენს ხიჩატლისას პელიკანის ხვრეპდა ღეპეპი...
და მათ,
უწყოდენ სისადავის რომელთაც ყადრი,
კმაყოფილებით გადაისვეს ულვაშზე ხელი.
და სათითაოდ შინისაკენ
იბრუნეს პირი.

სტიქიონი

სიმღერის წურვად
საწნახელში ჩამდგარან მთანი,
სიმღერასავით
კლდის გულიდან
გადმოჩქეფს ჩქერი,
მდინარის პირას
ქალაქები ამაყად დგანან, —
მოხიბლულები
საკუთარი აღალმის მზერით.
ხოლო,
როგორც კი გაზაფხულის იმძლავრებს ქარი, —
ქალაქი უმალ დაიძრება,
ვითარცა გემი, —
მიაქანებენ მას კორტოხთა აფრები მწვანე, —
ელვის მაგნიტურ ისართა ზემოთ.
ცხენთა ჭიხვინი
არემარეს ახურებს მზისებრ,
ჰყეფენ ძაღლები,
ვით გაზაფხულს შეშვენის,
ისე...
ჩვენც გაგვიტაცე ბისტრიცავ სწრაფო,
ქეიბურივით გაჰკვეთე სივრცე,
შენი მორევის გვაქციე ქაფად,
ზოგონებათა დელგმად რომ ვიქცეთ.
რკინის ქარები
რკინისავე აივნებს ზნექენ,
ზეზე ერთი დაკვრით მოისროლა ვრიგალმა სადღაც,
გაჩირალდნებულ
ქალაქის ნეკნებს
მიაქროლებენ მდინარენი ხვალისკენ ზათქით.
და იმსხვრევიან ქალაქები როცა ხორხოცით,
არ იმცირებენ თავს რადგანაც საფარისეულოდ, —
ლურსმნები რჩება მათგან ოქროსი,
როგორც ყვავილნი ზაფრანისანი.

ფრინველთა მზველავი

გაიბზინა ღოროტოტომ:
— გზა!
ფრინველთანი მოდის მზველავი!
გავინაბენით.
მოვიწადინეთ:
კვლავ აღგვედგინა სულის სიღრმეში
დავიწყებული ხმები ფრინველთა.

ვით გზადაკარგული ხმა, ჩვენს სულში გაისმის
შორეული ექო შემოდგომის ტყეში
მოღუღუნე მტრედისა,
გუგულის წყვეტილი ძახილი —
გაზაფხულის დანამულ ტყიდან,
წკრიალი ტორიალასი, —
ორაკიის ვრცელი ცის ქვეშ მოცახცახესი.

თეთრ ჭერში,
ჩვენს თავზე,
ფიქრიანად შეტოკდნენ მთვარენი —
რესტორანის ელექტროგლობუსთანი.

ფიცხი და სევდიანი წვენები მიწისანი, —
მთებიდან მეწისქვილესთან მოქუჩებულნი, —
ჩვენში გადი-გამოდის როგორც ციალი.

თასთა შუშოვან წყაროებში, —
წყალი — ბოთლიდან ნააზატარი, —
ჩაჩქეფდა, როგორც ჩანჩქერის ჭავლი.
და ჩვენ ვისხედით ჩუმად, ჩუმად,
ჩვენივე ნაღდი ყოფიდან
ფენიქსებრ აღმდგარი ხმებით სავსენი.

გოგონებო, არ მოიკაზმოთ არასოდეს
იმიტირებული ყვავილებით. მეგობრებო,

მოეშვით პლასტმასის იმიტირებას,
იყავით ახლოს ყველაფერ იმასთან,
რაც ხართ თვით!
არ გაექცეთ საკუთარ თავს.
არ ჩაიკეტოთ ხელოვნურობის ქალაქში;
გადატვირთულია უკვე ეს ქალაქი
და საცაა გასკდებიან მისი ქუჩები.

...შემდეგ ჩვენ გამოვედით რესტორანიდან
და ნაღვლიანად გავემართენით
საკუთარი პაწია გალიებისკენ, რომელნიც ჰკიდიან
ამა თუ იმ ვეებერთელა კორპუსის სხვენზე, —
ახლოს ბულგარულ ვარსკვლავებთან. —
და ასე შორს მათგან.

და იქ,
სადარბაზო შესასვლელებთან,
ვიდრე შენობაში შევაბიჯებდით,
ვჩერდებოდით და ვწევდით ხელებს,
გვსურდა ქალაქური თითებით
მივფერებოდით მაღალ ცას, —
მაგრამ,
ნურას უკაცრავად! —
ერთხელ უგულებელყოფილი ცარგვალი —
მიუწვდომელი რჩებოდა ჩვენთვის.
და გაყვლეფილი იყო ჩვენი სულები,
როგორც წვიმებით გარეცხილი ფრინველის ჩონჩხი.

წკვარამიდან ჩვენამდე აღწევდა
გუგულის ირონიული ხმა.

ა რ დ ა დ ე გ ე ბ ი

ოქროცურვილი პანტა და შამბი
შეხამებია აგვისტოს ნამკალს.
ირგელივ სიმშვიდე მძვინვარებს სრული.
საძოვრის მიღმა
ოვლემს წიფლიანი,
გარინდებულა თვალწინ მინდორი.

ამაოდ გვსურის ცხოვრების აზრი
ჩვენსავე ფეხის ვიპოვოთ ხმაში.
გელაზებრ ვაწყობთ ჭრილობებს ჩვენსას
აქ,
ამ უხალხო შარაგზის პირას...
სატელეფონო მავთულთა სისწვრივ
გეზელქორულად ისინი მოგვაქვს.
სიამით გვავსებს გალობა ჩიტის, —
დაუცხრილავის ჯერ კიდევ ჩვენგან.
არდადეგები თუ გახსოვს ჩვენი,
მოსწავლენი რომ ვიყავით, გახსოვს?

ჭრილობებს ჩვენსას — პირშეკრულთ უკვე —
მზე შემოდგომის მოარჩენს სულ მთლად.
კალოზე ხორბალს დავუწყებთ ძებნას...
თბილ ქვას არდგმულის იპოვი უკან
და ზედ მწყემსივით დაჯდები ლაღი.

შორს შემოდგომის სილაღით სავსე
სცვლის მატარებელს მატარებელი...
გამოილიენ ვაი, რა მალე, —
ჩვენი ბალღობის დღენი ფერადი!
მეც, შენებრ უძლურს, სით ძალმიძს, აბა,
შენივე ტანჯვით გამოხსნა შენი:
აბჯარ-აბგარი როდესაც ჩემი,
ეს ორი ღერი სიტყვაა მხოლოდ:
ხე, მიწა, კერა, პური და ღვინო...

და ამ სიტყვებით ვიცხოვრო მინდა.
არაფრად ვაგდებ შეკითხვის დელგმას,
ვარ იმ შეკითხვის მეტადრე მტერი, —
დაუკითხავად რომელიც ახლაც
ალვისხესავით დაგვადგა თავზე...

მზემ გადააწყო სხივები უკვე
მდინარისპირა კაკლების იქით...
გულაღმა მწოლნი შევცქერით ცარგვალს, —
წაღებზე სისხლი გვახმება კაკბის.

მელანქოლია სექტემბერში

მაღლით მუსიკა ისმის ჯაზური,
რეპროდუქტორი რეკავს ზარივით,
რკინის აივნებს
ამკობს ჯაზულით
მოვანებული მთვარის არილი.
ცალფა აგურის ინგრევა სახლი,
ლიწინ-ლიწინი გაუდის ფიცრებს...
შარშანდელივით ვეწვევი ახლაც
შემოდგომას და უხამურ მიწას.
ცის დასავალთან,
აქედან ვხედავ,
როგორ ქრებიან ალვები ზათქით...
უხმოდ ვიძახი: —
ვაიმე, დედა!!
მელანქოლიას მივყავარ სადღაც.

ო, შემოდგომის მელანქოლიავ,
ელვით მხურთნიდა ზაფხული ცხელი...
მართალს ვიტყოდი, — შენა გგონია!
შეკაზმული რომ არ მყავდეს ცხენი!?

ორი სხვადასხვა მეძახის მხარე
(ერთისაც არ ვარ თუმცაღა ღირსი),
დამაფრიალებს ოცნების ქარი,
როგორც სიმინდის მტვრიანას
ისე.
მზე გველირსება?
ალაჰმა უწყის!..
ქუჩა ლამაზმა გადასჭრეს დებმა...
სახლში მუსიკით შემოდის მწუხრი
და ცივი ბუხრის წინარე ჯდება.
და არის ჩემში,
წკვარამის გარდა,
მწვანე ყლორტების მცირედი შუქიც...
მოასწავებენ ყინვას და ზამთარს
გარეუბანთა ბორცვები რუხი.



თეთრი თაგვი

ბაზრობანო შორზე შორნო, —
მაიმუნით მომცროთი...
ჩემს ხსოვნაში ისევ ცოცხლობთ,
როგორც უწინ ცოცხლობდით;
ყაყანს ხმები ერთვის არლნის,
დრტვინავს ხალხი მილეთის...
ვიწრო ყუთით თეთრი თაგვი
იღებს ბედის ბილეთსა...
და ეს უკვე მერამდენედ
მავანს მერმისს უქადის,
სად ღიმილი ყელამდეა,
სიწრფელე, — არც მუხლამდე.

თეთრო თაგვო, ახლა უკვე
ვიცი შენი ჭორები, —
არის ჩემი სიჭაბუკე —
შენგან მონაღორები.
დავხედავდი ბილეთს ცერად, —

მეთალხვოდა რიჟრაჟი:
— ბედი შენი — შიგ ეწერა —
გაბზინდაო თხის რქაში.
შეგეწევა ოტარიდი.
თუ გაგწირავს იესო,
იქონიე მუდამ რიდი
ცეცხლისა და ტყვიისო...
თეთრო თაგვო, მორჩა, უკვე
ვიცი შენი ჭორები, —
არის ჩემი სიჭაბუკე —
შენგან მონაღორები.

შიში სულაც არ მაქვს ხანძრის.
ტყვიას როდი გავურბი...
მეშინია უფრო კაცის
თაღლითური საუბრის.
საკუთარი იმ კაცს, ვურჩევ,
არვინ ანდოს ფიქრები.
რადგან როცა იმის სულში
ვცადე შვების მიგნება, —
უკან, როგორც დამდუღრულმა,
დავიხიე მაშინვე,
რადგან მასში კაცზე უმალ —
თაგვი აღმოვაჩინე.

ჯილისპირული

ცირკულარებით იხრჩობა ბოხჩა,
დღეცისმარადი ქაღალდებს ვწერ და —
საღამოთიღა...
და ისიც ზოგჯერ
ვართ ხოლმე ერთად.
და დაღლილობას მხრებიდან ვიხსნი,

როგორც მეცხვარემ მოიხსნას ღართი
და მითამაშებს ძარღვებში სისხლი,
რომ შენ ხარ ჩემთან,
ვართ ორნი მარტო.

თვალის ერთმევა გარემოს ჩინი,
სიმარტოველა ყურყუტებს გარეთ.
ყველაფერს სძინავს, —
მბრძანებლობს ძილი,
არ სძინავს მთვარეს.
შენ ფშვინავ ნელა —
მწოლი ჩემს გვერდით.
ლიმილი შენი
ცორანოს ერთვის.

ფოთლებში მთვარე იმგვარად ელავს,
თითქოსდა იყოს ლიმონი მწიფე;
გივარაყდება შუბლი და ყელი
და მერე მთვარე ჩაირბენს კიბეს
და თმაში მთვარის ციაგი გრჩება
და იმას ჩემი თითები კენკენ
და მიმოდიან ფიქრები ჩემი
ჩემიდან შენკენ!
შენიდან ჩემკენ
და გიამბობენ უბრალო ენით,
წამოვწვებოდი შენს გვერდით ვიდრე,
გადავიტანე რამდენი წყენა
და ხვალ რამდენი მოშელის კიდევ.
და ვეფერები შენს ლამაზ თითებს,
ჩემს ხელისგულზე რომ სძინავთ წყნარად
და ძამიკოებს რომ გვანან ცქვიტებს, —
გზისპირ ურთერთის გვერდით რომ წვანან.

და მე ვარ შენთან. მიხარის სული.
განაბულია ქალაქი ირგვლივ.
და რამდენია ქალაქში ზრუნვა

და რამდენია ქალაქში ფიქრი.
ისინი ჩვენზე დგებიან უმალ,
წვებიან ხოლმე მუდამ ჩვენს შემდეგ..
როგორც პეპლები დაფრენენ ჩუმად
ჩემიდან შენკენ!
შენიდან ჩემკენ.

ᲔᲞᲝᲥᲐ

ჩვენივე ცეცხლის ვართ თუმცა წერა,
გვახრჩობს თუმცაღა ჩვენივე კვამლი, -
ქვეყანას, ჩვენი სიკვდილის მერეც,
ატყვია ჩვენი ცხოვრების კვალი.

გილიოტინა ემხობა ყველა,
მკვდარს საკუთარი ანათებს სისხლი,
და როგორც ნაყოფს, —
მეწამულს ფერად, —
მებრძოლის აღთქმას
დრო-ჟამი ისხამს.

გულუბრყვილონი
ამ ქვეყნად ვჩნდებით,
და მოწიფულნი
ვეცემით მერე...
ნაკვერჩხლებია თვალები ჩვენი, —
თოვლს ადნობს ჩვენი მახვილი მზერა.

ინაცრებიან მწუხრის წუთები,
როგორც ასანთის ღერები, ისე, —
ღა საუკუნე —
რკინის კუნთება —
ფოლადის წარბთა ქვემოდან გვიმზერს.

და ზეცის თაღებს ასკდება ცეცხლებრ
ცორანო ლამის დაგვამხოს თავზე,
და ღიმილს ჩვენსას, —
და ღვიძილს ჩვენსას, —
გაუგონარი ვრუხუნით ავსებს.

და ელავს იგი,
ბრწყინავს და ელავს,
ყველაფერს იპყრობს
მაღლა და დაბლა...
ანტენებივით კალმები ჩვენი
ყ ე ლ ყ ე ლ ა ო ბ ე ნ
ამიტომ
ალბათ.

შვილის პირისპირ

ხარ კოსმოსური ხომალდის კბილა,
გზას ცხოვრებაში
იპოვი სწრაფად...
იქნება მწუხრი,
თუ კრიალა იქნება დილა, —
ხან სიხარულით,
ზოგჯერ რისხვით
იფეთქებ ალბათ.

და ერთხელ ჩემსას
წიგნს როდესაც გადაშლი,
ვიცი, —
წამოიძახებ: —
ვა, ეს რა ვნახე! —
დანადგარების ტრიუმფის ცხვირწინ, —
კამეჩებს აქებს...

ტევრი ითრთოლებს ანტენების
შენს თვალწინ მაშინ.
და ფეხს როგორც კი
მოიდგამს ბინდი...
ვარსკვლავებს დაკრეფ
ღიმილით ცაში, —
შენ — ერთობ მძლავრი
და ერთობ დიდი.

სივრცეთა შენში არ იქნება
სრულიად შიში,
მანბილებს უგრძესს
შენ გაზომავ
წუთით და წამით! —
თრაკიაში კი —
ჟანგს უფრორე მოიდებს ხიშტი, —
მომხდურთან ომში
შენსას ეპყრა
რომელიც მამას.
და მხოლოდ წერო, —
წელში ოთხად მოხრილი ისიც, —
თუ შეგახსენებს, —
შენში ჩემი რომ იძვრის სისხლი.

ო, შვილო ჩემო,
მანქანები მეც არ მძულს სწრაფი...
მაგრამ, ძვირფასო,
უნდა კარგად ესეც იცოდე:
ჩემსობას
შოლტი მეჭირა ლაფნის,
კამეჩის თვალი
იყო ჩემი ტელევიზორი.

გახსოვდეს, შვილო,
არაერთხელ მოგიწევს შეხლა, —
მრავლობენ მცირე სულისანი

რადგანაც ქვეყნად.
ვინც უნდა გახდე,
რაც უნდა ნახო!
ყველგან,
ყოველთვის
გწამდეს,
იცოდე, —
ამშვენებს მავანს
სახელი როდი, —
ადამიანი
ამშვენებს
სახელს.

გუგული

ფოთლებს ათრთოლებს ნიავი ნელი,
შხუილი ისმის შორიდან ღელის.
რახრახი აკრთობს თემშარას ფორნის,
მამა ტალკვესით აჩაღებს თუთუნს,
დაარტყამს ნაფაზს
და დასძენს ბოლოს: —
გესმის?!
გუგული იძახის — გუ-გუს!

გუგულის ხმაზე, —
გლეხური რწმენით, —
თუ გინდა
ჯიბე რომ გქონდეს სქელი, —
ჯიბეზე უნდა დაირტყა ხელი.

მამას იმედით უდგია სული, —
ჭაღარავდება მიწყივი ზრუნვით.
გულს უხალისებს გუგულის ენა,

დროდადრო ჩემსკენ
გადმოაქვს მზერა:
ეჩანვარ თუ არა
ღართლიდან მწყემსის,
რომ გამიღიმოს და მითხრას: —
გესმის?!

ფოთლებს ნიავი ათრთოლებს ისევ,
რაჩრახი აკრთობს თემშარას ფორნის,
მეც ისევ მწყემსის ლაბადას ვისხამ,
გუგული კვლავაც იძახის შორით.
მაგრამ ტკივილით მევსება მკერდი,
რადგანაც მამა
ამჯერად უკვე
ვერ გამიღიმებს
და ველარ მეტყვის. —
გესმის?!
გუგული იძახის — გუ-გუს!



გაგება

აზრი, რომელიც ხურდება მზეზე
და, როგორც ზვირთი ცათამდე ადის, —
ცხოვრების ზღვაში კუნძულებს ეძებს,
სურს პოენა მათი,
გაგება მათი.

ყველაფრის ხილვა სურს დაწვრილებით,
თვალებს იმარჯვებს, ვით ოკულარებს,
და მეგობრები,
და ქალწულები —
შიშით სახლისას ხურავენ კარებს.

და შენ გტოვებენ ბნელში და ცალკე,
შაგრამ იქ შენთვის სულაც არ ბნელა,
რადგან იქიდან შენ კელავაც ძალგიძს
საკუთარ თავში ყველაფრის მზერა.

თვალები შენი შედიან შენში
(ოკულარებით სამყაროს უმზერ), —
თითქოს ქვეყანა ტოლია კენჭის,
ხედავ სამყაროს,
ვით ხელისგულზე.

ბანშორება

უხორცო სული მიიწევს ზევით,
გამოუღწევი უფსკრული მიმზერს,—
თითქოს ყაზბეგმა დასტოვა ხევი, —
დავცარიელდი უშენოდ ისე.

მშვიდობით, —
სტვენენ ქარები მძაფრი,
მომჩერებია მშიერი მგელი...
და მე ვთრთი,
როგორც ცახცახებს აფრა, —
ქარით სიკვდილი რომელსაც ელის

არ შეიძლება ხელახლა შეჰქმნა
ქედი ასეთი,
მთა ამდაგვარი;
არ მოხერხდება,
თუნდ ბრძანოს ღმერთმა, —
სიტყვით რომელმან შეჰქმნა სამყარო.

კი,
როგორ არა,
გაჩნდება მთები,
მაგრამ ისინი პირადად ჩემდა, —
იქნება მხოლოდ ლურჯი ლაქები. —
სისხლის ჩაქცევის შემდეგ რომ რჩება.

თეთრი ყორანი

ო, რამდენი დღეა,
რამდენი კაცია,
შენ კი —
გტანჯავს მიუღწევლობა
და ცდილობ მიხვდე, —
რომელი ვარსკვლავია —
შვიდი საოცრება ზუსტად!
— რა მჯერა? —
კითხულობ უკიდურესად დაბნეული:
თავი გაზეთისა გაქვს,
ქუდი — თავისა;
ბაგრამ, მიუხედავად ამისა, —
ჩაიდენ საშინელ ცოდვას,
უკეთუ დაუშვებ,
რომ არის მხოლოდ ხორცი.
ვინაიდან არიან ყველანი გვამები როდი!.
და ფიქრის აღმაფრენის გამო
ხარ თეთრი ყორანი.

ტყეში ვიღაცა დადის

ტყეში ვიღაცა დადის
და ფერფლი დააქვს ბოხჩით.
— ტყეს რომ ფოთოლი გასცვივა, —
მუქარით ამბობს მეტყევე, —
სადღა წამივა...
ხე დასწვა ნაღდად!
მანამდე კი, გოგონებო,
ტყისკენ არ ქნათ პირი,
საშიშია!

ტყეში ვიღაცა დადის
და ფერფლი დააქვს ბოხჩით.
— ოქროსმაძიებელი იქნება! —
ამბობს ღიპიანი კაცი, —
იცოცხლე, იკადროს გამოსელა,
მაგიამ თუ გაუფუჭა ოქრო!
მანამდე კი, გოგონებო,
ტყისკენ არ ქნათ პირი,
საშიშია!

ტყეში ვიღაცა დადის
და ფერფლი დააქვს ბოხჩით.
— სრული ჭკუის არ იქნება! —
ბრძნულად ამბობს ექიმი. —
მოიყვანენ ჭკუაზე, —
თუ ჩავარდა მედიცინის ხელში!
მანამდე კი გოგონებო,
ტყისკენ არ ქნათ პირი,
საშიშია!

ტყეში ვიღაცა დადის
და ფერფლი დააქვს ბოხჩით.
— ინდოეთში დაიხოცნენ ძველად! —
ამბობს მისანი. —
ახლა ფერფლიდან ქმარი
ცოლის გაცოცხლებას უცდის!
ამაზე კი, გოგოებო,
არ გირჩევდით სიცილს,
საშიშია!



არწივი

მთელი ქვეყანა გაწოლილა არწივის თვალწინ.
პიტალო კლდიდან იმზირება არწივი რიხით,
დახეტიალობს რა ხანია ამ ცაში იგი, —
რა არ უნახავს თავისობას, ვინ იცის, არწივს!

კრიალა წყალში როგორ ცურავს უნახავს წვერა,
ზანზალაკების წკარაწკური სმენია ტკბილი,
დაბურულ ტყეში არაერთი უნახავს წყვილი,
მოუსმენია აკვნის მდგმურთა ტიტინი მერე.

იგი ყოველთვის მაღალ მთებში ცხოვრობდა ლაღად,
ძირს კი დღითი დღე იზრდებოდა სოფლების რიცხვი
და მძვინვარებდა მოწიფულთა ძარღვებში სისხლი.

უცებ არწივი სასწაულმა დატოვა სახტად:
წყალმა, რომელიც ღრიანცელით ვიდოდა ველად, —
თეთრი მოხუცის კარიბჭესთან გაკმინდა ენა.

ფიქრი

მარადისობის დაბლობში დავწექ,
გვერდით ჩემივე მომიწვა აზრი:
ჩემსას მან თვალი გადაჰკრა ნაწერს
და მეუბნება უეცრად ასე: —
სტრიქონს სიცხადე აკლია შენსას,
ვერ გამოხატავს ცხოვრებას სრულად,
მოკლებულია იმ ნათელ ჟღერას, —
ცა და ქვეყანა რომლითაც სუნთქავს.
არ გარჯილხარო, ჩანს, როგორც ჯერარს.
გმართებსო მეტი გარჯა და ზრუნვა!
ავდექი. ფეხზე წამოხტა აზრიც,
სევდას ვუყივლე: — გარეგან გაზი! —
მივწი-მოვწიე ცრემლები განზე
და ორნი ერთზე დავდექით გზაზე.

გრძნობებს, რომლებიც ჩნდებოდნენ მერე
(ვგრაგნიდით უკვე როდესაც მანძილს),
ღვარჯნილი აღარ ხუთავდა ენა,
სალხური ენით ჰკაზმავდა აზრი.
მთით სიმღერები სცვიოდნენ ბარად,
ირგვლივ წკრიალით ისროდნენ შხეფებს,
ტკაცუნით ჰქროდნენ არწივთა დარად,
როგორც — არწივნი, იმგვარად ჰყეფდნენ.
სად არ ნახავდა მათ თვალი კაცის,
ყველგან სჯაბნიდნენ ისინი სკეფსისს, —
ქარხნების თეთრი მილების გასწვრივ,
თუ ასფალტმოსხმულ კრიალა გზებზე,

კრინით მღეროდნენ ქვაბებიც ორთქლის,
ცვდებოდა ნისლი კლდეებზე ფორთხვით.
სდექ, აზრო ჩემო, უნელე რონინს,
ჩამოტოვება არ სცადო დროის;
გახსოვდეს, მოგდევს ფეხდაფეხ კაცი, —
თავისი სტანჯავს რომელსაც აზრი.

იგი მიწაში ბუჯერობს ახლა, —
ოფლის წვიმიდან ძლივს უჩანს სახე,
სურს დააბრუნოს როგორმე წაღმა,
ბედის უკუღმა მბრუნავი ჩარხი...
ათასში ერთხელ ულუფად შერის
ბედნიერება იხუვლებს ზეცით, —
რვეული მოაქვს მას სუფთა წერის
და მშობლიური სოფლების პეწი.
მოვა, დაგვხედავს, გაშპება მყისვე,
და მერე ვეძებთ ისევ და ისევ.

უსსეულო ძალა

აღემატება დედამიწას კაცი სიმძლავრით,
მან გამოიცნო ვინაიდან ტრიალი მისი,
რამეთუ იგი მხოლოდ ერთი სურვილით იწვის, —
საიდუმლონი სურს ამოხსნას, როგორც სიზმარნი.

აღმოაჩინა მან ციალი ვარსკვლავთა რადგან
და საკუთარში შეინახა სათუთად სულში,
იყო და არის ვინაიდან ის ბედის ურჩი
და არ იტაცებს არაფერი აღმასვლის გარდა.

კაცი, რომელიც გაბედულად აზროვნებს მიწყივ,
ურყევი რწმენით სავსეს ზურგით მღათრევს ბოღჩას,
უარაქათო სადმე ქვასთან ვარდება ზოგჯერ,
მაგრამ ყოველთვის დიადია მიზანი მისი.

ის, ჩანს, ამ ქვეყნად იმიტომ იშვა,
ჰქროდეს პირდაპირ, ვითარცა შუქი,
არ გაუელვოს საფლავის შიშმა,
მაშინაც, როცა სულს ღაფავს უკვე,

ადამიანო, გაქვს რომელსაც მიზანი დიდი,
და უსხეულო გამხნევებს ძალა,
სისხლს დაღვრი კვლავაც, ვითარცა ჰღვრიდი,
სანამ თენდება, ღამდება სანამ.

ზარი

ამ საუკუნის გუგუნებს ზარი
და ზარის ხმაში გამოჩანს ხვალე.

ო, მომავალი, — ხილული ხმაში,
თანამგზავრები — მბრუნავი ცაში,
უცებ მამაცი იელვებს ვაჟი, —
სწვდა საუკუნეს რომელიც რქაში.

კაცი, რომელიც ძლევისთვის გაჩნდა,
მზისკენ ისწრაფვის, — ნუგეშად კაცთა.

მიწის ატყვია სახეზე სიქა,
წითლად ელვარეს მიაფრენს ლითონს
და ამ უწყვეტელ სრბოლაში იგი,
ბედს ახარატებს თავისას თვითონ.

ამ საუკუნის გუგუნებს ზარი
და ზარის ხმაში გამოჩანს ხვალე.

გვიახლოვდება, — ხმობილი ზარით, —
ზურგზე ხუთწლედთა ჰკიდია ჩანთა, —
თანამგზავრები, — საომრად მზანი, —
სრული სიმშვიდით დარახტოს რათა.

კაცი, რომელიც ძლევისთვის გაჩნდა,
მზისკენ ისწრაფვის, — ნუგეშად კაცთა.

აბა, ჰე, კაცო, გაფრინდი, გასწი,
შენსავეს ფრთები შეასხი სურვილს
და მოიქციე საკუთარ თვალში
კაცობრიობის ლხენა და ურვა.



საგაზაფხულო ხმები

ლუსკუმი ღამით დნებოდა თოვლი.
უმთვარო ღამით.
უჩქამო ღამით.
ყრუდ გუგუნებდნენ ჩაქუჩნი შუშის,
ბაბუაწვერა ბზინავდა რიგად, —
გარემო ჰგავდა ზმანებას სპეტაკს.

უცებ ქუჩაში გამოჩნდა კაცი:
მორბოდა იგი,
ითხოვდა შველას...
სულს ღრმად ითქვამდა
და გაჰკიოდა...
ხმა ჰკვეთდა შიშით შეცვლილი სივრცეს.

ფანჯრები უმალ ჩაბნელდა მხდალთა,
წვეთმა
უმალვე შესწყვიტა წვეთა,
კვამლმა

ბუხარში გატრუნა სული.
და უცნაური ის იყო ახლა,
და შემზარავი ის იყო მხოლოდ,
რომ იმ კაცს
უკან ჰოსდევდა არვინ,
არც ვინმე
შველას ფიქრობდა მისას, —
ვიდრე ხმა მისი არ შთანთქა სივრცემ.
მაშინ
ქარბუქი მოიჭრა მძაფრი, —
ერთი აივნის ჩალეწა მინა...
სახურავიდან ნამქერი მოსხლტა
და ტროტუარზე მოიღო ზათქი...
და მღვრიე წყალნი
წარდინდნენ ირგვლივ...
შევნიშნეთ დილით:
ქალაქში რკინის აღარ იყო ქანდაკი ერთი.

პოზიცია

თუმცა ზიარი არ გვქონია მე და შენ მერხი,
არც ძმაკაცებად გავფიცულვართ არასდროს ლუდით, —
მყის პოზიცია დავიკავეთ ორთავემ ერთი, —
ორი როგორც კი შეენარცხა სამყარო ურთერთს.
უკვე მიმდგარი
უმრუმესი უფსკრულის პირას, —
კონტრიერიშით
იხანგრძლივებს აღსასრულს ერთი...
უხმოდ,
უმზერლად,
უზარმაზარ მადლობას გწირავ, —
ვარ გულმაგარი,
მეგულები რადგანაც გვერდით.

და ერთმანეთის სახელების არცოდნის გამო, —
„ძამოს“ — ვეძახით ერთმანეთს, ძამო!
მაგრამ როგორც კი
ქვემეხების შეწყდება ზალპი,
ღა ჩვენ ერთმანეთს
თვალს ხელახლა გავუყრით თვალში;
ცოტა არ იყოს,
გვემცხეთება ორთავეს ალბათ, —
მე და შენს შორის არსებული სხვაობა მაშინ.
შენ იტყვი: —
ჩუმი მიტაცებს მთვარე.
მე ვიტყვი: —
მიყვარს ჯაზი და ბუკი.
და
გავულიმებთ ერთმანეთს მწარედ,
და მერე...
კარგად მეყოლე უკვე.
და,
როგორც წესი,
ამ მწარე სიტყვას,
ჩემი არ იყოს.
შენც იტყვი ბოლოს: —
პოზიციაზე,
რომელზეც იდგნენ,
დახოცილები
რჩებიან
მხოლოდ.

დღის სინათლე

სამყაროს ამას
სრულს აძლევს სახეს:
მიწა და ზეცა
და კითხვა „რატომ“.
მეც,
როგორც ყველას,
ვინც კია ცისქვეშ,
გავერკვე მინდა, —
რა ხდება ირგვლივ.
მინდა ფორმულად ვაქციო ფორმა,
ცოდნამ ნაყოფი მოიღოს მინდა.
მაგრამ
როდესაც ვკითხულობ გაზეთს,
ან ხელმძღვანელის ხმას როცა ვისმენ, —
ცად
თვალი რატომ გამირბის
ცალი?
რატომ?
ფერგაცრეცილი მთვარეო დღისა,
ძლივს შესამჩნევო, —
აცრილის მსგავსად, —
ვგრძნობ არსებობას მე შენსას მუდამ...
რატომ?
ვზი საგაზეთო სტატიის წერად,
თუ შევექცევი საუზმეს ფეხზე, —
რას მიდარაჯებ ყველგან და მარად
და მაბნევ ხოლმე...
რატომ?
რა გესაქმება ამ ცხარე მზეში?
დააგვიანე,
თუ მოხველ ადრე?
ეს სულერთია, ეგების, შენდა?!
მე — კი, —
იალა, — დღეს არა, ხვალე! —

მაქვს განსაზღვრული რამეთუ ვადა,
ვარ ჩუმი,
როგორც ლექსია ჩემი.
ცის სილურჯეში რომ ჩანხარ თეთრად,
ვით საქორწილო ლეჩაქი, ისე...
ხარ მოგონება
მზიანი ღამის,
თუ წინათგრძნობა
უმზეო დღეთა?

ბინდბუნდის ბიჭები

საჭიროა ცოტაოდენი წყვდიადი,
საჭიროა ცოტაოდენი სევდა,
საჭიროა ცოტაოდენი
„რა გავაკეთო!"
და
გამოდიან
ბინდბუნდის ბიჭნი.
უსახური ქვაფენილიდან
ამოხტიან მკერდგაღეღილნი.
გლისპნი არიან
და ბედნიერნი; —
უკვე ისეთნი,
როგორნიც ვეღარ გახდებიან.
მათ გასაგონად, ჩურჩულებენ ბაგენი ცხელი:
— შენ გენაცვალე!..
დრო აკრძალული:
— არ შეეპუო!..
შეუჩერებლივ,
ჯიქურ,
პირდაპირ

მოაბოტებენ ისინი
და აპურჭყებენ მთავარ ქუჩაზე.

ჩვენ მათ ვუყურებთ ლაჩრული ზიზღით.
ჩვენ არ ვართ ხულიგნები.
ვიშ, რა კარგია! —
შინაგანად კი —
ჩვენშიაც მოიპოვება
ცოტაოდენი წყვდიადი.
შინაგანად კი —
ჩვენშიაც მოიპოვება
ცოტაოდენი სევდა;
ოღონდ
აზრიც გვაქვს ჩვენ შინაგანად.
და ეს იცის ყველამ.
ჩვენ ვართ ერთგულნი
და პირნათელნი.
ესეც ყველამ იცის.
ჩვენთა მადალთა ლოზუნგთა ქვეშე
ისევ ჯიკაობს ხალხი უბირი.

მოძრაობავ,
ო. ბინდბუნდის მოძრაობავ, —
უაზრო სწრაფვათა პარადო.
ბინდბუნდის ბიჭთა პარადო, —
რამდენი სალამოა,
რამდენი წელიწადია, —
რაც შენ გრძელდები
ქალაქის ბნელი ბაღიდან
ჩამოხრჩობილთა ძეგლამდე!

მიზეზნი

ჭაბანი მკვახე.
ცაში ბდღვირის ავარდა ქულა...
მიწას კედელი განეფინა
ვითარცა ფარდა.
გადაიღალა?
შეეშინდა?
ვინმემ უბრკუმა?
თუ საამქვეყნო გაუთავდა უბრალოდ ვადა?
ასე ანაზდად სადაური ეტაკა ქარი,
რატომ გაუწყრა
დღემდე უხვად მოწყალე ღმერთი?
ულვთოდ, უჩხუბრად,
თვალსაჩინო მიზეზის გარე,
რას მივაწეროთ ჩამომზღვლევა ამაყი კედლის?
მას ხომ სულ მცირეც ვერ აართვა მიწისძვრამ ხარკი,
მან ხომ თვით წარღვნას ასროლინა ერთხელ ქვა კუდით,
ეს დალოცვილი
არ იშლიდა დაღუპვას რაკი, —
ნუთუ ამაზე ხელსაყრელი ვერ ნახა წუთი?
ვხედავ, — მტვრიანი როგორ წდება ჰაერი ირგვლივ,
ვხედავ, — დამფრთხალმა ხვრელი როგორ მოძებნა გველმა.
ვდუმვარ და ჩემი დასტრიალებს ამჟამად ფიქრი
ციზეზთა ჩვენთა —
დანახულთა შედეგთა მერმე.
არადა, ისე, კაცმა რომ თქვას,
რანი ვართ კაცნი!
ერთი ჟინისა, თუ უტეხი საყრდენის გარდა, —
ეცდილობთ,
ფრენაში ვაჯობოთ არწივს.
ვიღლებით,
დაღლას ვაფარებთ ფარდას.

ნიკოლოზ მარაბანდიშვილი



1923 წლის ზაფხულის ქრონიკა

სოკრატესავით გოდორში მჯდარი
ეფიქრობ:
ნეტა სახლების ფასადებიდან
ანგელოზები გაფრინდნენ საით?
წვეთენ აკანთნი
ტაძართა ძველთა.
მწვანე გუმბათნო, —
გარდასულთა დიდებათანო —
გამუქებულა ძაძასავით
ჟანგარო თქვენი.
ბაცდება დაფნა ძლევამოსილის.

სიკეთისაგან მოხრილნო წელში, —
განამტკიცენით
საკუთარი,
ო, ძმანო,
მწყობრი.
ღვთით, პირმწვანენი არიან უხვად,

კენკენ სამყაროს რომელნიც ლორთქოს...
მიძგერს მაჯაში,
როგორც კრეშენდო.
მოქალაქენო! —
გაიღეთ მოწყალება
ვოლგისპირელ დაყმანდილთათვის.
მხოლოდ რუსეთის გოლფსტრიმი
გაადნობს
ევროპის ყინულს.
დაბეგრილია სიხარული, —
თითქოა ლუქსი.
საჭართლეს ნიშნავს —
ბასტილია! —
ოქმული ხმამაღლა.
ყასბების ახლა მძვინვარებს ლხინი.
მოიწადინა ვიღაცამ სმური:
ახალგაზრდული უტრიალებს ფიქრები თავში—
კრიეი,
ეაზბანდი.

ძეტროპოლიებს
იკაეებენ კოლონიები:
ოკეანეთში მონაპოვარ ზარაურთებით
რთავენ თავიანთ წანულეთებს
ევროპელნი
უნატიფესნი.
მანდილოსნები ატარებენ ეპოქის ფერებს.
ტროტუარებზე უთვალავი დადის დამხრჩვალი.
ევროპის ძველი ვალსი
სულს ღაფავს დაფლეთილ გულში;
ინვალიდურ გიმნასტიკაზე
არ რეაგირებენ სხვანაირად...
რუკა სადაა წითელი!

ბოლო სადღაც შორს, შორს,
ერთი შავი ველური

ეშვიდად ფქვავს
ხორბალს
პრეისტორიული გელაზით.

ფითელი სასლი

ცათამბჯენის გვერდით
დგას შენობა ერთი, —
ადგას ყოველ დილით
ცათამბჯენის ჩრდილი.

იმ შენობას ირგვლივ
აქვს იმდენი ხაზი, —
წლის იქნება იგი
არანაკლებ ასის.

სხვენზე უზის კატა,
ფიქრი ტანჯავს შორი...
ზედ შენობის კართან
ძეწნა ტირის ორი.

ტურფა იყო, ალბათ,
თავის დროზე ისიც,
დღეს კი სხივი წამლად
აღარ ხვდება მზისა.

გამსკდარია გულზე,
პირზე ადევს რაზა,
საცოდავად უმზერს
სართულმრავალ სრასა.

სამერცხლურის მინას
ენატრება შუქი, —

ზეცით სავსე წინათ,
დღეს სავსეა მწუხრით.

მკილით დაღრღნილ კარებს
ქარი აღებს მხოლოდ, —
უდაოა, მალე
მოეღება ბოლო.

არის კარგა ხანი
რაც წარსული გაჰქრა,
რაც ეს სახლი ქარის
ასპარეზი გახდა.

აქ ცხოვრობდა ადრე
მოსკოველი გრაფი,
ვინც იცოდა ყადრი
ჭამისა და ყლაპვის.

ტანთა მიმოტანით
სინათლეზე ჭაღთა, —
ტანწერწეტა ქალნი
გრაფს სტოვებდნენ სახტად.

აქ პუშკინი ჟღერდა,
ვნება წყვეტდა ბორკილს, —
ზანზარებდა ჭერი
კადრილით და პოლკით.

სადუელე მზერაც
ახლდა ზოგჯერ მეჯლისს...
სინდისისა მერე
გრძნობდა ზოგი ქენჯნას.

ჭიქებს — ღვინით სავსეს, —
თაეზე ადგა ქაფი,
ნებივრობდა ასე
ოქტომბრამდე გრაფი.

სახლის კარებს ვიდრე
შეულეწდა რისხვა
და სახლს მისას, — ყვითელს,
შეღებავდა წითლად...

ძველი ფერი ახლაც
ჟონავს ზოგჯერ წითლით,
მაგრამ სურათს ახალს, —
სულაც ვერ სცვლის იგი.

დუმილია მძაფრი,
დრო უჩუმრად გადის,
დღეს ამ სახლში გრაფის
ცხოვრობს მხოლოდ ლანდი.

ლირიკული ლოგიკა

ჩანს, ლავა უკვე ცივდება ახლა,
ბოლად ქცეულა კრატერის ბინდი,
ფაფარს იკვაწნის ღრუბელი ლაღი,
წყალო და მიწავ, იძინე მშვიდად.

ზვრებში ფიცხელი ჩაღდება რთველი,
ზაფხული ნამგალს იმარჯვებს უხვი,
თენდება დილა — ნორჩი და ბრძენი,
კაცსაც საქმენი მიუდის უკეთ.

ყოფის როგორღაც შებრუნდა კეხი,
აწმყო გარდასულს არა ჰგავს სულაც;
მიჯნებს არღვევენ ამჯერად გლეხნი,
და ეხვევიან ერთმანეთს ძმურად.

შეხედე, ქვითკირს აშენებს კაცი,
ისევე, როგორც აგებდნენ უწინ...

ნუთუ მოითხოვს ლოგიკა მკაცრი,
რომ ეს კედელი დაინგრეს უცებ?

ხმა ჩაიწყვიტე, ავყია ხროვაც, —
ხალხს რომ ხელახლა უქადი ჟლეტას...
ცხოვრება ჰგავდეს ცხოვრებას, დროა,
დროა, რომ შეიძლით ხარობდეს დედა.

დროა ღიმილმა შესცვალოს დენთი,
ფანჯრიდან შუქი იღვროდეს უხვად,
ლაღად ეფრინოს პეპელას კეთილს, —
ყმაწვილს, რომელიც ძალიან უყვარს.

ლირიკულს ვაქებ ლოგიკას მხოლოდ,
მუცლით მეზღაპრეს გაუხმეს ენა.
ენამრავალო ტყუვდები ჭორო, —
ომი არავის არ უნდა შენი!

მერწმუნეთ, შლეგთა უმწეო ცეცხლი,
კერპს უბოროტესს ამაოდ ესავს;
ცხოვრების კანონს ვერავინ შეცვლის,
და იზეიმებს მშვიდობა ქვეყნად.

ᲓᲝᲑᲠᲟᲘᲛᲘᲡ ᲙᲝᲨᲙᲘᲡ ᲤᲐᲜᲢᲝᲛᲘ

ვისიც არ უნდა მიიღო სახე,
ჰიმლერის ლანდი ბრძანდები, ვიცი,
გაგითევია აქ ბევრი ღამე,
აგერ, საწოლიც, რომელზეც იწექ.

მოპრიალებულ იატაკს დღესაც
ატყვია შენი ჩექმების სიქა
(ფეხზე გეკიდა შენც, ვით სხვა მზეცთა, —
რაც იმ დროს კოშკის ხდებოდა მიღმა).

გრაფი — ცოლითურთ შენს ცხვირწინ იჯდა,
ქალბატონს შენი ბურღავდა მზერა,
გულს იჯერებდით როდესაც ბრიჯით,
ერთხმად ფიურერს აქებდით მერე.

ბაღლს აუსვია, — იტყოდი, — ენა, —
ჩექმები ისე ელავდა ბოქსის...
და გაწლობილი მწევარი შენი,
ნებივრად იწვა შენს ფერხთით ნოხზე.

ლპობაშესული გიმზერდი მდედრი,
ეცვა ქალბატონს კიმონო ჭრელი,
კამოდზე სისხლის ბზინავდა შხეფი, —
ერცახე მოწმე სიმხეცის შენის.

ანდა, ეგების მე არ ვარ სწორი?!
შენ იქნებ დაღვრა არც გსურდა მისი?!
ახლა იქნება ეს გტანჯავს სწორედ?!
ეს, — უმიზეზოდ დაღვრილი სისხლი?!

შენ, მგონი, ღელავ (რას ვროშავ თუმცა),
გსურს შეშინება, გეტყობა, ჩემი!
კედლის სარკეში ხარხარებ ურცხვად, —
გადმოგიყრია ჩოტები ცხენის.

ბავშვების ჟლეტას უმზერდი დინჯად,
გეჭირა შოლტი, ვითარცა რისხვა,
შელება შენი გენერლის ბრიჯი, —
შენგან უწყალოდ დაღვრილმა სისხლმა.

ო, ვიცი, თუმცა შენ მწარე აბი
ჩაყლაპე, როცა წააგე ომი,
მაგრამ ვერ ავსებს ეგ შენი გვამი, —
ჩვენს მიერ შენთვის ამოთხრილ ორმოს.

ხალხის წინაშე შენ ხარ პირშავი,
კრულვა ყოველი, — ახია შენზე!..

გულშემზარავი გეტო ვარშავის, —
ნაჭრებს საპნისას ინახავს დღემდე

მონანიება ვერ გიხსნის უკვე,
გზები ხსნისანი მოიჭერ შენვე;
შენ რომ მარადი გეგონა შუქი,
ის წამიერი გამოდგა ელვა.

დაგწყევლი: მოწყდი და ქვესკნელს ჩადი, —
ბეჯითად თხრიდი რომელსაც სხვისთვის,
იცან, სიკვდილის, ვამპირო, შანთი,
ინებე, რისიც ბრძანდები ღირსი.



ტ რ ფ ო ბ ა, — უკეთუ არაა ყალბი,
დასტურ, სამყარო არის რჩეული;
გვინდა, — არ გვინდა, საითაც ხარბად
გვიხმობს, გვეძახის გული-ვრძნეული.

იგი სითბოს და სიწრფელეს ეძებს,
და, როცა ლურჯი მყარდება ბინდი,
ყველაფერს მისკენ უჭირავს გეზი,
დიდი და მცირე იქითკენ ილტვის.

ზღვიდან ღრუბელი მოიწევს ზანტად,
ფოთლებს სიოსი აროკებს ლახტი,
და უხიაგი ჰავაა სადაც, —
მუნ ყვავილები ხარობენ აღთქმის.

ხშირად, როდესაც ახლოა ძილი, —
იასამანა წამოვა თქორი,
გესმის წვიმიდან ბაასი ტკბილი
და ცხარე ცრემლის
კვლავ გჯერა ხოლმე.

და უწმინდესი სიმართლე ჟონავს
ბაგიდან, თმიდან, მზერიდან, ხმიდან,
არ შეიძლება რაიმეს ჰქმნიდეს
კაცი, რომელიც სიყვარულს ჭორავს.

მიწამ თავისი მარადი წვიმა,
დღეს, ერთხელ კიდევ, მიიღო ციდან,
ცამ გადიყარა ღრუბელი თალხი,
ნათელმხილველი შეიქნა ხალხი.

ვის დავეკითხო, ამიხსნას რათა, —
ღამით ქალწულის რას ნიშნავს ცრემლი?
რას მოასწავებს ეს წვიმის ფარდა?
ანდა, სურვილი რამ შობა ჩემი?

ო, განწმენდისკენ ეს ძველი ლტოლვა! —
წარსულს რომელიც უკუყრის ხოლმე —
პაწია წვეთი, — იმ დიდი თოვლის, —
ხანდახან გულის რომ ადნობს თორნე.

წავიდა ვიღაც. უცნობი იქნებ,
მაგრამ ჩვენ იმას სიზმარში ვხედავთ,
გვესმის სიყვარულს ვით უხმობს იგი...
და ვამბობთ: — ცხადად გვანახა ნეტა!

და ველით მისგან შემთხვევით ძახილს,
სახელთა შორის ჩვენ სახელს ვნატრობთ,
და ცხელი ცრემლი გვინამავს სახეს, —
ჩვენივე გული რომელსაც ადნობს.

სუყველგან პირველ სიყვარულს ვეძებ:
შუშხუნა ღვინის შვიდივე ფერში,
ბიდახის ძროზე,
ნოღრათოს ფსკერზე,
მდინარის ხმაში,
წლის ყოველ თვეში.
ვიცოდე ნეტა,
სად იშვა იგი?
ემბაზი მისი სად იდგა ნეტა?
ქვაბთა ძველთა და მრუმეთა შიგნით,
თუ მთვარით მორწყულ მდელოთა ზედა?
თავდავიწყების შვილია მართლა?
ჭკუასთან ერთად, უცებ რომ გაქრა?!
ქარქვეტას ქცეულს ჩემგან გვირილად
ცისფერ უფსკრულში მასთან ჩავყავარ,
იქ მესმის ხოლმე:
— შენი ჭირიმე,
გამოგრევია თმაში ჭაღარა.
შაგრამ ძვირად ვარ მე მის წინაშე,
როგორც ხუმრობა ტრაგედიაში.

ეშმაკიც კია ამაღამ ცოდვა,
ისე ბნელა და იმგვარად ცივა...
როგორც კი თვალი მივლულე ოდნავ,
ალსარებები მოიხმო ძილმა.
...სიცარიელით დასახლებული
ჩანს ხოლორული გარემო — მწირი...
ცეცხლის, ოდესღაც გაჩაღებულის,
ფერფლიღა ჰყრია აქა-იქ მცირე.
არავინაა ირგვლივ ჩვენს გარდა,
აქ მზე და ჩრდილი არ იცის რადგან.
ხმა ტრაგიკულად გაისმის ჩვენი,
თითქოს ორმოში ვყვიროდეთ, ისე.

აკლდამასავით დუმს მწვანე ტევრი,
ღრუბლიდან შუქი ამაოდ იწევს.
და ჩვენი გრძნობა,
გზა სადაც უხვევს,
სცნობს პერიგეას თავისას უკვე.
სადა ვართ ნეტა?
ან რომელ მხარეს?
ეს რა ხალხია,
გავიგო მინდა:
სისაძაგლეში ყელამდე ძდგარებს,
ხელში რომ დროშა უჭირავთ წმინდა.
რა მემართება?
ავად ვარ იქნებ?!
გაოგნებული
ძალღონეს ვიკრებ.
ღოროტოტოზე მიბჯენილ პირით, —
უცებ ჩემს თვალწინ დგას კომკავშირი.
ამწონ-დამწონეს,
ლექსები ჰქუხან,
ტაშისკვრაშია ქალი და კაცი...
მაშასადამე, —
დავბრუნდი უკან,
არა მიჭირს რა, მე მგონი, აწი.

განაპირობა ასაკმა, მჯერა,
შემოდგომისკენ ეს ჩემი სწრაფვა...
ვერ მოვუარე მე გრძნობებს ჩემსას
და სიმკაცრეში გამებნენ სადღაც.
დაუკავშირდა ზოგი ბელზებელს,
მზე ამჯობინა ზოგმა ბრწყინვალე...
მაგრამ ისინი ახლაც მეძებენ
იქ, მდუმარება სადაც მძვინვარებს.
შუქის სატევრით

აპობენ წკვარამს
ზმანების ფანჯრებს ამტვრევენ ფერადს...
შვიდფერი ნატვრის ჩეროში წვანან,
სუყველგან მათი იგრძნობა მზერა.
ასე განსაჯე,
მათ შორის, ზოგმა
ვერ შეაქცია ჯერ კიდევ ზურგი
მოგონებებით ავადმყოფ მოყმეს, —
მე დავივიწყე, რომელიც უკვე.
ქალნიც,
რომელნიც მიყვარდნენ წინათ,
დაიმარტოვა უჩემოდ დარდმა...
მიაქვს მარიცას
მაისის წვიმა, —
ჩიტის ბუდეში
რომელიც გათბა.

გვაღელვებს ხოლმე, წარსულთან ერთად,
ბალახიც, — წინათ რომ იყო მწვანე.
ჭაბუკთა თავში ეძლევა სევდას
ჰაეროვანი ახალი მთვარე.
ერესად ვერვინ ჩამოთვლის ამას,
და, თუ ჩამოთვლის, — მით უმჯობესი,
რომ მე ვიგონებ მეწამულ წამალს,
განმარტოვებულს
სადღაც
შორეთში;
რადგან ვარსკვლავნი და ცთომილები
მიწისას დღემდე ისმენენ ძახილს,
ნოსტალგიური განწყობილებით
სავსეა რადგან ყმუილი ძაღლის.
თუმცაღა ჩვენგან წარილტვნენ ხენი,
კვლავ ჩვენთანაა იმათი ქარი,

რომ გაალვიოს აზრები ძველი,
დაუცხრომელი თავისი ძალით.
უცნაურია! —
ვითარცა ზღაპრად, —
შეხედე!
უცებ დაკაცდა ბალღი;
წვიმას ვაჟკაცის შეუდგა პეშვი,
და, როგორცაა ვაჟკაცთა წესი,
წყალი თავისი პეშვიდან შესვა.



მიზიდავენ და მაგდებენ
შენი ლამაზი თვალები.
სიცოცხლე თუმცა მაკლდება,
ვარ მაინც შენკენ მარები.
და, რადგან ჩემთვის მარტოდენ
შენი სიტყვაა ბეჭედი;
გეტყვი:
— ბრძანდები ბატონი! —
როგორც კი მეტყვი:
— შეჩერდი!

ოღონდ,
მანამდე ლამაზო,
გენუკვი,
ნება მიბოძე, —
ვიარო,
ვიდრე ანაზდად
არ მივადგები მებოძირს, —

რომლის შემდეგაც,
შენც იცი, —
გზა გაორდება ზიარი,
და ჩემი მკრთალი მერმისი
უშენოდ გაიწკრიალებს...

ნეფერტიტი

წრფელია ტრფობა, ნეფერტიტო, ჩემი შენდამი,
ენამზეობით, დამერწმუნე, თავს არ გაწონებ.
ყური არ უპყრა, ჭორაობენ რასაც ღაზონი,
ოკლიანები, ცნობილია, გულს ვერ ხედავენ.
სად არ ვეთრიე, მოვაღწევდი შენამდე ვიდრე,
საუკუნენი გადმოვლახე აურაცხელი...
რამდენჯერ დელგმას თმები ჰქონდა დაუვარცხნელი,
რამდენჯერ მთვარეს პირისახე უმწიფდა ყვითლად.

მე მახსოვს შენი ქედმაღალი თანამეცხედრე,
ერთიმეორეს რომ გაგვაცნო, ის იყო სწორედ...
იმდენად თვისად მას სიტურფე მიაჩნდა ცოლის, —
ცოტა არ იყოს, ხასიათი მისი მემცხეთა.
მარცხენა ბეჭზე მიწყივ გეჯდა შენ კუპიდონი.
მეუღლემ შენმა შენზე ბრძანა: — გამოძერწეთო!
და დღეს ჩემია შენი ტანი — ლორთქო, წერწეტი, —
მყავდა რადგანაც პაპისპაპისპაპა სკულპტორი.

გეალერსები უთვალავი ეპოქის შემდეგ,
ჯერ კიდევ როდის მხოლოდ ჩემად სახელდებულო...
და ყველა ღმერთის წინააღმდეგ ამხედრებული,
უფლებას ჩემსას, ნეფერტიტო, ვავრცელებ შენზე.
კერპნი, რომელნიც შენ ძლიერნი გეგონა ყოვლად,
არ დაიჯერო, დარტყმას ჩემსას რომ გაუძლებენ...
ოღონდ ეს კია, ოდეს გიმზერ, — მზარავენ წლები, —
შემდგომად ჩემსა უეჭველად რომლებიც მოვლენ.

FIN D'OISE

წარწერა როა:
Fin d'Oise![1]
მყისვე,
როგორც კი ამას მოაღწევს! —
მორჩა! —
ოაზმა მოგჭამა ჭირი! —
აქედან უკვე
მხოლოდ სენა
განაგრძობს ჯირითს.

ულმერთოდ ტყუის, ცხადია, სენა,
ოაზს როდესაც არწმუნებს ურცხვად:
— არ წაიშლება სახელი შენი! —
ერთ კალაპოტში ვიდენთო თუმცა.

გადაჭრილია ოაზის ბედი, —
მას აქ სავსებით ეღება ბოლო.
საბედისწერო წარწერის შემდეგ:
— სენა და სენა! — გაისმის მხოლოდ.

დინება სენის გრძელდება ასე,
დაბოლოს ვიდრე მის ამაყ ზვირთებს
ოაზის ცრემლი არ გახდის მლაშეს
და ოკეანე არ შთანთქავს ვიდრე.

---

[1] პარიზში, იმ ადგილას, სადაც მღინარე ოაზი ერთვის მდინარე სენას, არის წარწერა: „Fin d'Oise" („ოაზის დასასრული").

პარმის სავანე

მინდა სავანე ვიპოვო პარმის,
არ ვეპუები ურიცხვ სიძნელეს;
აქაურები ამიტომ ალბათ,
ცოტა არ იყოს, ეჭვით მიმზერენ.

არ მეგულება ამ ქვეყნად კაცი,
ამ წმინდა წყაროს რომ არ ნატრობდეს,
არის პატრონი რამზელა განძის, —
ვერ დაუნახავს პარმელს მარტოდენ.

მოვრჩეთ! ვაჭრებთან კამათი კმარა!
ნურვინ იფიქრებს, — თითქოს ვაჭარბებ;
სავანე ვიდრე მეგულვის პარმის,
ვარ უმდიდრესი ყველა ვაჭარზე.

რას ვფიქრობდი, ტროტუარზე რომ ვიმოვდიოდი

არის ხალხი, რომელიც ჩვენ ფლიდებად გვთვლის.
სხვები, შედარებით კეთილნი, ჩვენზე ამბობენ, რომ ჩვენ
ვართ მხდალნი.
საუკეთესონი მათ შორის, ჩვენი რომ არა გაეგებათ რა, —
დაბეჯითებით ამტკიცებენ, რომ ჩვენ ვართ ბრმები.

და მე სწორედ მათ მივმართო მინდა
(სხვებთან საუბრის სურვილი არ მაქვს):

— კოლეგებო!
დღეს მე მცონარ და კეთილ განწყობილებაზე ვარ,
ვარ ლიბერალური, როგორც არასდროს.

დღეს მე მზადა ვარ საკუთარი დავკარგო თავი,
ოღონდ გიპოვოთ თქვენ.
დღეს მე მზადა ვარ ჩემი ტროტუარიდან
გადმოვიდე თქვენსაზე.
მხოლოდ —
მოიღეთ მოწყალება, მათხოვეთ თქვენი არგანი:
ვშიშობ ჯგლეთაში არ დამექცეს
ჩემი კეთილი ზრახვები.

და უცებ ვდგები ძალიან კარგ გუნებაზე.
უბრალოდ, — ვარ ნეტარებით აღსავსე.
რა კარგია, რომ ჩვენს ქუჩას
აქვს ორი ტროტუარი! —
მარცხენა და მარჯვენა.
რა კარგია, რომ ტროტუართა შუაში
რუხად გადის ქვაფენილი,
რომელიც არავისია.
ვიშ, რა კარგია!

ასე ვფიქრობ და რიგზეა ყველაფერი, —
ვიდრე მივდივარ აღმა;
მაგრამ გასეირნება, მოგეხსენებათ, რაც არ უნდა იყოს,
გასეირნებაა მაინც.

მიაღწევ გარკვეულ ადგილს და უნდა იბრუნო პირი.
და მაშინ
მარცხენა ტროტუარი იქცევა მარჯვენად,
მარჯვენა კი
მარცხენად...

მხოლოდ შუალედია, რომ არის უდრტვინველად,
შუალედი, რომელიც, როგორც წესი, ყოველთვის შუაშია.

თქვენ, რომლებიც ჯიკაობთ ხოლმე ტროტუარებზე,
და თან ერთმანეთს სდებთ ხოლმე ბრალს,
იტანჯებით და წვალობთ, —

გეყურებათ ხმა შუალედის?
იგი თქვენ გიხმობთ:
— ადამიანებო!
ტროტუარებიდან ჩამოხტით სწრაფად,

იქეცით პატარა რუხ რიყის ქვებად,
დაიმალენით თქვენთა მსგავსთა შორის
და დაელოდეთ.
დაელოდეთ, ვიდრე ერთხელ და სამუდამოდ
არ გადაწყდება საჭირბოროტო საკითხი:
— რომელია ტროტუარი მარცხენა.

კეთილი შუალედი! ისიც შფოთავს,
ისიც ცდილობს წამოაყენოს წინადადება, —
ერთობისა და მშვიდობის სასარგებლოდ.
აჰ, რატომა აქვს ჩვენს ქუჩასაც ტროტუარები! —
ორი ტროტუარი,
რომლებზედაც გვერდს ვუქცევთ ერთმანეთს,
გახარებულნი იმ ფაქტით,
რომ მივაბიჯებთ მარცხენა ტროტუარზე.
ორი ტროტუარი,
რომლებზედაც მიმოვდივართ პარალელურად,
ერთმანეთთან შეხვედრის გარეშე.
თქვენ, რომლებიც ჩვენზე ფიქრობთ, რომ ჩვენ ვართ ბრმები,
გახსოვთ, ოდესღაც როგორ შეასკდა ერთმანეთს,
ფართო ქუჩის მთელ სიგანეზე, — კედლით კედლამდე
მომდინარე
ტალღა მანიფესტანტებისა
და ცხენოსანი პოლიციის ტალღა?
კეთილო ტროტუარებო!
როგორ იკრუნჩხებოდნენ და ეკვროდნენ ისინი კედლებს,
როგორ ქუჩდებოდნენ და აწყდებოდნენ კარებებს,
როგორ ხდებოდით ორთავენი — ჩქვენ, მარჯვენანი,
როცა დროის ორი მიმართულება
ფართო ქუჩაზე ერთიმეორეს
უნგრევდა გულგვამს.

თქვენ, რომლებიც ჩვენზე ფიქრობთ, რომ ჩვენ ვართ ბრმები,
თქვით:
განა საჭიროა ხელახლა შეუნგრიოს დროის ორმა
მიმართულებამ

გულგვამი ურთერთს,
რომ ჩვენ ერთმანეთს შევხვდეთ?
მხარიმხარ, — ვიმედოვნებ...
მხარიმხარ, — რა თქმა უნდა!
აჰ, რატომა აქვს ჩვენს ქუჩასაც ტროტუარები!
ორი ტროტუარი —
რომელთა შორის მიედინება და იწრიტება დრო, —
ჩვენთვის და ჩვენი შეხვედრებისათვის განსაზღვრული.

ასე ვფიქრობდი, ვიდრე ვსეირნობდი.
ვფიქრობდი ასე.
და სულაც არ ვიყავ კარგ გუნებაზე.



თავისუფალი გადამღერება ანდერსენის ზღაპრისა „შიშველი სელმწიფე“

შიშველი ხელმწიფე
ვიდოდა ყოჩივით;
ფეხდაფეხ
ამალა მოსდევდა მორჩილი.

გზადაგზა
ეაზირთა ისმოდა ლაყაფი:
— რა კაბა აცვია ხელმწიფეს!
რა კაბა!..

იქვე,
მახლობლად
ჯგროდ იდგა ხალხი —
და ჩურჩულებდა შემკრთალი სახით.

უცებ
ვიღაცა პატარა ღლაპმა,

მინდვრად დასდევდა რომელიც პეპლებს,
წამოიძახა:
— სად ხედავთ კაბას! —
შიშველიაო როდესაც მეფე?!

იქვე,
მახლობლად
ჯგროდ მდგარი ხალხი —
კვლავ ჩურჩულებდა შემკრთალი სახით.

...ერთმა,
იმ ხალხში რომელიც იდგა,
გარშემო მზერით,
პატარას ჰკითხა:
— რაც თქვი! —
ვინ გითხრა?!

ანათემა

დოიჩინოვმა გაკვეთილზე სულ ხუთი წუთით
დააგვიანა, — ვერ იშოვა რადგან ტრამვაი;
გამოებმოდა, არ ეგონა, ამ ამბავს კუდი,
მაგრამ ატეხა დირექტორმა ერთი ამბავი.

მან პედსაბჭოზე გაიტანა მისი საკითხი:
— ეს საქციელი აკნინებსო, — ბრძანა, — ევროპელს!
და ახალგაზრდა პედაგოგი მკაცრად გაკიცხა,
როგორც ნიმუში სანიმუშო დაუდევრობის.

ამას კი, უკვე ვერ გაუძლო დოიჩინოვმა, —
და სამუშაოდ სხვა ქალაქში გადაინაცვლა...
მაგრამ მას აქაც აწუხებდა, როგორც ჭრილობა:
— დააგვიანა გაკვეთილზე ერთხელ ამ კაცმა!

შეირთო ქალი.
მშვენიერი აიგო სახლი.
შექმნა ოჯახი,
რომ იტყვიან ბარაქიანი...
მაგრამ რა მერე?
ჩურჩულებდა გარშემო ხალხი:
— ერთხელ ამ კაცმა გაკვეთილზე დააგვიანა!

დოიჩინოვმა წელს უეცრად გააცხო სული, —
და დირექტორმა მის კუბოსთან თქვა ნაღვლიანად:
— დოიჩინოვი კაცი იყო
სიკეთით სრული,
ერთხელ თუმცაღა გაკვეთილზე დააგვიანა!

ბ ა ზ ა ფ ხ უ ლ ი

ნახევრად ნატვრა
ნახევრად ცხადი,
მოდის და მიწას უსრულებს წადილს,
გზაზე ტალახში რომ ვტუნტრეთ ფეხი, —

რა ვუყოთ მერე! —
ნაშთია ლელმის.
ხანდახან ზეცა რომ არის მრეში, —
რა ვუყოთ მერე! —
წამოვა თქეში.

ჩიტები ზეცის სილურჯეს ჰკვეთენ,
სწყვეტს დედამიწა ყინულის ღვედებს,
ცას ნეკერჩხალი ეძგერა ისრად,
ციდან ვარსკვლავი დაეშვა კისრით.

შეხედეთ,
არის რამხელა ნდობა,

ჩიტუნა ჩალით იკეთებს ბუდეს.
ვერ შეაშინა ენძელა თოვლმა, —
ყვავილით ხელში
ყიამეთს უტევს.

ირგვლივ შუქია,
სივრცე და შუქი,
მინდვრად ყვავილი ამოდის უხვად,
ახოში ფერმა იძალა მწვანემ, —
და რამოდენა ჩვენ გვაწევს ვალი
ჯეჯილის მიმართ,
ყლორტების მიმართ,
ყველაფრის მიმართ, —
რასაცა სძინავს, —
შხაპუნა ვიდრე არ მოვა წვიმა.

ნახატი

გოგონა არის თექვსმეტი წლისა,
ბიჭუნაც უკვე თექვსმეტის არის,
გოგონას კაბა აცვია მწვანე,
ბიჭუნას ლურჯი აცვია ჯინსი,
ისინი ბაღში ერთ მერხზე სხედან,
ორთავეს ხელში უჭირავს ფუნჯი.

თქვა ერთხელ ხატვის მასწავლებელმა:
მათ ბუნებისგან ისწავლონ უნდა!
თქვა კიდევ ხატვის მასწავლებელმა,
რომ ჯერ ისინი არიან ნორჩნი;
ამასვე ამბობს გოგონას დედაც,
რომ ჯერ ისინი არიან ნორჩნი.

წამოიზარდა სუფთა ქაღალდზე
ორი პატარა მწვანე წალკოტი, —

იმ მერხიანი წალკოტის მსგავსი, —
გოგო და ბიჭი ხატავენ სადაც.

ოღონდ აქ ვერხვი, — სიცოცხლით სავსე, —
ეკურკურება შორიდან კოპიტს.

აქვე, სრულიად ჯეილმა ალვამ,
ალვა დატოვა ბებერი ორი, —
და ჩაეხვია ახოვან ჭადარს.
აღარც ღელეა უკვე მარტოკა, —
მეორე ღელე მოჰყვება გვერდით. —
კაცმა არ იცის, — მოსული სიდან!

თვით ლოდებიც კი წყვილ-წყვილად წვანან,
მხოლოდ ჩირგვები დამჯდარან ჯგუფად,
რადგან ჯერ ერთობ არიან ნორჩნი.

განმარტოებით დგას ერთი მუხა,
ერთოლ მოხუცი ის არის რადგან...

მარტოკა დარჩა ზურმუხტა მერხიც,
იჯდა რომელზეც გოგო და ბიჭი,
თექვსმეტის გოგო,
თექვსმეტის ბიჭი.

თქვა ერთხელ ხატვის მასწავლებელმა:
მათ ბუნებისგან ისწავლონ უნდა!
თქვა კიდევ ხატვის მასწავლებელმა,
რომ ჯერ ისინი არიან ნორჩნი;
ამასვე ამბობს გოგონას დედაც,
რომ ჯერ ისინი არიან ნორჩნი.



პიკასოს მტრედი

არ გშინებია შენსობას კატის.
ხარ გალიაში გაზრდილი როდი.
მხატვრის ფუნჯიდან აფრინდი, რათა
კიდით კიდემდე ხალვათად ქროდე.

იყავი ერთი, იქეცი ბევრად, —
სახლის კედლებზე დაგხატეს როცა
და კაი კაცი ვინც იყო, ყველამ
ერთხმად უარი შესძახა ომსა.

ფრინდი, ფრთამალი დაჯაბნე ქარი.
უსაზღვრო იყოს ნავარდი შენი.
ოღონდ... იცოდე, არ გექცეს მხარი.
არ გაახარო სიკვდილის მნენი.

ხალხის სახელით უთხარი ზეცას:
გვაპკუროს მხოლოდ წვიმა და შუქი!

და ყველგან, ყველგან, წინაშე შენსა
უკუდგეს ცრემლი, სისხლი და მწუხრი.

იცოცხლე მარად, აფრინდი მზემდე!
გამოეკერე ულრუბლო ცათა!
არ მოფრენილხარ შენ წარღვნის შემდეგ,
მოფრინდი — წარღვნა არ მოხდეს რათა!

ᲒᲐᲛᲝᲬᲐᲤᲮᲣᲚᲘ

შევაჭერი ძეწნას ტოტი,
გამოვთალე სალამური,
რას მიქადდა, რა ვიცოდი,
ღერო — ცვარით დანამული.

რომ ჩავბერე და ამღერდა
ტყვე ჰაერი, როგორც ჩიტი,
ტყეც ამღერდა მასთან ერთად,
მზე აღმოხდა ფერად შინდი.

ძეწნის ღერომ პაწაწინამ
მოალხინა უცბად ყველა.
კენწერომდე ააღწია
ფესვებიდან ხეთა წვენმა.

— ბუს რა ჰქონდა, ყვავს გაჰქონდა! —
არ ეთქმოდა უკვე ძეწნას,
კაცმა კარი გააღო და:
— მობრძანდიო! — უთხრა მზესა.

მატყუებდა ძეწნა თურმე,
თავს ყასიდად იდუნებდა,
ეს რა მიყავ, სალამურო —
დამამოყვრე ჩიტუნებთან.

შეარცხვინოს მამალმერთმა
შენთან ყველა ინსტრუმენტი!
ულრან ტყეში შენთან ერთად,
თუ ალმოვჩნდი — მით უმეტეს.

სმოლიანი[1]

ხარიტ კისევს, რომელსაც პანედლოვის
სახლი აუგია, კედელზე ამოკვეთილი
თავისი სახელი კირით გადაულესავს.

ქალაქო ძველო, სხვა ქალაქი შენსავით ძველი
არ მეგულება შენოდენი რომ ჰქონდეს ხიბლი.
კრამიტითაა დახურული სახლები შენი.
აქა-იქ ყვითლად შეპარვია სახურავს ხვიფლი.

ეზონი შენი სათითაოდ ვიხილო მინდა,
დავხეტიალობ შენს ქუჩებში, წარსულით მთვრალი.
სიმინდის ტაროს მსგავსი ქუჩით გავდივარ მინდვრად,
ერთ სოფლად მიღირს მოტყუება მინდორში თვალის.

აქ, ჯერ თმებივით ბურდავს ხოლმე ნიავი ღრუბლებს,
შემდეგ ფიქრები უვარცხნიან ნაწნავებს ზეცას...
შენ კი, შუქში და ყვავილებში ჩაფლული შუბლით, —
ნაპირზე მომდგარს, მოქათქათეს მაგონებ გემსა.

ოღონდ, შენ სახლი პანედლოვის გემდურის ახლა,
იქ შენი შუქი აღარ ბზინავს ფარდაგზე უკვე...
რა დაგიშავა უწყინარმა ქვითკირის სახლმა!
რატომ შეგძულდა! ერთდროს ერთობ გიყვარდა თუკი?!

რა გაუწყობა, ეს სოფელი ყოფილა ასე —
სახლს ვინც აშენებს, ის თავისთავს აშენებს მხოლოდ,

---

[1] ქალაქი სამხრეთ ბულგარეთში.

და ხურო ყველა, თურმე ფიჭვის ყოფილა მსგავსი! —
ქვაზე გაზრდილი ვინაიდან ქვას ამტვრევს ბოლოს.

შენ ცად აჭრილხარ, როგორც მტრედი ცასავით წმინდა, —
თავისი უნდა წამოზარდოს რომელმაც ხუნდი...
შენს აღმაფრენას შეჰყურებენ ქალები მშვიდად,
აივნებიდან შემოგცინის ბავშვების გუნდი.

მე ხვალ დაგტოვებ, მაგრამ ჩემთან იქნები შორსაც.
სიძველეს შენსას არ წავლეკავ სიახლით შენებრ!
რომ განგაახლებ! — სახელს ჩემსას, უბრალოს ყოვლად,
ხარიტ კისევის მსგავსად კირით დავფარავ მერე.

უკეთუ მოვკვდე

უკეთუ მოვკვდე! —
ავიკრიფო გუდა-ნაბადი! —
გამწირონ ცათა! —
პირზე ნურაფერს ნუ დამაფარებთ! —
დამიმახსოვრონ ბიჭებმა რათა.

უკეთუ მოვკვდე! —
ოკეანეს მიმეცით მკვდარი:
მსურს ვიყო დიდი,
როგორც ის არის.

უკეთუ მოვკვდე! —
მტერთან კრინტი არ დაძრათ ჩემზე! —
დე, შიში ჩემი
ჰქონდეს ჩემი სიკვდილის მერეც.

კარგი დღე

ათანას დალჩევს

ერთი ისეთი დღე გათენდეს ამ ქვეყნად ნეტა, —
ქალმა და კაცმა ყველამ გული რომ გახსნას ერთად.
იყოს მათგანი თვითეული მართალი ცამდე,
არასდიდებით არ იტყოდეს, რაც არა სწამდეს.

დღეა თუ ღამე ჩვენ ამ დღისთვის არ ვიღვწით განა?!
ამ დღეზე ფიქრით სავსე არ გვაქვს ჩვენ თავის ქალა?!

აიღო გეზი, დროა დიდი, ამ დღისკენ ხალხმა:
ტრამვაი შავად დახუნძლული ამიტომ გახლავთ,
ამიტომ არის, ავტობუსში რომ არის ჯგლეთა,
ამის გამოა შვილს რომ ძუძუს აწოვებს დედა.

ერთი ისეთი დღის მოსწრება რა გახდა მართლა!
გარშემო კარგზე ლაპარაკი რომ იყოს მხოლოდ.
და საქმე რამე რომ დაიწყოს ვინც გინდა კაცმა,
კეთილი ჰქონდეს საქმეს მისას თავი და ბოლო.

რა გახდა მართლა! გრიგალივით მოვარდეს ეს დღე,
შეგვაჯანჯღაროს, გამოგაოს გულები კაცთა,
წინ გაიძღვანოს ალმა-დალმა ნარცხებით ტყე-ტყე,
შური და მტრობა, პირფერობა, ყასიდი განცდა.

რომ წამდაუწუმ ალარ იყოს ხელფასზე ფიქრი,
სხვისი ადგილის არვის სურდეს ჩაგდება ხელში,
რომ ალარავინ ალარ მალოს სიფლიდის იქით, —
ფიქრები თვისი! — ნაქებისთვის საბაბი ეჭვის.

რომ გვერტყას შუქი წინ და უკან, მარჯვნივ და მარცხნივ;
ყოველ ჩვენთაგანს გული ჰქონდეს სიკეთით სავსე.
რომ კაცს წაქცეულს ბუნებრივად მივარდეს კაცი,
წამოაყენოს, დაუყვავოს და უთხრას ასე:

— ხომ არ იტკინე, მეგობარო, ხელი ან ფეხი?!
გამოვუძახებ, თუ გჭირდება, ახლავე ექიმს!
რადგან ძალიან ძნელი არის მიღწევა ამის,
ისევე, როგორც შეუღლება დღისა და ღამის.

ამიტომ ცოდვილ დედამიწას ვუსურვო მინდა:
წვიმა და თოვლი პკურებოდეს მარტოდენ ციდან!
საკუთარ თავს კი ეუსურვებდი: დღეის დღის იქით,
ვინც ვერაგია, შეხვედროდეს არასდროს იგი!

არავინ იყოს სხვისი — სხვასთან და ჩემი — ჩემთან!
ერთი ისეთი დღე გათენდეს ამ ქვეყნად ნეტა.

კოშკი ავიგე

უზარმაზარი ავიგე კოშკი,
სიგრძივ დავტიხრე ქვითკირის ბურჯი,
და მშენებლობას როდესაც მოვრჩი:
— არ მოვისვენე?! —
წარმოვთქვი გულში.

ლოდებს იმედით ვუმზერდი დიდრონს,
ხელებს ვიფშვნეტდი,
ვიძახდი ლხენით;
— ვერავინ,
ვინც მე არ მინდა თვითონ, —
აქ ვერ შემოვა, —
ეცადოს ბევრიც.

ვცხოვრობდი, როგორც უდაბნოს მწირი,
ჩემგან შორს იყო ქვეყნის ყაყანი,
ჩემს მიღმა წლების ვიდოდა სირა,
როგორც კვამლი და, როგორც აღალი.

ამგვარი რამე სმენილა განა?!
გავსკდები, აბა, რას ვიზამ, გულზე?!
შენ მხოლოდ ერთი წკიპურტი ჰკარი
და კოშკი ჩემი მტვრად იქცა უცებ.

ერთ ლამაზ დილით

ერთ ლამაზ დილით,
როცა ფერი წაერთმის მთვარეს;
მე უჩვეულოდ მხიარული
გამოვალ
გარეთ.

მზე იკაშკაშებს.
ინავარდებს ცაში ფრინველი;
ტურფა იქნება
ყველაფერი
ჩემთვის პირველად.

გამეცინება,
არემარეს სიცილით ვეტყვი:
როგორ მიყვარდი,
ჭკუას როგორ ვკარგავდი შენთვის.

უეცრად, როგორც რიჟრაჟის ჩიტი, —
მთებისას მაღლით დავხედავ თხემთა
და იმისთანა სიმღერას ვიტყვი, —
არ მიმღერია როგორიც დღემდე.

სინანული

ტრფიალი ჩვენი,—
ბადალი ხომლის, —
ზიარი ეჭვით ასე რომ გაქრა!..
დანაშაული უფროა რომლის?! —
ჩემი თუ შენი?! —
არ ვიცი ახლაც.

შენ, კაცმა რომ თქვას, თუმცა, რას გერჩი!
ისევ და ისევ: ვაი, ჩემს პატრონს! —
რას ვიშხამავდი სიცოცხლეს ეჭვით?!
არ გეხვევოდი ყოველდღე რატომ?!

ფრაგმენტი

გიზგიზებს ცა და გიზგიზებს მიწა!
ელვარებაა თვალისმომჭრელი.
მე გამოვრბივარ საკუთარ ჩრდილს გამონთებული.
გულს ჩაქუჩივით ბაგაბუგი გაუდის მკერდში.
ტყვიები სტვენენ, ზუზუნებენ კივიან: — მოკვდი!
— მოკვდი! — ბომბჩავის ცეცხლის ურჩხული!
წამომეწია ხმაც ვიღაცასი:
— მოკვდი! — შიგ ყურში ჩამძახის ისიც!
ტყეო, შენამდე დამრჩა მხოლოდ ნაბიჯი ორი!
ულრანო, გრილო, კეთილო ტყეო!
შენ მე ხელამოდ გამომბან წყლულებს,
დამიშოშმინებ სისხლს ადუღებულს...

ეჰეი, ტყეო, რატომ ხარ შორი?!



მასიური სასწაული

ღრიალებენ მძვინვარე ტალღები.
წყალში ჩავარდნილი ელვა
შიშხინით ქრება.
წყლის ზედაპირზე
მოაბიჯებს
სამი მილიარდი
ქრისტე!

სხვათა შორის,
ზოგი არ მოაბიჯებს —
მუხლამდე წყალში დგას მხოლოდ.
ზოგი
წელამდეა წყალში.
ზოგი
ჰაერის ბუშტებით
ამტკიცებს თავის არსებობას.

გასაგებია, —
ყველა თავისი რწმენის სიმაღლეზე დგას.
ჩვენ —
მივაბიჯებთ!

როგორ ვაწარმოოთ ბოროტი სულები

ამისთვის აუცილებელია ავიღოთ ბოთლი.
ლიტრიანი.
შეიძლება ლიტრანახევრიანიც.
(ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული,
როგორი სიავის ჩადენას ვაპირებთ).

ბოთლში ვამწყვდევთ კეთილ სულს,
ოღონდ, შეძლებისამებრ, ყველაზე კეთილს.
ბოთლს ვბეჭდავთ საიმედოდ
და ვაგდებთ ზღვაში,
ფსკერზე.
იქ ერთ საუკუნეს იდება იგი.
ჩვენთვის გაუგებარ პროცესთა ძალით
კეთილი სული თანდათან გარდაიქმნება ბოროტად.
სრულიად მზად როცა იქნება, —
ბოთლი ამოტივტივდება თვითონ.
მას გამორიყავს ტალღები.
იპოვნიან ჩვენი შვილთაშვილები.
გაბრიყვებულნი იარლიყით „უკეთილესი“, —
მოაძრობენ ლუქს.
საცობი ამოვარდება ზათქით
და მისხთა თვალწინ აეყუდება
ვეება ბანჯგვლიანი არსება.
და ეს იქნება ბოროტი სული.
იგი მათ უცნაურად დაუკრავს თავს, —
გაიღრიჭება

და იტყვის:
— გმადლობთ,
ახლა მე თქვენ შეგჭამთ!

პასტორალური

აღარ ვიქნები ღვარძლიანი,
აღარც წინდაუზედავი.
საკუთარ მტრებს და სახსრებსაც გამოვძებნი.

მშვიდობით, სოფია,
მივაშურებ ბუნების წიაღს!

მე ჩემს სოფელ კურილოში მაქვს კოხტა სახლი,
შევაკეთებ ძველ მესერს,
ვიცხოვრებ მყუდროდ და შეუმჩნევლად.
ზამთრობით ვიოცნებებ,
ზაფხულობით მოვაშენებ...
რას მოვაშენებ?
გველები დახოხავენ შამბნარში მხოლოდ.

კეთილი და პატიოსანი! —
საფოსტო მტრედების ნაცვლად
მე მოვაშენებ გველებს.

სიკეთით ყველაფერი შეიძლება გაკეთდეს.
თურმე გველები ძალიან დამჯერენი არიან.
ხანდახან დავსაქმებ ხოლმე მათ, —
დიდი ამბავი! —
გამიწიონ პატარა სამსახური?!

კაპრიჩიო გოიაზე

გაქრა საშინელება ძველი —
მხეცურად მთლიანი,
მხეცურად უსასრულო,
უგრიმასო და გამონიჭული.

საშინელება ხასიათს იცვლის.
იგი მეხება ზურგზე,
მეფოლორცება მოწყალედ
და უტიფრად მეტრაბახება:
— მე და შენ ერთნაირად ძლიერნი ვართ,
ოღონდ შენ ცოტა ლამაზი ხარ...

და შემომღიმის.

ო, განსაკუთრებით ღიმილი ხდის იმას ამაზრზენს,
ამაიმახებს
და ჭკუას უშრეტს.

და ვგრძნობ უცნაურ სისაძაგლეს.

თითქოს მკოცნიან მე ავხორცულად
წვერებიანი აკვნის მდგმურები.

პრელუდია — ობობები

დიდი ხანია პანთეონი არ გაუნიავებიათ.
ყოველ კუნჭულში
დაჭიმულია ობობას ქსელი.
აბლაბუდები საიქიოს ქნარებსა ჰგვანან —
აურაცხელი ციური სიმით.
ობობები ნერვიულად წევენ მსხირპანე ძაფებს —

უკიდურესად სამგლოვიარო სურთ დაუკრან რამ
და ამავე დროს მხნეც ზედმიწევნით.
ძაფები წყდება.

(ორიგინალური დაბოლოება)

ობობები ნერვიულად წევენ მსხირპანე ძაფებს —
ცდილობენ დაუკრან რექვიემი.
ძაფები წყდება.

ინციდენტი

როგორც ვიყავით, —
მტვრიანი პირისახით,
მტვრიანი ტანსაცმლით, —
მტვრიანი ხელებით,
ისევე შევედით კრებაზე.

ორატორი შემოვიდა ჩვენს შემდეგ.

პირველად არ ვიყავით ხასიათზე, —
თავისი გაჰქონდა დალლილობას!..
მალე მისმა სიტყვამ ისე გაგვიტაცა, —
ყველაფერი დაგვავიწყდა.

ყველანი, უკლებლივ ყველანი გავიზარდეთ,
როცა გავიგონეთ, რომ ჩვენ სათითაოდ
ვართ უკარგესები,
ვართ უგმირესები,
უპატიოსნესნი,
უბედნიერესნი.

როგორც ვიყავით, —
მტვრიანი პირისახით,
მტვრიანი ტანსაცმლით,
მტვრიანი ხელებით, —
ხელისგულებზე არც კი დავიფურთხეთ, —
ისე დავსცხეთ ტაში.

ცოტა არ იყოს, ცუდი გამოვიდა:
მტვერი ამდგარი
ჩვენი ხელებიდან,
ჩვენი ტანსაცმლიდან,
ჩვენი ცხვირპირიდან
დაიძრა ტრიბუნისკენ.

განვლო წამიერმა მდუმარებამ...

ორატორმა ამოიღო ცხვირსახოცი,
მოიწმინდა სახე,
გაილიმა
და მეგობრულად გვითხრა:
— ტაშის დაკვრის წინ,
კარგს იზამთ, თუ დაიბანთ ხელებს!

მეორე კაპრიჩიო გოიაზე

ღამის ცვლაში ყოფნა მომწყინდა.
სიბნელემ ცრუმორწმუნე გამხადა.
მეგობარია იგი,
მტერია იგი,
ერთნაირად გავურბი ყველას.
ერთმანეთს ღამურის სიზუსტით ვუქცევთ გვერდს.

გავხდი მერყევი და ეჭვიანი.
ინსტინქტითღა ვგრძნობ:
ვინ მიღიმის სიბნელეში
და ვინ მიბღვერის.

...მე მინდა მხნედ შევხვდე მზეს.
პირველად შეიძლება ვერც გავუსწორო თვალი.
თურმე რომელიღაც ჩიტი გალობს დილდილობით —
ბულბულია იგი, თუ რა ჰქვია მას...
ამბობენ, რომ ეს სასიამოვნოა.



ᲒᲝᲓᲝᲠᲧᲣᲚᲘ

შემჩერებელი ზღვა ამჯერად არაა ჩვენი.
ახლა, მე და შენ, ფერმიხდილი, ცივი ბაგენით
ერთმანეთს მშვიდად შეგვიძლია ვუთხრათ: — მშვიდობით!
შორს შემუსვრილმა ჰორიზონტმა შეიკრა შუბლი.
დგას შემოდგომის შუადღე გრილი.
და ამ დუმილში
(არის ერთობ რომელიც მკაცრი), —
ერთმანეთს ძალგვიძს ჩვენ ხმადაბლა ვუთხრათ:—მშვიდობით!
მე და შენს თვალწინ, —
ზღვა თავისი ღრმა მისადგომით
ფხიზლად დარაჯობს
მოზეიმე მელანქოლიის
წერა — ლურჯ დუმილს —
უსასრულო ზეცას რომ ერთვის, —
და კედლის ნაშთებს, —
კედლები რომ ყოფილან წინათ.

შემჩერებელი ზღვა ამჯერად არაა ჩვენი.
ის მდუმარეა,
სმას არ იღებს,
ერთ ზვირთსაც არ ძრავს,
ერთ ზვირთსაც არ ძრავს
გოდორყულის იქითა მხარეს,
სადაც ხომალდნი
ძროებზე რომ უსვიათ ფისი,
თავიანთსავე ანარეკლებს არწევენ შავთა.

ჩ რ დ ი ლ ე ბ ი

გავითიშებით თუ არა მითხარ!
კი?!
მაშინ, როცა იქნები შენთვის,
როგორ გგონია,
შეგაკრთობს სიტყვა, —
განშორებამდე რომელსაც მეტყვი?!
თუ, —
ჩრდილი ერთად იქნება ორი
და იწკარუნებს ჩრდილებზე თქორი?
შევძლებ?!
თუნდ ერთხელ ვერ შევძლებ ნუთუ?! —
მივწი-მოვწიო ღრუბელთა ჩელტი...
თავი ნაწვიმარ წალკოტში ვდურთო
და ყვავილები მოვიღო შენთვის?!
ჩრდილებს ჩხრიალით მიათრევს წვიმა,
ჩქარზე ჩქარია დინება მისი...
უნდა გამწირო შენც, როგორც ჩრდილმა?!
ვარ მერე შენგან მე ამის ღირსი?!
არის ეს წამი, — რა ამაზრზენი,
რადგანაც იგი არავის სწყალობს;
ქვად ძალუძს იმას გარდაქმნა შენი,

უძრავ სინაზედ გაქციოს ძალუძს.
ადამიანის წაგერთმის ფერი,
დუმილს დარჩება ცივი ტუჩები,
უჟამო ჟამის გახდები წევრი,
იქნები მარად,
ოლონდ უჩემოდ.

ღ ა მ ე ნ ი

მიწას ღამენი ერთხმიან მკაცრი.
ხდება ქვეყანა წყვდიადის ლუკმა.
რაც დღემდე ყოფის მეგონა აზრი,
სიცილად მევე არ მყოფნის უკვე.

რაკეტებს ვამჩნევ სრულიად ახლოს;
შევცქერი ზეცას, — ჩუმი და დინჯი.
ადამიანის გენიას ვაქებ
და უფრო მეტის ვარ მოლოდინში.

რაც მთავარია, არ უნდა მოხდეს, —
ატომის ჰქვია რომელსაც წვიმა!
ბოლო ორფეხა უკეთუ მოკვდა, —
რა ბედენაა, — რა მოჰკლავს იმას!

თუ კიდევ დიდხანს გაგრძელდა ასე,
გვიან იქნება თითზე კბენანი...
კაცი რომ იტყვის: — მთვარეა ნაზი! —
შლუდ მიიჩნევენ იმ კაცს ყველანი.

სახე წაერთვა ზეცას და მიწას,
ვინღა დაგიდევს კეთილს და ბოროტს!
არის მარტოდენ უსაზღვრო სივრცე, —
სადაც სიკვდილი ხარხარებს მხოლოდ.

ქვეყანას ფერი დაიპყრობს გიშრის,
სივრცეს სიჩუმე დაემართება.
ხანგრძლივ კოცონში ისუნთქებს შიში
და ჩვენ ლავაში ვივლით ლანდებად! —

თუ არ მოვასწრეთ ტყუილთან შერწყმა,
არ შევეზილეთ უკეთუ მდელოს,
როგორც ვარნაში ზღვა ერთვის ზეცას,
თქვენი არ იყოს, სამშობლოს მთებო.

გაუგებრობა

ლექსის დაწერა მინდოდა შენზე,
ვფიქრობდი, როგორ დამეწყო ლექსი...
მაგრამ უეცრად უკუდგა თქორი, —
უკუიყარა ქოჩორი ურჩი;
და ცამ მაღლარის კვადრატთა შორის
თავისი კაბა გაჰკიდა ლურჯი.

და მეყვსეულად გაჩაღდა დავა,
და აღარ მქონდა მე ლექსის თავი...
ეფლის მარჯვენა შეეხო ებანს,
ჰაერში ხმები გაისმა ლაღი
და ღვთაებრივი წკრიალა ხმებით
გაივსო ჩემი პატარა ბაღი.

უცებ სიჩუმემ იძალა ისევ, —
გალურჯდა ბაღი,
გამუქდა სივრცე.

თუ არ დამცინებ, — იქნები კაცი!
რაც მომივიდა, — მე თვითონ ვიცი;
ერთობ მომთმენი სამელნის ნაცვლად,
კალამი ვტუნტრე საღამოს ბინდში.

ხმები

ოთახში, სადაც ჟრუნდება ლამპა,
შემოდის ბინდი,— ნაზი და ჩუმი...
მოიძებნება არავინ ალბათ, —
ვერ ეწყობოდეს ჩემსავით დუმილს.

დუმილში გული სხვაგვარად ფეთქავს,
ოთახში სპეტაკი მრავლდება ხაზი,
და, კიდევ კარგი, ათასში ერთხელ
მოაკაკუნებს სარკმელზე ვაზი.

ვამჯობინებდი, ღმერთმანი, ჯვარცმას,
ეს მარადისი, რომ არა ხმები,
თვალი და გული რომელთაც კაცის,
მიჰყავთ სრულიად ახალი გზებით.

ო, ხმები ფრთათა და ხმები ხეთა...
უმჯობე ნატვრა არ უნდა გქონდეს: —
იყო ცოცხალი, — ხალვათად ფრენდე,
და არ იცოდე, რომ უნდა მოკვდე.

ნეტავი რაა იმაზე ტკბილი, —
მთოვარე როცა ემთხვევა მთათა...
ანდა, როდესაც მწიფდება ხილი, —
ადამიანი აამოს რათა.

ქარი, რომელიც ხილნარში ანცობს,
უეცრად კაკლის ფანჯარას ახლის...
და ხვალინდელის წინასწარ განცდა, —
ცისნატეხივით მინათებს სახეს.



დროზე შელევა ყველაფრისა ძალგვიძდეს ნეტა! —
მოვშორდეთ კოცონს, —
ვიდრე ცეცხლი იქცევა ნაცრად;
დავტოვოთ სუფრა, —
ნამცეცებზე გადავალთ ვიდრე;
ვიბრუნოთ პირი, —
ვიდრე კისერს ვიხილავთ სხვისას:

გამოფიტული ყვავილების
არ მიყვარს მზერა.
უსიყვარულოდ
სათოფეზე არ გამეკარო.

ვიჟნები

გავცვითე ბევრი კაბა და ხამლი,
აურაცხელი გავწყვიტე შიბი,
მაგრამ ჯერ კიდევ
კარგად ვარ ჯანზე, —
ცაში ვარსკვლავებს ვეთამაშები.

ვიცი,
სიბერე მომელის მეცა,
გავხდები მსგავსი ნახმარი კაბის,
ძველი წაერთვა რომელსაც პეწი,
და ვერ ელევა პატრონი მაინც.

დამიმძიმდება სხეული მჩატე,
სამკაულები შეწყვეტენ წკრიალს,
დამეტაკება უეცრად სადმე
პირდაფჩენილი ყომრალი ჭია.

ვაი, შენ ჩემო საბრალო ტანო,
შენგან ნაცარი დარჩება მხოლოდ?
სიცოცხლის ჩემის დაშრება წყარო?
გავქრები, როგორც თამბაქოს ბოლი?

არა!
მე ტყეში ვიქნები ხოლმე,
როს შემოდგომის იელვებს ცელი,
და ყვითლად გაშლილ ფოთოლთა ნოხზე
იჩურჩულებენ ტერფები ჩემი.

ვიქროლებ მინდვრად ქარივით ლაღად,
ამაშუშპარებს მთვარის ამოსვლა...
და სამარეში დალპება რაღა?
— მარტოდენ ჩემი ტანისამოსი!

ვაშლის ბაღი

— სიზმარიაო! — არავინ ბრძანოს.
მზიან ბექობზე
ჭეშმარიტად შრიალებს იგი;
თეთრ-ვარდისფერი,
სიტკბოთი და ბზუილით სავსე.
ვაშლის წალკოტი —
ყვავილებში ყელამდე მდგარი;
ჩემი ნაპოვნი.

იქ რომ შევდივარ,
სიხარულით იმოსვის არე.
გზას მიწალდავენ
დაშვებული მიწამდე რტონი, —
მხრებზე ყვავილი
ალერსივით მეხება ვაშლის.

და შენ როდესაც დამეწევი სირბილით უცებ,
ახალგაზრდები ვხდებით ხელახლა
და ვკოცნით ურთერთს —
სისხლისა და ფუტკრის წკარუნში,
და გვიფუვდება ბაგენი კოცნით,
ალერსის სიტკბო გვიოსებს ტუჩებს.
არც შეიძლება შეწყვეტა კოცნის, —
რადგან მაშინვე დაგვესხმის თავბრუ.

დაე, გავიდეს დრო კისრის ტეხით,
ჯანდაბას, რადგან
ამ წალკოტში
მე და შენ აწი
ყოველ წელიწადს გაზაფხული გვატარებს მანამ,
სანამ ერთ შავ დღეს
ყვავილთა თოვლით
არ გაივსება
საფლავი ორი.

მის მიერ ვაჟლეტილ თორმეტი ათას სამას მოწინააღმდეგეში, მხოლოდ ორი აღმოჩნდა ზურგში დაჭრილი...

პლუტარქე

არამც თუ თორნი და ხმალი პასრი,
არ გამაჩნია ნატეხიც შუბის.
დღე რომ არ მელის, მეც ვიცი, კარგი,
დრო-ჟამთან შეხლილს შიშველი შუბლით.

უიარაღოს უღმერთოდ მიშენს
წუთისოფელი ტყვიებს და ისრებს.
სიავეს ჩემსკენ უჭირავს გეზი,
რომ ჩემს ძარღვებში შეუშვას გესლი.

მაგრამ მე მაინც არ ვიშლი სიცილს.
ჯიქურ ვიჩქარი, —
დრო-ჟამის ურჩი...
როცა მოვკვდები, —
მსურს მოვკვდე ისე,
რომ დაკოდილი არ ვიყო ზურგში.

ყოვლად უბრალო თანამდებობა

თანამდებობას
ქალი ჰქვია სახელად ჩემსას.
უძლურება და სინაზეა —
სიმძლავრე ჩემი.
როგორც მზე მცირე —
თან დამაქვს შუქი.
ვარ თვინიერი.

ვარ მბრძანებელი.
რასაც აკეთებს მამაკაცის მარჯვენა მძლავრი,
იმას არც ჩემი გაექცევა ვაგლახად ხელი.
როს დაქანცულნი ხვრინავენ კაცნი,
მე ვარ მღვიძარე,
ვარ მოუღლელი.
მე მათ ვაწვდიდი ფარსა და მახვილს,
ეკერავდი დროშას,
ვისროდი ძეგლივს.
ჩემს ვიწრო მხრებზე
საზრუნავთა დგას მთები ჭრელი.
ცზის ამოსვლამდე
ლოგინიდან წამოვხტე უნდა,
უნდა მივიდე საამქროში
ყველაზე უმალ,
ღვიანღამემდე
უნდა მენთოს ოთახში ლამპა, —
ქმარს უყვარს რადგან —
უცდის ხოლმე როდესაც ცოლი.
მუდამ დღე მათით
ბალღებრ გემართებს აღტაცებანი,
უნდა ვინატროთ:
იმისთანა გვიცემდეს გული, —
წყალობა იცის რომელმაც მხოლოდ;
რადგან ყოველი,
თვით ყველაზე ძლიერი კაციც, —
ძალიან ხშირად საჭიროებს
ჩვენს მცირე ძალას;
წვიმა ვართ მაშინ —
კაცს როდესაც ძალიან სწყურის,
ვართ შეწყალება —
ადევს როცა სასჯელი მძიმე.
ვშვათ უნდა ბავშვნი —
ლამაზნი, საღნი,
და არა მარტო ვაწოვოთ ძუძუ,
კაცები უნდა გავზარდოთ მათგან.

ამ ქვეყანაზე
ყველაფერი ჩვენ უნდა ვიყოთ:
ორაგულივით ამომხტარი თორნიდან პური,
თვალის მომლხენი გაზაფხულის ყვავილი ტურფა,
ასე განსაკე,
თვით მორჭმული ხელმწიფის კვერთხიც.
მუდამ მზესავით უნდა ვიყოთ —
სინათლით სავსე.
მუდამ საჭირო უნდა ვიყოთ —
ვითარცა მიწა.
თანამდებობა ასეთია ამ ქვეყნად ჩვენი,
თანამდებობა —
ქალი ჰქვია, სახელად რასაც.

შეშფოთება

სკოლიდან
ბავშვი მოიჭრა ჩემი —
შეშფოთებული და აღგზნებული:
— დღეს ჩვენ გვაჩვენეს
სარდაფი ბნელი.
გვითხრეს: —
ეს არის თავშესაფარი!
იქ თავი უნდა შეაფაროს
ვინ?
ანდა როდის?

მე დავაფარე მას პირზე ხელი,
არ მინდა-მეთქი
მაგ სიტყვების მოსმენა შენგან,
ეგ არის-მეთქი
გესლის წვეთი შენს ყვავილ-ტუჩზე,
არ მინდა-მეთქი

მაგ სიტყვების მოსმენა შენგან,
გაჩუმდი-მეთქი.

ყოველგვარ შუქზე —
ფანჯრის შუქზე
ვიტრინის შუქზე,
ფარნების შუქზე —
ჩამოუშვეს ფარდები შავი,
ქალაქმა მაგრა დახუჭა თვალი.
თითქოსდა გაჰქრა ქალაქი სულ მთლად

შენ ჯერ ნაშობი არ იყავ მაშინ.
რიგში,
რომელსაც არ უჩნდა ბოლო —
ყოველდღე იდგა მამაშენი —
წვიმაში,
ქარში...
შავი აეღო რათა პური —
სამასი გრამი.
დედა კი — შენი —
საყვირის ხმაზე
ცახცახებდა და ტიროდა მწარედ...
შენ ჯერ ნაშობი არ იყავ მაშინ...
ჩემი ძმა ღვიძლი,
შენი ბიძა,
ვაჟკაცი ლაღი, —
მოგზაურობის ხანგრძლივის შემდეგ, —
ერთ დღეს ომიდან დაბრუნდა სახლში;
არ აუხდია მას თავისი თუთიის კუბო,
არ აუღია თავი ხუჭუჭი,
არ შერხეულა ქუთუთონი ოდნავად მისი...
კიდევ კარგი რომ —
შენ ნაშობი არ იყავ მაშინ...

უფოთლო ხისქვეშ,
უსახლებო ქუჩაზე,

თქორში, —
დედამ და მამამ
მოიწონა ურთერთი შენმა;
და სიმრულში მათ ერთმანეთს ჩაჰკიდეს ხელი,
რომ თავის დროზე მოსულიყო ორთავე შენთან.
მათ ფეხქვეშ მქისედ ხრაშუნებდა
ნამსხვრევი შუშის,
ქარს მიმოქონდა
ფერფლის ღრუბელი...
მათ გაიარეს ქალაქი მკვდარი.
ერთს ხელში ეპყრა მეორის ხელი, —
შენ მოსულიყავ
ამ ქვეყნად რათა;
რომ შენთვის ზეცა
ყოფილიყო
უბრალოდ ზეცა, —
სადაც ჩიტები დაფრენენ და
ღრუბლები ვლენან...
რომ შენთვის ღამე
ყოფილიყო
ზეიმი შუქის,
რომ იგი შენთვის ყოფილიყო
განცხრომის ტევრი, —
ხოლო სარდაფი, — პატარავ ჩემო,
ერთი უბრალო მიწური ბნელი, —
უღვთოდ ჟანგდება
უვარგისი ნივთები სადაც.



საგაზაფხულო

ძველი განმეორდა ისტორია!
მოიჭრა გაზაფხულის ქარი.
მთავარი აუდიტორიის
ისევ მოღლიავდა კარი.

და, როგორც უზრუნველი ჩიტები,
სიზმარში, რომ იცის, ისე,
ლაღი გოგონები და ბიჭები
გარეთ გამოცვივდნენ მყისვე.

მკერდში გამიღვივა ღადარი,
ხმაურმა დამასხა რეტი,
და უცებ, სად იყო, სად არა, —
— მჭირდება! — ხმა მესმის ერთის.

ყმაწვილი, ჩანს, ტალონს დაეძებს
(როგორც მე ვეძებდი გუშინ),
ეტყობა ხმაზე და სახეზე, —
შიმშილით უხმება კუჭი.

სიცილი წამსკდა უნებურად
(ზოგჯერ ხდება ხოლმე ასე)
და, ცოტა არ იყოს, სულელური
თავში მომივიდა აზრი:

ვისაც, რაც სურდეს, — ის ვეგონო,
თუნდ დარჩეს ქვეყანა სახტად,
ოღონდ სუყველას გასაგონად:
— მჭირდება! — დამაყვირა ახლა.

მჭირდება ფურცლები დაკარგული,
აქ რომ დამეკარგა მაშინ,
მჭირდება გამოხედვა ამაყური,
რიხი მაშინდელი ხმაში.

მჭირდება ჭაბუკური აღმაფრენა,
ფიქრი — მოკლებული სიღრმეს,
მჭირდება უკლებლივ ყველაფერი, —
რაც დარჩა 20 წლის მიღმა.

სასიხარულო წერილები

ჩემს სიცოცხლეში არ მახსოვს მე ჯერ,
წერილს ასე რომ ვექციე ბავშვად;
დავჩერებივარ კონვერტზე ბეჭედს,
ვითვლი, რამდენი დღე დაჰყო გზაში.

ირკვევა: გუშინ, მე როცა ასე
მეგონა უკვე ჩავცილდი ქვესკნელს,
ქაღალდი — კარგი ამბებით სავსე, —
თურმე გზაშია, იჩქარის ჩემსკენ!

ამხანაგებო, მაშასადამე,
ნაადრევია მოწყენა ჩვენი!
გულს ნუ გაიტეხთ, დღეს არა, ხვალე,
სასიხარულოს მიიღებთ წერილს.

ᲛᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲔᲑᲐ

შინ თეატრიდან ვბრუნდები გუშინ,
ცივი ღამეა, ქარი სისინებს,
ვხედავ, შუშები ჩიჩქნიან ქუჩას,
ტრამვაის რელსებს სცვლიან ისინი.

ვფიქრობ: ხვალ, როცა ტრამვაი მარდა
ახალ რელსებზე დაიწყებს რონინს,
ეს უსახელო გმირობა მათი
ეცოდინება ქვეყანას როდი!

მაგრამ მათ ჯილდოდ ეყოფათ ისიც,
რომ ამ ქარში და ყინვაში ახლა,
შეპყრობილები ნათელი მიზნით,
გზას ცხოვრებისას აგებენ ახალს,

შეხედე, თოვლის ფანტელებს შორის
ციაკლაკნება ფოლადი როგორ!
ჩვენც ხომ ასეთი გვაქვს ხოლმე შრომა,
ჩვენც ღამღამობით ასე არ ვშრომობთ?

ვიშრომებთ. კიდეც, ქალალდმა რათა
არ მოგვიშალოს ჯვარცმა და შვება,
და ახალთახალ რელსებზე ლაღად
ხვალ გაიქროლოს მკითხველმა ჩვენმა.

ჩვენც მიწისმთხრელნი არა ვართ განა, —
წყვდიად ღამეში შეუმჩნევლები,
იმიტომ არ გვაქვს ჩვენ ტანი კალმად —
რომ ძგერდეს გული შეუჩერებლივ?!

უეცრად, ვამჩნევ, რომ ჩემმა აზრმა,
ბნელში რაღაცას წამოჰკრა ფეხი,
რითმის და რიტმის ვერ შველის ბაზმა,
დიდ და უხილავ საგანზე შეხლილს.

რა არის ნეტა, რომელსაც არ სურს
აღიარება გონების სხარტის?!
ცხოვრების გარდა ვინ გამცემს პასუხს,
რაც არის, არის უკეთუ ცხადი?!

ჩვენ ერთობ მოგვწონს სუყველას თავი,
ორი სიტყვა თუ გავრითმეთ ზუსტად,
მიწისმთხრელნი კი, არ უნდა დავა,
დღისითაც როდი შრომობენ ცუდად.

ოი, სიცრუევ, ყველა რომ გაქებს,
და სიმართლე რომ ჰგონიხარ ყველას,
ესოდენ ტურფა ვინ მოგცა სახე,
ესოდენ ვერაგს?!

არ ეღირსება სიცილი იმას,
ვისაც ოდესმე შენ გაუცინებ,
შენგნით ჩვენს დიად ფიქრებში ხშირად
აღარ არსებობს სითბო სულ მცირეც!

შენ, ნაპერწკალო, ხალასო, საღო,
ნაღდ სილამაზეს რომ მალავ შენსას,
არ გაიკარო სიცრუე ახლოს,
მასთან ზიარი ნუ გინდა ზეცაც.

ამის თქმა იყო და თვალზე სწრაფად
შედგა, გაქვავდა მძვინვარე ბუქი,
ლამპამ საგრძნობლად უმატა პარპალს,
წყვდიადს ლომივით ეძგერა შუქი.

თანდათანობით უკუდგა ბნელი,
სიტყვამ შეჰმატა ლამპას მხნეობა,
იმძლავრა შუქმა და სული ჩემი
მზით ამოივსო, როგორც ხეობა.

ბრძნობა

ღღეს, უცბად მთელი სხეულით ვიგრძენ,
მთვარეზე მყოფი დესპანი ჩვენი
როგორ გაჰყურებს უსაზღვრო სივრცეს,
როგორი გულის ფანცქალით გეელის!

საწყალი! იგი ჯერ კიდევ გუშინ,
კაფეში იჯდა ვილაცა ქალთან;
თუმც არ ამბობდა, რაც ჰქონდა გულში,
რასაც ამბობდა — ამბობდა მართალს.

ახლა კი იგი შორს არის ჩვენგან,
გულს უპარტახებს ნატვრა და ეჭვი,
ამიტომ ქალთან როდესაც ეცეკვა, —
ცოტა არ იყოს, — სინდისი მქენჯნის.

საათი როცა დარეკავს თორმეტს,
ის გადმოვეძახის მთვარიდან თითქოს:
— თქვე, კაი ხალხო, რო მიმატოვეთ! —
ასე, მარტოკა როდემდე ვიყო?!

ბედნიერება

წყვდიად ღამეში, შუქნიშანთა მხარდამხარ, გასწვრივ,
გუშინ მანქანით ვიტოშიდან ვეშვები ნელა,
აქეთ და იქით შპალერია ქალის და კაცის,
აქა-იქ ელავს ვიტარა და გაისმის სტვენა.

უცებ რაღაცას მოელვარეს მოვკარი თვალი, —
ეს ვაჟის მხარზე ბეჭდიანი ხელია ქალის.

ეს იყო მხოლოდ და ეს იყო მარტოდენ წამით, —
ძვირფასმა თვალმა მიმოკაწრა წკვარამი ღამე...

მაგრამ მე ნეტა რას არ მივცემდი,
რას არ მივცემდი, ერთი მითხარი,
რომ ყოფილიყო ის მხარი ჩემი,
ოღონდ ის ხელი, ისევ იმ ქალის.

ᲔᲡᲘᲐᲠᲣᲚᲘ ᲖᲚᲐᲪᲐᲠᲘ ᲡᲘᲪᲠᲣᲔᲖᲔ

სკეპტიკოსები ამტკიცებენ, რომ თითქოს დღესაც,
საუკუნეა ტექნიკის თუმცა,
სიცრუე კვლავაც პარპაშებს ზოგან.

მე ეს არ მჯერა! —
მაგრამ, იქნებ მე არ ვარ სწორი?!
ვინ მტყუანია,
ვინ მართალი! —
გაირკვეს უნდა!
მივდექ-მოვდექი...
და არამცთუ სიცრუე,
კვალი,
კვალიც კი მისი,
მერწმუნენით,
ვერ ვნახე ვერსად.

სკეპტიკოსებთან დავაპირე ის იყო მისვლა
(ბრანწის ჩვენება მინდოდა მათთვის).

უცებ, სიცრუე ზედ ჩემს ყურთან არ ახარხარდა.
— ეგეც შენ-მეთქი! — ვუთხარი ჩემს თავს, —
დღემდე თვალები სად გქონდა ნეტა?!
თურმე ნუ იტყვი,
ვყოფილვარ ბეცი.
რას შვრები ახლა?

ტექნიკა! ისევ ტექნიკა თუ მიშველის მხოლოდ!
და ძველმანების მაღაზიას ვეძგერე უმალ;
უძლიერესი იქ სათვალეც აღმოჩნდა იღბლად
(აღარ დავიწყე დიოპტრის ძებნა).
და ამ სათვალით, ღმერთო ჩემო,
გზად შემხვდა ვინც კი,
ვისაც კი წუთით შევავლე თვალი, —
იყო კეთილი, იყო უხვი, თუ იყო ძუნწი,
სასოწაგვრილი იყო იგი, თუ ოპტიმისტი, —
სიცრუით სავსე არ აღმოჩნდა უკლებლივ ყველა?!
ე, სად ყოფილა დამარხული, ვთქვი, თავი ძაღლის,
სკეპტიკოსები არცთუ ისე სცდებიან თურმე!

დამთავრებაც კი ვერ მოვასწარ მე ჩემი აზრის! —
ცხვირწინ ხელახლა ახარხარდა სიცრუე ურცხვად
დავძაბე მზერა, —
ვაკვირდები, —
ვერაფერს ვხედავ.
ვფიქრობ, — რა ღმერთი მიწყრება ნეტა?! —
სათვალე სწორედ ასეთი უნდა.
შენც არ მომიკვდე, —
სიცრუე არ ჩანს,
რას შვრები ახლა?!

ტექნიკავ, შენი დაილოცა სახელი ისევ!
არც მაცია და არც მაცხელა —
და როგორც ქურდმა
სამეცნიერო ინსტიტუტის შევლეწე კარი
(შუაღამისას, შიგ რომ არვინ არ იყო, მაშინ!)

და მიკროსკოპი დავითრიე იქიდან ზუსტი
(რაო? უკან თუ დავაბრუნე?! ი, აბა, რავა?!)
ახლა, ამ ზუსტი ხელსაწყოთი, სწავლულთა მსგავსად,
გაფაციცებით კვლავ სიცრუის განვაგრძე ძებნა.
გაგიხარია, ვიპოვნე კიდეც.
და, აღარ იტყვით, სად იყო მერე?!
ასე გასინჯეთ, იქ იყო სწორედ,
ჭეშმარიტების აღმოჩენით ხარობდნენ სადაც.

სული მოვითქვი და ვღაღადვყავ: — ო, ღმერთო ჩემო —
სად ვეძებდი და სად წავაწყდი სიცრუის ბუდეს! —
ყოფილან თურმე სკეპტიკოსნი ცათამდე სწორი!

დამთავრებაც კი ვერ მოვასწარ მე ჩემი აზრის,
სიცრუემ ისევ არ ასტეხა ხარხარი უცებ,
მიმოვიხედე! —
აქ იძახი?!
ვერ ვკიდე თვალი,
დავაყურადე! —
აგდებაა, ო, ეს კი უკვე
ჩემში,
თვით ჩემში ხარხარებს ურცხვი.

მყის მოვიმარჯვე მიკროსკოპი, ვითარცა ჯერარს! —
გაგიგონია! —
სიცრუე არ ჩანს!
ის კი არა და, —
კვალსაც ვერსად მივაგნე მისას.
რას შერები ახლა?!

ტექნიკავ, შენი დაილოცა სახელი ისევ! —
პოლიკლინიკა შეცავლეწე ამჯერად უბნის.
ახლა რენტგენი ვიზურგე უცხო
(კიდევ იღბალი, მორიგე თვლემდა).

ახლა რენტგენით შევუდექი სიცრუის ძებნას,
სულში და ხორცში განვიწონე გამჭოლი შუქი,

მაგრამ რა მერე?
სიცრუე არ ჩანს!
სკეპტიკოსნი კი არ იშლიან თავისას მაინც! —
ვეიძახიან: — პარპაშებსო სიცრუე ზოგან!
რაც უნდათ ის თქვან,
წაულია ისინი ეშმაკს! —
მე — არა მათი, ტექნიკის მჯერა!

ო, რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, სიცრუე ცრუობს!
ვინ ჭაშს, თითქოსდა ის იყოს ჩემში!
და იგი ასეც, ღვთის წინაშე, მოიქცეს უნდა! —
თუ არ იცრუა, არც სიცრუე იქნება მაშინ!

ᲓᲘᲝᲒᲔᲜᲘ

წავაწყდი ბაღში.
იწვა მოლზე.
ეძინა ტკბილად.
პატივისცემით ხაზგასმულით დავქაჩე მკლავზე:
— ხართ ბრძენთა ბრძენი,
რომ გკითხოს კაცმა! —
სად დაწოლილხარ,
გაცივდე გინდა?!

ისე ყოჩაღად წამოდგა ბრძენი,
ვთქვი:
— ცხადია თუ სიზმარი ნეტა?!
არა!
როგორი საქმეა, ბრძანეთ,
ფეხზე ბიჭივით წამოხტეს კაცი, —
ოცი ჰკიდია საუკუნე რომელსაც მხრებზე
(თუ არა მეტი)!

გაოცებისგან წამერთვა ენა.
სხვა ვერაფერი მოვახერხე
და ესღა ვკადრე:
— თუ ნახე-მეთქი კაცი იგი, —
ეძებდი ვისაც?!
— ეჰ, თურმე კაცის არ ყოფილა ადვილი პოვნა! —
წაიბურდღუნა.
ფანარს დაწვდა თავისას მერე
და გზას საკუთარს გაუდგა დინჯად.

გამოვედევნე დიოგენს უკან.
ვწვდი მოწიწებით მარცხენა ხელზე:
— ბოდიში, მაგრამ უნდა გითხრა, —
დღეს შენი ფანრით —
კაცი კი არა,
ვეჭვობ, კაცის იპოვნო ლანდი!
დღეს, გენაცვალე, საუკუნე ჩახჩახებს შუქის.
დრო, შენ რომ გახსოვს, —
სამუდამოდ ჩაბარდა წარსულს.
თუმც, რაღა ბევრი გავაგრძელო.
ცოტა ხანს დარჩი
და საოცრების შენ გახდები მხილველი თვითონ.

ჩავჯექი ტაქსში და, ასეთ დროს ვითარცა ჯერარს,
(როგორც სჩადიან ნაწარმოებს როს თხზავენ მხატვრულს),
ჯიბიდან ხელად პროექტორი დავაძრე ხელის
(ქვეყნად ასეთი პროექტორი არაა თუმცა, —
მაგრამ რა ვუყოთ, არცთუ დიდი ეს არის ცოდვა! —
პოეტი თუ ხარ, ბავშვი თუ ხარ, ან თუ ხარ გიჟი, —
რაც თვითონ გსურის, — ყველაფერი არსებობს შენთვის).

თვალი რომ ჰკიდა პროექტორს ბრძენმა, —
განცვიფრებისგან, როგორც ხდება,
ჯერ დარჩა სახტად,
მერე ხელიდან გამომტაცა ხელსაწყო შუქის
და გზა თავისი განაგრძო ცეკვით.

ცახარებული ვიდექი ბაღში.
ეფიქრობდი:
— აი, ბაჯაღლო კაცი! —
ახლა კი იგი ადამიანს იპოვნის ნაღდად.

რობოტთან შეხვედრა

ვამომიწოდა რობოტმა ტორი
და მეუბნება უვნებო სახით:
— სალამი,
მე ვარ მერმისი შენი!

— ძალიან კარგი! —
ჩამოვართვით ერთმანეთს ხელი.
უცებ მერმისი შეტორტმანდა
და მითხრა ასე:
ერთმანეთს, მჯერა, ჩვენ ყველაფერს გავუგებთ მუდან. —
ხარ მოაზროვნე შენც ჩემსავით მანქანა რადგან.

ვყოფილიყავი გადავწყვიტე თავხედთან ზრდილი
და მისგან თქმულის შესწორება შეპარვით ვცადე:
— კი, ჩემო კარგო, ხარ მაგაში ცათამდე სწორი,
ოღონდ მე, კიდევ, მოაზროვნე მანქანის გარდა, —
ვარ მგრძნობიერიც,
ვინაიდან გრძნობაც მაქვს ცოტა.

გამოეხატა გაოცება სახეზე რობოტს, —
წამოიზლაზნა უცბად სამი ანტენა მისი. —
კითხვის ნიშნებად გამიშტერა სამთავემ თვალი;
— რა არის გრძნობა?

„გრძნობა რა�о?“
ო, ღმერთო ჩემო! —

გრძნობა, — გრძნობაა! —
რა გითხრა მეტი!
მეის აციმციმდა ნათურები რობოტის მკერდში,
აუთახთახდა სხეული რკინის:
რეაქციები ქიმიური და შუქთა მწკრივი
უცხოს მგლებივით ეძგერნენ სიტყვას:
— გრძნო-ბა!
არ მესმის!
არ არსებობს მაგგვარი ნიეთი!
სიცარიელეს იძლევა სფერო!
გავბრაზდი, —
სისხლმა ამასხა ტვინში:
— კი მაგრამ, როგორ?! —
აი, გრძნობა!
(ხელს ვიდებ მკერდზე);
თუ არა გჯერა!
დამადე ხელი!

ჩემი მკერდისკენ წამოიღო რობოტმა ტორი,
და ისე მაგრად დამაჭირა ზედ გულის კოვზზე, —
სიმწრისგან ცრემლი გადმოვყარე თვალთაგან ცხარე...
— ეგ, რაღააო? —
ცრემლზეც როცა დამისვა კითხვა! —
მოთმინებიდან გამოვედი საესებით უკვე:
— რაა და: ცრემლი! —
შევძახე მქისედ, —
ვრძნობის ერთ-ერთი ხილვადი სახე.

ორი ბიჟი

გზაჯვაროედინზე,
საგიჟეთის ფანჯრების გასწვრივ,
შეშლილი შეხვდა ერთმანეთს ორი.

პირველმა (თმა რომ უგავდა ჯაგრისს)
პირზე სალოკი მიიდო თითი
და, ირგვლივ ცქერით, მეორეს ჰკითხა:
— მღილო, იმედი თუ გაქვსო ცოტა?

მეორემ პირველს დაუყოვნა პასუხი როდი;
პირველისაკენ დაიხარა მაშინვე იგი,
ყურზე უფსკერო მოარგო პეშვი
და საყვირივით ჩასძახა ყურში:
— ო, როგორ არა, რამდენიც გინდა!

პირველმა პირზე დააფარა მეორეს ხელი,
გამოიწიწკნა ორი თითით ყანყრატო ლამის;
— იწამე ღმერთი!
აღარ გინდა იმედი მეტი! —
რაცაა კმარა!
ღმერთმანი, კმარა!
ქვეყნად იმედი დაგროვდაო იმდენი უკვე,
თუნდ სულ ერცახე იმედიც რომ დაერთოს კიდევ,
ველარ გაუძლებს დედამიწა სიმძიმეს ამდენს,
გადაუტყდება, შენ ხარ ჩემი ბატონი, ღერძი,
უფსკრულებისკენ დაქანდება ერთბაშად იგი
და მოდექი და უყარეო კაკალი მერე!
იწამე ღმერთი!
აღარ გინდა იმედი მეტი! —
მიწაო საფრთხის წინაშეა ისედაც რადგან.

— სწორი ხარ, სწორი! —
დაემოწმა მეორე პირველს, —
ამიტომ ყველას, ეგ სასწრაფოდ ვაუწყოთ უნდა!

მე წავალ მარცხნივ!
შენ წადი მარჯვნივ!
აბა, ჰე, ჩქარა!
და...
ერთი მარცხნივ,
მეორე მარჯვნივ
გადარეული შურდულივით გავარდა ორი.

ეთხოვ მოშიტეოს, ნორმალური ვინცაა, — ყველამ.
მართალი გითხრათ, არ ველოდი მე ჩემგან ამას,
მაგრამ ასეთი საქციელი რომ ვნახე გიუთა, —
უნდა გამოვტყდე, მეც უმალვე მოვკურცხლე სხვა გზით.

წალაპარაკება საკუთარ პასპორტთან

შემომწყრა ძველი პასპორტი ჩემი,
მოაღო პირი — კოლენკორი
და მითხრა მკვახედ:

— ხან სად მჩრი, ხან სად, —
უდიერად მეპყრობი ერთობ! —
შენ ხარო კაცი!
რას ვგავარ, ხედავ?
— ეგ, არაფერი, — მივუგე მშვიდად, —

დღეს გვიანაა,
გამოგცელი ხვალვე! —
რაა მაგაზე ადვილი საქმე!

პასუხმა ჩემმა კიდევ უფრო დაბოღმა იგი,
ვომბეშოსავით გადმოკარკლა თვალები — ბეჭდის:
— კი, როგორ არა, მოგართმევენ მაშინვე, დიახ!
შენ ეგ, გეთაყვა, ფლავის ჭამა გგონია იქნებ!

ვერ ფოტოსურათს ელირსები, ვინ იცის, როდის,
საპასპორტოში იყურყუტებ რამდენ ხანს მერე!

— ეგ, კია სწორი! — წარმოვთქვი ხვნეშით.
„— ეგ, კია სწორი!" — გამაჯავრა პასპორტმა ჩემმა
და ახლა უფრო მოიცა გული:
— არა, იქნება შენ გგონია დიდი ხარ ვინმე!
ფასი შაურიც კი არ არის უჩემოდ შენი!
თავის არ მსურდა გაყადრება თუმცაღა მასთან,
ჩემს უნებლიეთ წამომცდა მაინც:
— ხმა ჩაიწყვიტე!
შენ, უმსგავსო წიგნაკო, შენა!

პასუხად უცებ წინ წამოდგა პასპორტმა ბიჯი;
აალაშლაშა ფურცლები — ენა
და როკაპივით დამაყარა ქოქოლა თავზე:
— მე ვარ უმსგავსო წიგნაკი, არა?!
ვაი, შენს პატრონს!..
კი, მაგრამ, როგორ მიბედავ მაგას, —
დღემდე შემთხვევა არ ყოფილა როდესაც ერთი,
შენ მოქალაქედ ჩაეთვალო უჩემოდ ვინმეს!
.
.
.
მე ვარ უმსგავსო წიგნაკი არა?!
ჩანს, საქმის შენის შენ სრულიად არ იცი არსი:
სიგლახეს (რაიც წარმოადგენს თვისებას შენსას), —
ხილვადი ჩემგნით ენიჭება, შე, შტერო, სახე.
და, უფრო მეტიც, ვინაიდან, შენ, როგორც წესი,
საქციელისკენ უმსგავსოსკენ მიგირბის თვალი,
საყოველთაოდ დაკანონდა ამიტომ სწორედ:
სადაც არ უნდა ბრძანდებოდე, თან გახლდე ყველგან.

მე მას სახეში ვესროლე სურა.
ის გახდა განზე და თავისი განაგრძო ისევ:
— აღიარება შენიღბული გახლავარ შენი,
ხარ პიროვნება ვინაიდან შენ ერთობ გლისპი;
გაქვს არაფერი შენ საერთო იმ კაცთან რადგან,

რომელ კაცადაც გასაღება გინდაო თავის!
მე დავიჭმანე თითებით ყურნი
და გამოვიჭერ სახლიდან გარეთ.
თვით არ ვიცოდი გავრბოდი საით.
წინ გადამიდგა ვიღაცა უცებ
(უცნობს ნიშანი ეკეთა მკლავზე):
— თუ შეიძლება, პასპორტი ქვენი!
— შინ დამრჩა.
— ვითომ?! —
გავარკვევთ მაგას! —
მილიციაში წამოხვალთ ჩემთან!

მიმოვიხედე უმწეოდ ირგვლივ,
ჯგროდ ირეოდა ქუჩაში ხალხი.
ცად გაქცეოდა თვალები ყველას.
ცაში რაკეტა მიჰქროდა წითლად —
„იუპიტერი 1200“.



ვითარცა წვიმა

საქმე ჯერ კიდევ არაა ისე,
პირიდან თაფლი გვდიოდეს მხოლოდ
და სიტყვა როცა დამცდება მქისე,
მერე შენს პოვნას ვუნდები ხოლმე.

საკუთარ სულის ვებმები ქსელში,
ვჭაღარავდები თვალდახელშუა,
გაუსაძლისი გულს მიჭამს ეჭვი:
ვტყუი
თუ
ტყუი?
ვტყუი
თუ
ტყუი?
გულისას ვჯაბნი როდესაც ტკივილს,
ჭრილობის როცა მიქრება ცეცხლი,
არ მყოფნი ხოლმე,
ვითარცა წვიმა. —
ნისკარტით მოაქვს
რომელიც მერცხალს.

ს ი ც ი ლ ი

აქვს უცნაური იღბალი სიცილს,
დღემდე ვერავინ დათრგუნა იგი —
მან ინჩიბინჩი [illegible] იცის შიშის
და წარამარა დასცინის სიკვდილს.

ეახვილი სიტყვის ელვარე ალით
ერთბაშად კოცონს აჩენებს გულში...
რაც კი რამ ქვეყნად არსებობს ძალა, —
ყველაზე მეტად იგია ურჩი.

უეკლოდ ვარდთა არ უყვარს კრეფა,
მას ლათაიაც არ უყვარს ბევრი;
— ტანთ არაფერი აცვია მეფეს! —
იტყვის და...
მეფეს მიუდის ფერი.

— არ გაუშვათო!
— მდევარი ჩქარა! —
ფარისეველთა ისმის სისინი...
მათ არ აუდგათ გვერდები მანამ, —
არ დაიჭირონ სანამ სიცილი.

ეძებენ სიცილს,
სიცილი ქრება,
ვით არა ერთხელ
გამქრალა ლევსკი...
ათასში ერთხელ
სიცილის ქებას,
თუ გაიგონებ,
ოღონდ, ეს კია!
ლაღია იგი,
ლაღი და წმინდა.
ქვეყნად სიმართლის
ის არის სუნთქვა.

ერკინონ იმას
რამდენიც გინდა,
ის არ მარცხდება —
იმარჯვებს მუდამ.

დღეა,
სულ ყველას რომელიც უწევს,
ხელიდან როცა გეცლება უცებ:
ყველაზე მეტად ვინც გიყვარს —
იგი,
ანდა იმედი —
ყველაზე დიდი.

გაქვს წარამარა შენ შიში მისი,
თუმცა,
შენც იცი,
შიში ვერ გიხსნის;
ის მსაჯულივით გულცივად გიმზერს;
გიყურებს როგორც ჯალათი,
ისე.

როგორც კი იგი გეწვევა,
მორჩა! —
გარემოს შენსას მოიცავს ბინდი...
წუთისოფელი
მოწყალე ზოგჯერ,
სულს არ შთაგბერავს ხელახლა ვიდრე.

შემოდგომა

დღეს დედამიწის
ვის მოუვა ცდუნება აზრად?
ვის რაში უნდა
მომჩვარული სხეული მისი?
ერთიღა, ქარი,
აშიშვლებს საწყალს,
სუდარაში რომ გაახვიოს, —
იმიტომ ისიც.
ეს მოფერება —
უნდილია და ერთობ მქისე
რომ არ გალობენ,
არ გალობენ,
თუ იცი,
რატომ?
(მაისში როგორც გალობდნენ ისე)
ჩიტები ჯგუფად,
ბულბული მარტო?!
არადა,
ახლა დედამიწამ,
მართლაცდა რა ჰქნას?
ვით დაიბრუნოს წაგვრილი შუქი?
აურაცხელი უკვე თუკი
პეპელა გაწყდა,
და უთვალავი იხოცება
ყვავილი თუკი?!
მაგრამ, ო, არა,
დედამიწა ღონდება როდი...
დარდიო საქმე არ არიო, —
იძახის, — ჩემი;
ჰფენს
ფერად ნოხებს
ფეხდაფეხ ხოლტის,
მარგალიტებრი უციმციმებს
თვალებში ცრემლი.

დაბრუნებოდეს სიჭაბუკე
ხელახლა თითქოს,
ნაირფერ ალმებს აფრიალებს
ტევრისას იები...
გულის სიღრმეში ინახავს სითბოს,
თუმცაღა ქარმა გააცალა
უღმერთოდ სიქა.
და უალერსებს დედამიწას
მზე — მცხრალზე მცხრალი,
როგორც — ნაზი და
უაღრესად ერთგული ქმარი.
აღარ უღვივის თუმცა ბედკრულს
ვნების ნამცეციც,
შემდორდა თუმცა მის ძარღვებში
ღინებაც სისხლის...
იები, როგორც ჩანს,
მზეს საკმაოდ უყვარს ასეთიც, —
ნაზად ეხვევა
და გაზაფხულს
აღუთქვამს ცინცხალს.

ჩემს შვილს

ჩხრიალი შენი ჯეელი სისხლის,
სიცოცხლის დღეებს, ვიცი, შემმატებს,
ვით მე ვაგრძელებ სიცოცხლეს მისას,
გულს ასკდებოდა აქ ვინც ჩემამდე.
დღე ხარ ცინცხალი,
ცით მოვლენილი,
ოქროცურვილი დაისის შემდეგ...
და
ღრმა ფესვებით ხარ ჩაფრენილი
შავტუხა მიწას —
მამათა ჩემთა.

(კარგა ხანია, რაც იმათ სძინავთ)
მზეზე ხილივით მწიფდება ფიქრი;
ჯერ კიდევ კვირტში
ოცნება ბზინავს,
და გამოწივის კვერცხიდან იგი.
იზარდე,
დაე, მაგ შენმა ტანმა,
თხუთმეტი დღისას აჯობოს მთავარეს.
უძღები მიწის უკვდავი წვენი, —
ძარღვებს სილაღით რომ მუხტავს შენსას, —
ჩემიდან შენში გადმოდის რწევით,
ვითარცა ზღვაში გადადის ზეცა.
იზარდე.
გახდი მძლავრი და დიდი.
და ეიდრე კვართის ძალგიძდეს ზიდვა,
არასდიდებით, ულმობელ სიკვდილს,
არ შეარჩინო არც ერთი სიტყვა.



როდესაც ჩნდებით

არის ამქვეყნად დარდი და ცოდვა,
იმედი, ვარძმა, ქარები მკაცრი.
გაზაფხულია ყოველთვის როდი, —
ჩნდება ამქვეყნად როდესაც კაცი.
ვარდნიც რომ იყოს გარშემო შლილი,
მზეც რომ ეხუროს ქვეყანას თავზე, —
ჩნდება მომუჭულ ხელებით ჩვილი, —
და არემარეს ყვირილით ავსებს.

მას ჯერ კიდევ არ ძალუძს დანახვა, გაგონება, შეხება,
მაგრამ ქვეყანა უკვე ელის მას; მიწა უფენს ხასხასა
ბალახს, რომელზეც იბურჭალებს იგი. ქარს მიმოაქვს
მტვერი ხეთა ბუტკოებზე, რომლებიც საიმისოდ ამწიფებენ
ხილს. ცა აფრქვევს სითბოს მის შიშველ ფეხებთან.
ხალხი ნელ-ნელა აწვდის სიტყვებს.

და ერთ დღეს ყველას მიუზღავს იგი,
დახევას თუ არ ასწავლით უკან.

კარგი და ცუდი, — რაც არის ირგვლივ, —
ყველაფრის განცდას ადროვებთ თუკი;
დაე, მან სეტყვის იწვნიოს სახრე,
იხილოს, როგორც ვარდება მეხი,
სხვათა სიგლახით, რაც კარგობს ახლა, —
ხვალ რომ დაადგას იმაზე ფეხი.

ვარდნიც რომ იყოს გარშემო შლილი,
მზეც რომ ეხუროს ქვეყანას თავზე, —
ჩნდება მომუჭულ ხელებით ჩვილი, —
და არემარეს ყვირილით ავსებს.

ბ ე დ ნ ი ე რ ნ ი

არაფერია თუ მათ ზოგჯერ დევნის სიცივე,
არაფერია, თუ ტირიან ზოგჯერ ისინი,
არაფერია, ვინაიდან ტრფიალი მათი,
არც ისე ძვირად,
ადის ხოლმე მეშვიდე ცამდე.
ისინი, მჯერა, უცებ ბედმა გაჰყაროს თუნდაც, —
ერთიმეორე ეყვარებათ მუდამ და მუდამ;
რაც უნდა მოხდეს,
მათ ვერაფერს ვერვინ ანანებს, —
ისინი მარად დარჩებიან ამისთანანი.
ათასში ერთხელ (ხდება ხოლმე), გაწყრება ღმერთი;
სრულიად მარტო აღმოჩნდება უეცრად ერთი
და იქით იწვდის უბედური ხელებს ნიადაგ, —
საითაც ლანდი მეორესი გაუჩინარდა!
რატომ? —
ამაოდ ეძებს იგი ამ კითხვის პასუხს,
წამითაც ვეღარ იბრუნებს წარსულს, —
თვითონვე ხედავს, —
წარსულიდან ტრფობაღა შერჩა, —
და ფოთოლს უგდებს შემოდგომა გაშვერილ ხელში.

ახლა კი,
ასე როდია ახლა! —
რეკავს ტრამვაი,
სართულები მღერიან მაღლა.
ფანჯრებს უმზერენ მოჩახჩახეთ დაბლით ისინი, —
სიდანაც უფრო ბედნიერთა ისმის სიცილი.
ისინი ისევ იმ ბებერი ხის ძირას დგანან, —
შვენის თავისი წლოვანებით რომელიც ქალაქს.
ერთს ხელში ისევ მეორესი უჭირავს ხელი, —
რაც ასე დგანან, გეგონება, ოთხია წელი,
თითქოს იმ გზაზე, —
აქ მოვიდნენ რომლითაც წელან, —
ახლა შამბი და წალიკა ცეკვავს;
გამოვლეს თითქოს აქეთობას იმხელა შუკა,
რომ დაბრუნებას შიშით ველარ ჰბედავენ უკან.
თითქოსდა გზაზე ნაფეხურიც წაშლილა მათი, —
და დღეს
ცის ფონზე,
ვით ლეგენდა, —
ჩანს ორი ლანდი.

არაფერია, თუ მათ ზოგჯერ დევნის სიცივე,
არაფერია, თუ ტირიან ზოგჯერ ისინი,
არაფერია, ვინაიდან ტრფიალი მათი,
არც ისე ძვირად,
ადის ხოლმე მეშვიდე ცამდე.

ანკესიანი ეოსუცი იტალიელი და ფინია

ჭანჭრობის ახლოს, აქეთობას, ყოველთვის თითქმის,
ზის ხოლმე, ვხედავ, ტუმბოსთან იგი.
ღრმად ჩაურჭვია ნაპირზე ჯოხი,
ძეგლად მიიჩნევ, ისე მშვიდია,
ოხვრით იქარვებს ხანდახან ბოღმას
და სასოებით უმზერს ტივტივას.
მე დამინახავს თუ არა, მყისვე, —
პირველი სიტყვა ესაა მისი: —
ქარიყლაპია აქ იყო ბევრი,
მაშინ ქარებიც არ მაწუხებდა
ახლა კი... ერთიც არაა ღერი...
ფეხებიც მტკივა... აგერ, მუხლებთან.

მივდივართ ერთად, პატარა ძაღლი —
ჯაჭვის ყღარუნით ფეხდაფეხ მოგვდევს,
და მზე (ემჩნევა რომელსაც დაღლა)
ოქროს თევზივით შორდება კბოდეს.
მძიმე ნაბიჯით მივყვებით ბილიკს,
რადგანაც იმას ფეხები ტკივა...
ახლა მიწასთან საუბრობს იგი,
მე უკვე აღარ ვახსოვარ იმას.
მას, უპატრონოდ დარჩენილს ქვეყნად,
მოეახლება წარსული ზოგჯერ, —
და, მოწადინეს სიყრმესთან შეყრის, —
თვალი გაურბის სან-მარინოსკენ.

მოკლებულია ყოველგვარ მიზანს,
რა ემართება, არ იცის თვითონ,
რაც კიდევ შერჩა გონებას მისას, —
ესაა მხოლოდ ერთი ზმნა „იყო", —
ყღერს უადგილოდ რომელიც ფრიად,
იმ გზაზე, სადაც ორმწკრივად დგანან
აყვავებული ბლები და ბლიან
გზას აქეთ-იქით მიჰყვება ყანა.

აქ ბერიკაცის ერძნობს უცებ სისხლი,
რომ „პრიმავერა“ თრთის ახლა იქაც, —
სადაც ბალღობა რბიოდა მისი
და აშენებდა პატარას ჭინკა.

დაასხმევინებს ფუნდუკში არაყს
და სტოტინოკი აკლდება მუდამ...
შეუტოკდება ულვაში ყლალი
და თვალს ღიმილით ჩაუკრავს ცუგას.
და ჩვენ ისევე მივდიეართ ნელა,
რადგანაც იმას ფეხები ტკივა...
და მე ახლა კი აშკარად ვხედავ:
აზრს მისას როგორ აკლდება სხივი.
როგორ ბნელდება გონება მისი,
წარმოსახვანი როგორ უქრება,
ვით უმდორდება ძარღვებში სისხლი,
უცახცახებენ როგორ მუხლები.
და მტკივა გული, ძალიან მტკივა,
მიწასაც ფერი ედება თალხი...
მყარდება ბინდი. შუკნაჭო კივის...
სტარა პლანინა ჩანს, როგორც ტალღა.

როდესაც ვკვდებით

არის ამქვეყნად დარდი და ცოდვა.
იმედი, ვარძმა, ქარები მკაცრი.
გაზაფხულია გარშემო ზოგჯერ, —
კვდება როდესაც — ამქვეყნად კაცი

დედამიწაა სიმართლე დიდი,
მისგან იწყება ხენი და მოლი,
იქიდან წყარო ამოჩქეფს წმინდა,
კაციც აქეთკენ ისწრაფვის სწორედ.

ვინც უნდა იყოს, —
ბრძენი ი.უ შტერი,
ეგმირი თუ მხდალი,
დიდი თუ მცირე,
აქეთკენ ბოდის უკლებლივ ყველა, —
თავისი რათა მიიღოს წილი.

და არის ამაში რაღაც სამწუხარო და უსამართლო,
ვინაიდან ეს ხდება მაშინ, როცა ოკეანის ფსკერზე
სამას წელიწადს ცოცხლობს კუ.
მაგრამ ამაში არის აგრეთვე რაღაც სასიხარულო და
სასიამოვნო; სახელდობრ ის, რომ სიცოცხლეს არ ეხარბება
კუსი.
კაცი კვდება ჩქარა. და მეტი არაფერია საჭირო.

ძმობა იქნება უკეთუ ნაღდი,
თუ საწუთროსი ვიქნებით ღირსი,
უკეთუ თვით ძმა დარჩება სახტად, —
ისეთ სიკარგეს ჩავიდენთ ძმისთვის.
თუ დაიქროლებს ნიავი, შეტოკდებიან რტონი, აროკდებიან
ღრუბლები, იტკაცუნებს აფრა, — როცა კვდება კაცი.

ბარის სოფლები

ბარის სოფლებო,
ჯერ კიდევ მაშინ
შევიტკბე თქვენი მაღლარის ჩერო, —
ვიყავი როცა სრულიად ბავშვი
და აფრიკაში დავყავდი წეროს.

რა უმჯობეა! —
როდესაც ყანას
წამოუქროლებს ქორივით ქარი...

ანდა იქ, სადაც ცაცხვები დგანან, —
მატარებელი იკივლებს ჩქარი!

რა უმჯობეა! —
როდესაც ვაზი
ზეციდან
კრძალვით მოვაწვდის ყურძენს
და ტაბლადქცეულ წისქვილის ქვაზე
ცეცხლივით ჭაჭა
გაჩნდება უცებ.
და შენ იმ კაცის დაჯდები გვერდით, —
ხელები უგავს რომელსაც ნიჩბებს,
საბერველივით უღელავს მკერდი; —
და მუსაიფობს საოცრად დინჯად.

ეწევა თუთუნს.
აზროვნებს საღად.
და რადგან მიწის მან იცის ენა; —
ეცვლება ხოლმე ხანდახან სახე,
ათასში ერთხელ ემჩნევა წყენაც.

ბარის სოფლებო, — ყოველთვის, როცა შემომიტევენ, ანდა,
მავანი მოინებებს ჩემს გამწარებას, — მე ვიბრუნდებით
თქვენ. ვხედავ ამ ბრგე კაცს. ვხედავ მის ვეება
ხელს, — ჩიტებს რომ აპურებს. პირში უჭირავს
მას ჭვავის ნამჯა. სუნთქავს ზომიერად, საღად.
მე ვხუჭავ თვალებს. ჩემს ფანჯრებს ღამე აწებებს
ზეცას. ვიძინებ კარგად, მშვიდად.

მოკეგნას ჩემსას ისურვებ თუკი

ერთ დღეს მეც მიწის გავხდები მსხვერპლი,
ვით ჩემამდე და ჩემს შემდგომ სხვები.
ერთ დღეს მეც მიწის გავხდები მსხვერპლი.
და დიდხანს შენი რომ იყოს მინდა,
ღამე — რომელიც თენდება წითლად,
ბილიკი — ტყეში რომელიც მიდის,
ჭალა — რომელსაც ამშვენებს ბინდი...
ერთ დღეს მეც მიწის გავხდები მსხვერპლი,
ვით ჩემამდე და ჩემს შემდგომ სხვები.
შენ დაგიტოვო ამიტომ მინდა,
წვეთები წვიმის — წმინდაზე წმინდა,
ყარყატი — თავის ბუდეში მჯდარი,
ცაში ფრინველთა მრხეველი ქარი,
პეპლები — მინდვრად მოფარფატენი,
ციცინათელა, თოვლის ფანტელი,
დღენი ქათქათა, ღამენი თალხი, —
თავზე რომ ლურჯი ახურავს თაღი.

მსურს სულიც ჩემი დავტოვო შენთან,
რომ მან იცუროს ღრუბლებთან ერთად, —
დაესხურება ცვარნამად ვიდრე
ჯეჯილს, ლერწმოვანს და მწვანე მინდვრებს;
მკერდიდან გულიც მსურს შენთვის ვიძრო,
რომ ძგერა მისი შენ ყველგან იგრძნო, —
ფრინველთა ფრთებში, ჩანჩქერში, ხეში, —
ვიდრეა მზე და მზეს გული ერჩის.
თვალებსაც ჩემსას მე შენ გიტოვებ, —
შენ მათ ტყის პირას, ახოში ჰპოვებ;
შენ პოვნა მათი მინდორშიც ძალგიძს, —
იქ კორჩიოტა ბევრია, აკი!
და თუ მიწაზე ვერ ნახო მაშინ, —
აუცილებლად იპოვი ცაში.
ხოლო ჩემს სახელს თუ სტყორცნი სივრცეს, —
შენი ხმის ექოდ ვიქცევი მყისვე,
შენ სახე ჩემი ყოველი ტბიდან
მოგაჩერდება, ტბა თუა წმინდა,
შენს თავზე, ცაში დავიწყებ ციმციმს, —
ვიქნები შენი სხეულის ჩრდილში;
სუყველგან ჩემი დაგხვდება შუქი, —
ნოძებნას ჩემსას ისურვებ თუკი.

და თუ ჩემს ძებნას არ მოინდომებ,
ჩემით იტირებს ფართო მინდორი,
შეეგრიხები მეწამულ ელვას, —
ქარი ჩემს ნაცარს გაფანტავს ველად;
სისინი ქარის, ჭრიალი ურმის, —
ჩემი გოდება იქნება ჩუმი...
და ვიცასცახებ ზამთრის ყინვაში,
ვით დამნაშავე — ქვეყნის წინაშე,
ვით დამნაშავე — ქვეყნის წინაშე.

ხანდაზმული მამაკაცი, ახალგაზრდა ქალი და ზოგიერთი სხვა რამ

ერთი ხანდაზმული მამაკაცი
და ერთი ახალგაზრდა ქალი
ზღვის პირას უბრად
სეირნობენ ახლა.

ზღვა კი, — ანგალი და აბეზარი, —
უგზავნის ზვირთებს მათ წამდაუწუმ
და მათ ფეხებში ებლანდებათ ზვირთნი ზღვისანი
და შიშველ შუბლზე
მ. გორავენ ვერცხლის წვეთები
და თან სიცილით იჭაჭებიან:

— თქვენ, ხანდაზმულო მამაკაცო,
მამაკაცო, ხანდაზმულო მამაკაცო! —
შეეშვით მაგ ახალგაზრდა ქალს,
რომელიც თავის ტრანზისტორით შეფრფინვით ეძებს
ზედმიწევნით მოდერნულ ცინცხალ მელოდიებს.
დაე, მან კაციც იპოვოს ახალგაზრდა, —
შუბლზე ჩამოშლილი ექნება რომელსაც თმები გრუზა,
ვერცხლის ეკეთება კისერზე ძეწკვი,
ნაბიჯი ექნება ზუსტად ისეთი, —
არის როგორიც ზედმიწევნით მოდერნულ ცეკვაში
პა — ზედმიწევნით მოდერნული! —

ერთი ხანდაზმული მამაკაცი
და ერთი ახალგაზრდა ქალი
ზღვის პირას უბრად
სეირნობენ ახლა.

— მამაკაცო, ხანდაზმულო მამაკაცო! —
სკდებიან სიცილით ზვირთები.
— მამაკაცო, ხანდაზმულო მამაკაცო! —
ეცემიან მიწაზე თოლიათა ჩრდილები

და სირცხვილით იფლობიან შიგ.
— მამაკაცო, ხანდაზმულო მამაკაცო! —
ბანდილოსანი ნახეთ თქვენი შესაფერისი
და მასთან ერთად ისეირნეთ, რამდენიც გნებავთ,
ამ ზღვის ოქროსფერ ნაპირზე მერე! —
ერთმანეთისკენ დახრილები, —
ვით ლელეები, —
ჭორაობენ და ჭორაობენ
ჩრდილები ქოლგის.

ქალიშვილი კი მიაბიჯებს ხანდაზმული მამაკაცის გვერდით
და თავისი ჩამოსხმული ფეხებით
ბეჭდავს ყვითელ ქვიშაზე
გრძელსა და მნიშვნელოვან წერილს:

— მამაკაცო, ხანდაზმულო მამაკაცო!
წერს ამ წერილში ახალგაზრდა ქალი, —
ბევრია ამ პლაჟზე ჭაბუკი მოხდენილი.
ჩემი იაპონური ტრანზისტორით
დაჭერა მათი სადგურების არაფრად მიღირს.
ზღვის ნაპირ-ნაპირ სხვასთან გავლაც იოლად ძალმიძს, —
სხვასთან მე თვითონ რომ მსურდეს გავლა.
მაგრამ მე მინდა ვიარო შენთან, —
მამაკაცო, ხანდაზმულო მამაკაცო.
მე შენთან ერთად მსურს სიარული.
და ვისაც ძალუძს წაიკითხოს წერილი ჩემი, —
არის რომელიც დაწერილი ჩემი ტერფებით! —
მჯერა ამასაც გამიგებს იგი! —
მამაკაცო, ხანდაზმულო მამაკაცო.

ეჟიმის ცოლი

გარდაეცვალა პროფესორს ცოლი,
ცოლის ცხედართან დგას პროფესორი;
ცრემლის არ უჩანს თვალებში წვეთი,
აქვს პირისახე ქაღალდზე თეთრი,
აქვს პირისახე ქაღალდზე თეთრი
სახელგანთქმული ოპერატორი, —
ქვეყნად არა ჰყავს რომელსაც ტოლი;
ხშირად დილამდე ფეხზე რომ მდგარა,
ხელში რომ ბასრი სჭერია დანა,
სიცოცხლე ვისაც უხსნია ბევრის,
დღემდე რომელსაც არ სცვლია ფერი, —
გაფითრებული დგას იგი ახლა
თანამეცხედრის გაყინულ გვამთან.
ჭაღარაშერთულს და ძალზე კეთილს —
აქვს პირისახე ქაღალდზე თეთრი,
აქვს პირისახე ქაღალდზე თეთრი.
ჭაბუკი იყო იგი ჯერ კიდევ, —
ქირურგიულში როცა შევიდა;
იმჟამად მხოლოდ ორმოცის იყო,
შიში პირველად იწვნია იმ დროს;
ევედრებოდნენ: ეჟიმო, გვიხსენ!
გადაგვარჩინე, სიკვდილს ნუ მიგვცემ! —
ცოლსაც რამდენჯერ მიადგნენ კარზე,
რამდენჯერ უთხრეს მუდარით ასე:
— მოუცლელია თუმც ქმარი თქვენი,
გთხოვთ, ჩვენს ავადმყოფს მოჰკიდოს ხელი,—
არაფერია, რადგანაც ვიცით,
შეუძლებელი ამ ქვეყნად მისთვის!
ტელეფონების იდგა გნიასი,
რეკდნენ მეხუთედ, მეცხრედ, მეასედ.
დილამდე ენთო ოთახში ჭაღი, —
ყურმილს ეკიდა მთელი ოჯახი;
წიგნს კითხულობდა ეჟიმის ცოლი,
ვისღა ახსოვდა ძილი და წოლა, —

არ დარეკავდა ექიმი ვიდრე, —
ბინი დერინი — რბილი და მშვიდი —
არ ჩაესმოდა მას სისხამ დილით:
— ძვირფასო, ხომ არ გაგიფრთხე ძილი?!
გადავიქანცე. მოვდივარ უკვე,
კარგს იზამ, ჩაის დამიდგამ თუკი! —
და დგამს მეუღლე ჩაიდანს ხელად,
გამხიარულდა, ალარა ღელავს;
ჩაი ითხოვა რაკიღა ქმარმა, —
ოპერაცია ჩავლილა კარგად.
ანკი, ჯერ როდის მომხდარა თუმცა,
ოპერაციას ჩაეელოს ცუდად?!
მიუწყლიანდა პროფესორს თვალი, —
თითქოსდა ჟონავს დოქიდან წყალი.
იატაკს ცრემლის დაეცა წვეთი,
აქვს პირისახე ქაღალდზე თეთრი,
აქვს პირისახე ქაღალდზე თეთრი.
თურმე ავადმყოფს რომ კვეთდა მაშინ
მისი მეუღლე კვდებოდა სახლში
და სიკვდილს მისას უმზერდა ჭაღი, —
იყურებოდა რომელიც მაღლით, —
და ჭაღმა იცის, ცხადია, მხოლოდ
ექიმის როგორ გათავდა ცოლი.

ტელეფონმა რომ დარეკა დილით, —
არ გაფრთხობია მეუღლეს ძილი.
უმალ მიიჭრა შინ პროფესორი
და ციეი დახვდა პროფესორს ცოლი.
ოპერაცია თუმცაღა ახლაც,
როგორც ყოველთვის, ჩატარდა კარგად.
ვინც მედიცინას ემსახურებით, —
გთხოვთ, მოიხადოთ ყველამ ქუდები! —
გაცივდა ქალი, ქირურგის დანას
ბევრჯერ შეჰმატა რომელმაც ძალა,
ქმარს უდუღებდა რომელიც ჩაის, —
თავისი მისცა ვინც ექიმს ჯანი,

ვინც თქვენს კოლეგას ღამეს უთევდა
დღემდე, აქამდე, ბოლო წუთამდე.

შ ე ბ რ ძ ნ ე ბ ა

შენ ხარ ისეთი ნაზი და მწველი, —
ვიოლინოსი რომ არის ზილი.
ხანდახან ალი მგონიხარ ღელის,
ციცინათელა მგონიხარ ხშირად.

ვშიშობ, ტყეში რომ შევიდეთ ერთად,
ღამით, როდესაც ტყე არის ჩუმი;
მიმეფარები თვალთაგან ხელად, —
შეუერთდები იქაურ დუმილს.

გაგითავისებს ან წვეთი წვიმის,
ან უეჭველად შეერწყმი ნიავს...
ეს არის სწორედ მიზეზი იმის, —
სიჩუმის ასე რომ მეშინია.

ი ჩ ქ ი თ ი ქ ა რ ი

ერთმანეთისკენ იხრებიან იმგვარად ხენი,
იტყვი: ვატესილს, თამაშობენ ტელეფონს ალბათ.
ახრჭიალებენ ტელეგრაფის, ბოძები კბილებს, —
გათოკილები თავიანთი მაკრულებიანვე.
ფაცერკოდიეით დაგებულ ცაში, --
ფირუზ ტბათა და ღრუბელთა შორის
მტრედი ფრთხიალებს უმწეოდ ერთი.

ისე მორჩილად გაწოლილა თეალწინ მინდორი,
როგორც ცელის წინ ქალიწი მწვანე...

შორს, კი, ჭალაში, მდინარის მილმა,
როგორც ქორისგან დამფრთხალი ტარბი, —
რბის ქუდი ჭილის...
და ამ გაქცეულ ქუდს, როგორც ქათამს, —
ქუდმოგლეჯილი მისდევს პატრონი.



ᲠᲝᲒᲝᲠ ᲘᲬᲧᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲗᲐᲕᲓᲔᲑᲐ ᲓᲦᲔ

ყოველ საღამოს, დავწვები სანამ, —
ხელი თავისით პოულობს კალამს.
და მოქათქათე თეთრი ფურცელი
მოწმეა ხოლმე სიტყვის გულწრფელის.
მინდა ქაღალდმა იცოდეს სრულად,
რაც მოიხვეჭა მწუხრამდე გულმა.
მერე კი, როცა დავხურავ კონვერტს, —
ბარათს ალერსით ხელს ეუსვამ ხოლმე.

ᲓᲦᲔ ჩემი ასე თავდება ხშირად
ᲓᲐ ნებიერი მყარდება ძილი.
დილით, ხელს ვიდრე მოვკიდებ საქმეს,
უმალ ფოსტისას ვეწვევი სარკმელს.
და შესამჩნევად მთრთოლვარე ხელით
ვიწრო სარკმელში ქალს ვაწვდი წერილს.
ლაურა, შენი მაკლია შუქი, —
ერთმანეთს თვენი გვაშორებს უკვე.

თუმცა შენ ახლა, ვიცი და მჯერა, —
ჯდები სიჩემო ბარათის წერად.

წიწაფაზე ცრემლის მკიდია წვეთი, —
ღლე ჩემი ასე იწყება ჩემთვის.

ს უ რ ა თ ი

რამ ჩამოაგდო მდუმარება ესოდენ მძიმე? —
განაბულია სე და ჯაგი თითოეული.
ხმას ნეტა რატომ არავინ იღებს?
რატომ არიან ურიკები მიტოვებული?

კლდის თავზე ალვა დგას, როგორც ელჩი,
ჰგავს გაქვავებულს ქედი ტალღასა...
ახალგაზრდობა გართხმულა მტვერში
და გატრუნული ელის რაღაცას.

უცებ, — გრუხუნი. გავარდა მეხი.
ზეცაში ტინის ავარდა ტალღა...
სამჯერ ზედიზედ იქუხა ექომ
ღა ცხრა მთას იქით გადაიკარგა.

სურათმა სახე იცვალა უცებ.
კლდე კამეჩივით გადაწვა გვერდზე...
და, როგორც ჯიქი ეძგეროს ქურციკს, —
ჭაბუკნი ნაპრალს იმგვარად ეცნენ.

იმსხვრევა ტინი. სქელი და მუქი
გარშემო ბდღვირის შადრევნებია...
ურიკა მისდევს ურიკას უკან,
მათ კი სიმღერა დადევნებია.

იქვე მხატვარი დგას, როგორც მუნჯი,
ტყვედ ჩავარდნია მტვერსა და სიცხეს...
უეცრად გვერდზე მიაგდო ფუნჯი
და გამოენთო ურიკებს ისიც.

ადამიანები და წიგნები

დედამიწაზე უხვადაა მხარე და ხალხი.
ზოგან ყინვაა, ზოგან ბნელა, ზოგან კი მზეა...
ყველა ქვეყნისას, რომც ეცადო, ვერ შესძლებ ნახვას,
ვერც ხალხს გაიცნობ, რა თქმა უნდა, ამ ქვეყნად ყველას.

შენ იცი, ხოლმე, საღამოთი, შინ როცა მიხვალ,
წიგნის თაროსთან შეგაჩერებს წიგნების მზერა,
და იმ წიგნს როცა გადმოიღებ რომელიც გიყვარს —
შუაღამემდე თავწარგული კითხულობ მერე.

და შენ რწმუნდები, რომ ეული არა ხარ ქვეყნად.
არა ერთია მევენახე შენი ოცნების...
რომ ერთგვარია კეთილი და ბოროტი ყველგან,
რომ ძმას სუყველგან აღმოაჩენ, თუკი მოძებნი.

რომ ჯერ კეთილი არ ჰქონია დიდ ტრფობას ბოლო,
რომ ეს საწუთრო ყოველთათვის არს ერთობ მოკლე,
რომ არის დრამა მიწიერი ისე უბრალო,
რომ ადამიანს არ უნდა, რომ უბრალოდ მოკვდეს.

შეშფოთებული, წიგნით ხელში, გულაღმა წევხარ,
წინაშე შენსა უმწეოა სიზმარი შენი...
დაიფრენ ხოლმე დილიდანვე შენ ნაღველს შენგან, —
შენ — წიგნით ხელში, — არაერთხელ გარდაქმენ დღენი.

მზე, ბირკილი და ყვავილები ირევა ირგვლივ.
იუდაც, აგერ, ყოველ წუთში მზადაა კოცნად.
ღვთით, უხვადაა კარგი ხალხი და კარგი წიგნი
და მე მწამს მათი, — ვკითხულობ როცა.

ს წ რ ა ფ ვ ა

მე რომ ახლა შევდიოდე სიჭაბუკეში,
არ დაგიდევდი, —
მექნებოდა თუ არა ლუკმაპური,
ვიცხოვრებდი მხოლოდ ერთი ხოშით:
ყოველ წელიწადს გავმხდარიყავ მამა.

დავიხუნძლებოდი ბავშვებით,
ვით შემოდგომაზე
ნაყოფით ხეხილი.
ყოველ ასაკში ვიცხოვრებდი
შვილების სახით,
დრიის ყოველი მონაკვეთის
ვიქნებოდი მკვიდრი,
ვითარცა ბიბლიური მამანი.
რომელთა ბედი
შურდა ბუნებას.

მე არ მიტაცებს წარმატება — ნაირნაირი!
არად მიჩნს საქმენი საგმირონი.
არაფერია იმაზე უკეთესი! —
იყო მამა
და სიჭაბუკით უზრუნველჰყო ქვეყნიერება...

მელაპარაკება ყველაფერი

ნ. ფურნაჯიევს

ვიყავი ბავშვი.
მცირე იყო სამყარო ჩემი.
ჩაიდანთან და კარადასთან
მქონდა ბაასი.
გულგრილად მიმზერდნენ ისინი,
ვითარცა ხატნი
სოფლის საყდრისანი.

ვეწვიე ეზოს:
ეზო იყო მწვანე,
თავბრუდამსხმელი...
ყვავილნი, პეპლები,
ჩიტები, ონკანი...
თბილად ვეპყრობოდი ყველას,
ყველასთან სიახლოვე მსურდა, —

ისინი დუმდნენ.
მერე გამიტაცა ზეცამ,
ზღვამ, ტყემ,
ორწოხებმა, მთებმა...

მეწადა ფიქრი შემეტყო მათი.
ვერ მოვახერხე.

ვიცხოვრე ადამიანებთან.
ვცდილობდი
გამეგო მათთვის...
მე მათთან ერთად
სანგრებში ვეგდე,
ლაზარეთებში
განწირულთა უმწეო კვნესას, —
დროდადრო კვნესა ერთვოდა ჩემიც.

დღემდე უცხონი არიან მაინც.
ნეტა ვიცოდე რა მელის აწი?
ვბერდები, — ვიტყობ —
ახლოა მწუხრი.
ყოფილა თურმე ცუდი როდი
ყოფნა დაისად!
ვრძნობის ასონი
ხდებიან უძღებნი;

ფერი იძენს სახეს აზრისას,
ჟესტი და სიტყვა
იდეის სახეს.
ყველაფერი უკვე ისეა ნაცნობი,
ყველა ისე მიზიარებს
თავის ხვაშიადს —
ხალვათად ძალმიძს
ყველაფერი ავწონ-დავწონო!

ყველაფრის მესმის ამჟამად ენა!
დაძვრა კრინტისა აღარ ძალმიძს
როდესაც თვითონ...
უკვე როდესაც ყველაფრითურთ ბუნებას ვეროვი.

ინტიმური

რატომ დაუგდე შე საწყალო, ჩემს ღლიცინს ყური?
ბე ხომ გეხუმრე!
შენ, ხუმრობა არ იცი, თუ რა?!
დღეს გულს მიკორტნის, ვით ყორანი, ის წუთი-კრული!
იმ დღეს და საათს, — წყევლა და კრულვა!..
გადაივიწყე ყველაფერი, —
რაც მოხდა მაშინ!
ისე ჩათვალე,
ის საღამო არც იყო თითქოს...
შენგან არ მიკვირს,
ვაზი როგორ გეგონა ვაჟი?!
ვით ვერ გამიჯნე
მზის სითბო და ვაჟკაცის სითბო?!
წადი,
გაფრინდი!
შენც ჩიტივით შემოჰკარ ფრთა ფრთას! —
იმ გზას დაადექ, —
თეთრი როა, ვით შენი ბაბთა.
მე რას მიყურებ!

მე ცხოვრება ბოვჯაბე ჩემი.
შენ ჯერ ბალღი ხარ,
ჯერ ადრეა შენს თვალზე ცრემლი.
მე არ ვარ კაცი.
ვარ ღირსი დასჯის.
მოდექ და მლანძღე
ერთ წამში ასჯერ.
მაგინე დღისით, მაგინე ღამით! —
ჰო, ასე ჰქენი! —
შვება იგრძნო იქნება ამით...
(რადგან მე გიმტრე,
ფრთას როცა შლიდი),
მაგრამ მე ნეტა
ვიქნები მშვიდი?!

უკანასკნელი ფერილი

დღეს მხოლოდ შენი, —
ერთ დროს ჩვენი, —
ისევ დგას სახლი.
სახლის პირდაპირ,
მოსახვევში,
ვით მაშინ,
ახლაც,

როგორც უტყვი და
ზედმიწევნით პირქუში ძეგლი, —
კვლავ დამაყზეა
ჩიპარკოზა მწმენდავი ჩექმის.

ხმის ჩახლეჩამდე
ლუდხანაში ბღავიან ისევ, —
ფეხს მოიკიდებს
მაყვლისფერი როგორც კი ბინდი, —

და ღრეობაში
ძმაკაცები ხდებიან მეის�ე
კვლავინდებურად
ქვებუდანი და მიამიტი.

მე ყველაფერი, — მანდაური, —
იმდენად ვიცი, —
თვალდახუჭული
შემიძლია მოგადგე კარზე,
მაგრამ იმ კუთხეს,
თუ გიყვარდე,
რა თავში ვიხლი, —
არის რომელიც
ჩემი ცოდვით ჭერამდე სავსე?!

უჩემოდ გელის —
წინათ ჩვენი ზიარი ჭერი.
ქუჩის ბიჭივით
გებლანდება ფეხებში ქარი.
თრთის და ცახცახებს
კაფანდარა სხეული შენი, —
ჩემი აკლია რომელსაც მხარი.

გვერდით მოგყვება ვიღაცა ლოთი...
და არაერთხელ,
ხმით ნარნარით,
რაც გითქვამს ჩემთვის:
— შემცივდა, ხელი მომხვიე, მოდი! —
დღეს ნუთუ ამას,
იმავე ხმით,
იმ კაცსაც ეტყვი?!

ეჰ, ნაღვლიანო მეუღლევ ჩემო,
ჩვენს უკან მხოლოდ წკვარამია,
მე თუკი მკითხავ;
და იმ წკვარამში
წვეთავს ჩვენი ზიარი ცრემლი, —
მიჯნურობანა ვითამაშეთ ჩვენ რადგან დიდხანს.

თ ქ ე შ ი

წვიმს უგამჩენოდ, —
ყველაფერი წყალში ტივტივებს,
არ გაიგდება ქუჩაში ძაღლი...
მე კი ამ თქეშში ისე მიდივარ, —
თითქოს დარია და არა წარღვნა.
ვერავის ვხედავ, —
მიდიოდეს ჩემსავით ნელა.
სულმოუთქმელად
მიიჩქარის
სახლისკენ
ყველა.
მე კი ნაბიჯის აჩქარება ფიქრადაც არ მაქვს! —
თუნდ
დედამიწა
დაფაროს
წყალმა.
ცოტა არ იყოს,
ვამჩნევ,
ხალხი ეჭვით მიყურებს;
ჩანს,
იუცხოვეს საქციელი ჩემი ჯიქური.
მაინც სუყველა კეთილია ამ საღამოთი! —
თუგინდ ის კაცი, —
ლუდხანიდან ძლივს რომ გამოდის, —
და ვითომ მღერის...
გლისპია განა?!
რაო, ლოთია?!
რა ვუყოთ მერე?!
ეჰ, ვიცი, ვიცი, —
ბოვლით ჭკუაზე შექანებულად!..
მე კი ვარ მხოლოდ შეყვარებული.



ოვიდიუსის მონოლოგი

(პოემის შესავალი)

უნდა ვიცხოვრო ბარბარიოსთა შორის დღეიდან.
ველარ უნდა ვიხილო თვალწარმტაცი რომი.
ველარ უნდა გავიგონო რომაელ ბანოვანთა ტკარცალი.

უხამურ კლდეზე დამხობილა ცა უხამური.
უნდა გავეხვიო ნადირის ტყავში, —
აქაურებს რომ დავემგვანო.
უცხონი არიან ჩემთვის ესენი.
წალკოტი მათი — უდაბნოა ჩემი.

უცნაურად ელვარებენ თვალები აქაურთა.
მათ ჯიქურ მზერაში იზრდება ჩემი მარტოობა.

ვინ დამიხუჭავს რომაულ თვალებს.
მწყურია ვიგრძნო
ტკბილი მოთმინება ნამყოსი
და მომავლის სიმშვიდე მწიფე.

სახეში მირტყამს ქარი. პირქუში ქარაშოტი, —
ძაღლთაპირი.

მაქვს არადიდი დროის იმედიღა.
მშვიდობით რომო!
მშვიდობით სიცილო!
ნელა შევდივარ უშველებელ შიშველ მინდორში!
ვეფლობი საკუთარ ექსორიაში.

რ ე კ ლ ი კ ა

რა უწყინარი მხეცუნაა შენი ნამუსი!
მიყუჩებული თბილ სოროში
სათნოების გირჩებს რომ ღრღნის
კმაყოფილი წუწუნით.

რა რიხიანი სამრეკლოა ეგ შენი ბაგე, —
სათნოების ქადაგი!
აგებ იდეებს, ვით დამჯერე აღმასრულებელთ,
სამოქალაქო სათნოების შენ ხარ მპყრობელი;
შენ
ხარ ბურჟუა, —
ოლონდ
წვრილმანი.

ანტიოპი

რა უნდა მოხდეს?
ვულკანები დიდი ხანია ჩაქრენ.
წკვარამში დინოზავრები აღარ დააბოტებენ.
ჭიანჭველების ფეხის ხმა კი არავის აკრთობს.

რა უნდა მოხდეს?
უთვალავი დანითა და
ერთადერთი ჯალათით
გილიოტინა
გაიელვებს.
ნათელი, მომაკვდინებელი ღრუბლები,
მსუბუქნი, ვითარცა სიზმრისანი,
დაიძრებიან.

რა უნდა მოხდეს?
დედიშობილა ბავშვი
მომღიმარი
შედგება გზაზე,
მტვერს მოასველებს, —
ტალახისგან გამოძერწავს კაცუნას
და იქნებიან ორნი.

აი, რა შეიძლება მოხდეს!



ს ა წ ყ ი ს ი

დაპირებანი, ღვთის წყალობით, არ გვბოჭავს ძველი,
დასაბამია ყველაფრისა
მე და შენს შორის:
ერთურთს შეწნული
მარჯვენა ორი,
ორი ციალი
და ორი მზერა.

საწყისო,
მუდამ ჩემთან ყოფნა მე მინდა შენი,
უსაზღვროდ მინდა,
ხვედრი ჩემი შენ იყო მხოლოდ...
და როცა ყველა
ძლევამოსილ ფინალზე ფიქრობს,
წერტილის დასმას
სულმოკლენი ჩქარობენ როცა,
ოქროს ძნებს როცა
მოუთმენლად ელიან სხვები, —

მსურს ჩემი სულის დიხაშხოში, —
კუპრივით შავში, —
უმწეო ყლორტის მწვანე ალი ელავდეს მიწყივ.

გამოცხადება! — სწორუპოვრად ტკბილია შენი! —
იჩქითი იძენს უცნობობა როდესაც ფორმას,
როცა ნელ-ნელა ინაკვთება უაზრო სახე
და უკვდავების ხმა შორიდან როდესაც ისმის...
ფეხის ხმა შენი მე ყოველთვის სიამით მავსებს, —
წამოძახილი აღმოჩენის შენა ხარ რადგან,
ხარ მაძიებლის ცახცახი და უგონო რისკი,
ხარ აკვნის რწევა,
ტირილი ჩვილის,
და სითბო —
თესლის გამათბობელი.
შენ, როგორც მამრი —
ჯეილი და კაცობასრული,
მოუთმენლობას გაუგებარს
აღვიძებ ჩემში.
მიტაცებ ერთობ,
ვინაიდან შენ, როგორც არვის
გაუცხოება გემარჯვება განმეორების.
შემოწმებანი დიდზე დიდი იწყება შენგნით,
დასასრულს მყუდროს
მუდამ შენი განგაში მიჯობს.
ჯანდაბას, თუნდა ჩამოვხმე კიდეც, —
ხელისგულივით დაბჯენილი ჟანგიან ტიხარს, —
ტანჯვა-წამებას ჰყოფს რომელიც ჩემსას და სხვისას...
თუნდ, ფრიალოზე მომიწიოს ლახლახმა სუსტმა,
მუხლებით მტვერში ჩავეცე თუნდაც, —
ვგრძნობდე ყველაფერ ამაში ოღონდ, —
შენ როგორ სუნთქავ,
შენ როგორ თრთი,
შენ როგორ ღვივი.

ზაფხული

განთიადიდან
შებინდებამდე
მზეს ვაგროვებდი
მე მოთმინებით...
მზეს ვაგროვებდი
მე ციაგ-ციაგ...

ელავდნენ ჩემი კბილები თეთრი, —
ოამბაქოსფერი კანის ჩარჩოში,
ჩემს შუბლზე,
როგორც კოცონის ალი,
როკავდა ჩემი დალალი ორი.

მე დიუნივით ვიწექი მარტო
და ვაგროვებდი მზეს მოთმინებით,
როგორც თოლია —
დაღლილი ფრენით —
დასასვენებლად ანძაზე მჯდარი.

მე ვაგროვებდი მზეს მოთმინებით,
მზეს აურაცხელს,
მზეს მოკაშკაშეს...
განთიადიდან შებინდებამდე
მზეს ვაგროვებდი
მე ციაგ-ციაგ...

მსურდა ზამთარში,
როდესაც ცივა,
როცა გამჭოლი მძვინვარებს ყინვა,
თანგავს გარემოს როდესაც ნისლი, —
მოვსულიყავი ზაფხულებრ ცხელი,
მოვსულიყავი მზესავით უხვი.

შემომეხვია გათოშილ მხრებზე
მზით გატენილი მკლავები ჩემი

და კოცონივით ბრიალა თმებით
გამეთბო შენი თითები ცივი.

მსურდა ღმერთმანი, უსაზღვროდ მსურდა, —
შენი ტანიდან გამეგდო სუსხი
და გადმომეცა მთლიანად შენთვის,
ღრმად შენახული სხეულში სითბო.

ულამაზო მამაკაცი

მე მხოლოდ წამით შევავლე თვალი
იმ მკვეთრ სიჩხიეს, რომლითაც ასე
გამოირჩევა სხვებისგან იგი.
სახე —
უძიროს დაუხნავს სევდას,
ღიმილს —
მაგნიტის აკლია სხივი,
თვალებში —
ცეცხლი არ ბჟუტავს მცირეც.
მას არ ეგონა, რომ იგი ჩემში, —
ალერსის მაგვარს ჰპოვებდა რასმე, —
თვალს მარიდებდა ამიტომ შიშით.
უეშხო იყო იმდენად იგი,
არ გავისვარე მე ხელი მასზე,
დაეგმე უეკლოდ მოკრეფა ვარდის.

მაგრამ უეცრად სიჩხიემ მისმა
უკუმოიხვნა უფლება თვისი;
საიერიშოდ აღმართა ხელი,
გამოაჩინა პერანგი სუფთა;

გასწორდა წელში,
ბოიცა გული

და გაცვეთილი სიტყვების რაზმი
ცხენოსან ჯარად
აქცია უცებ.

შევნიშნე მისი მაღალი შუბლი,
წამწამთა მისთა ვიხილე ტევრი,
ლაღი აზრების აჩქეფდნენ რუნი,
სხივნი გამოსცეს თვალებმა მისმა...
რა ლამაზია! —
აქამდე ნეტა
ვით ვერ შევნიშნე თითები მისი?!
თითები შხვართა,
რომლებიც ირგვლივ
სიმტკიცის სურნელს
აფრქვევენ უხვად.

ლამაზი გახდა ქვეყანა მთელი,
და ისე წმინდად,
როგორც საყდარში,
მე შემძრა მისმა ხმამ მშვენიერმა.

მო,
ულამაზო სილამაზევ,
წამიყვა შენთან.

უანგარობა

ო, რა მრისხანე არის სიტყვა:
უანგარობა!

მე თვალს ვუსწორებ მის ამაყ სახეს
და ვეველრები: —
შემომარტყი მეც სალტე შენი,

რომ პირნათელი ვიყო შენსავით,
რომ განვიბანო,
ვით ემბაზში,
შენს წმინდა წყალში
და მეც შენსავით გავხდე გულადი.

მიბოძე შენი უებრო ძალა,
რომ გაიძვერამ
გაცურება ვერ შესძლოს ჩემი,
რომ პირფერობას
საკადრისი გავცე პასუხი,
ვეებერთელას რათა ჩემშიც აღძრავდეს რისხვას, —
ყოველი მსუყე საქნიერი,
ვითარცა შენში.

შემოწმების ჟამს,
რომ ჩემთვისაც არ იყოს უცხო, —
არც ზნენი შენი,
არც ამაყი სიცილი შენი,
რომ ჩემი ბასრი გონების ხანჯლის
ვერ შესძლოს ყიდვა
ვერვინ ქვეყნად
ვერაფერ ფასად
და ზენარობა აღმომაჩნდეს არწივთა მხნეთა,
როს პატიოსნად უნდა გავხსნა
მსხირპანე კვანძი
და ზუსტ სასწორზე უნდა დავდო,
ვითარცა ჯერარს, —
დანაშაული მხოლოდ ერთი,
ღიმილიც ერთი.

ხარ ამბოხების სისხლი და ხორცი,
შენ გაჩნდი ჯანყის ცეცხლოვან მკერდში,
შენ გააფთრებით გთავაზობდა ჯალათთა რაზმი: —
არჩეულ გზაზე აიღე ხელი, —
თავისუფლება და სიცოცხლე
გინდაო თუკი!

ო, უძლეველო, ცარგვალი შენი
გაუფატრია რამდენჯერ სროლას...
როგორი შენ არ გაძლიეს ქრთამი,
როგორი შენ არ აღგითქვეს ყოფა,
მაგრამ შენ ცხელი არჩიე ტყვია.

ჭაობის აღწევს ვინაიდან ჩემამდე სუნი, —
ამაოების ღრიანცელში ვბანაობ როცა...
გთხოვ: —
კალმის ჩემის,
სუნთქვის ჩემის,
გონების ჩემის, —
ბატონ-პატრონი შენ იყო მხოლოდ,
მხოლოდ შენ იყო ერთადერთი მფლობელი ჩემი.

დღეო, ნუ წახვალ!

დღეო, ნუ წახვალ,
ნუ დამტოვებ
ამ მწუხრის ხელში.
ვერ ხედავ განა, —
დასვენების მე არ მაქვს ნება,
მკაცრი და მურა დაისის თვალწინ
ძე შეჯამებას — ულმობელს ველი.

გთხოვ,
არ წაგრაგნო აფრები თეთრი!
— ნუ დაგვტოვებო? —
ხელისგულნიც შეგთხოვენ ჩემნი, —
აბა, გვითხარი, —
რატომ უნდა გაგვთოკოს ძილმა? —
როდესაც სუსტად ვანათეთ ერთობ, —
და შრომა გველის ჯერ კიდევ ბევრი!

ო, არ ჩახვიდე,
შუქთა შენთა გაგეაძღე ცქერით! —
შიშით შეგთხოვენ თვალებიც ჩემნი, —
რა პირით დავწვეთ წამწამთა ჩრდილში,
როდესაც ერთობ ცოტა ხანს ვმწიფდით
და ჩვენში შუქი ცოტა ხანს ენთო?!

გააშუქეო ცარგვალი ჩემი! —
გამძაფრებული გაჰყვირის გული, —
ყოველი ლხენის,
ყოველი სევდის, —
დაუძინარი მტე ვიყო მინდა;
მსურს ჩემს საყვარელ,
გულკეთილ ხალხთან, —
ვილაღობო და ვიტანჯო კიდეც.
მე მინდა ზეიმს არ ჰქონდეს ბოლო
და გაყრას ჩვენსას
არ ხატავდეს ციაგით ბინდი.

ცხენს, აბა, რატომ სცემ, დღეო, დეზებს?!
ნუ წახვალ, —
არის ჯერ ძილი ადრე!
ქათამიც კი არ იბუდებს ამ დროს!
ნუ წახვალ, —
ჩემნი ელავენ ნებნი;
მსურს მივაღწიო შორეულ მიზანს,
გზა უნდა განვვლო საკმაოდ გრძელი.



ᲦᲐᲛᲘ

შენ იყავი ძალიან შორს
და
არ იცოდი სად ვიმყოფებოდი მე.
მე კი, —
არხებით დაქსელილი ამსტერდამის
რომელიღაც სასტუმროს
უკან,
ვეებერთელა ნავმისადგომთან
აბღავლებულ ხომალდებსა
და
დამბებზე
ელვისებურად მქროლ
მატარებლებს შორის, —
ერთ პატარა
ტურისტულ ბუნგალოში
ვათევდი ღამეს.
ეს, როგორღაც,
არყოფნაც იყო და ყოფნაც,

რომელშიც
არსებობა შენი,
თუმცაღა
აზროვნებ შენ —
ერთობ შეფარდებითია მაინც.
და უცებ ვიგრძენი,
რომ მე გაფაციცებით დამეძებდა
შენი აზრი.
შენ გეგონა,
რომ მე ვიყავი პარიზში...
და, რადგან მხოლოდ
ერთი, არასაიმედო მისამართი
იცოდი მონმარტრზე, —
სადაც ოდესღაც ვცხოვრობდი მე,
ამიტომ
მეტრო „აბესასთან"
შენ მიაშურე ლიფტს.
რომ არ გატანჯულიყავ
ჩემი ძებნით,
მე სწრაფად გადმოვევლე არხებს,
გადმოვკვეთე
ფლანდრია,
გერმანია,
ავსტრია,
მოვაღწიე ბალკანს,
შევეხე მის წარბებს,
ვიბრუნე პირი სოფლისაკენ
და შემოვიპარე ჩვენს პატარა სახლში.
შენ შეიშმუშნე საწოლში.
ძილს, ჯერ კიდევ
ვერ მოესწრო
შენი სახიდან
ერთი დიდი ზრუნვის წარხოცვა.
მე ხელი გადაგისვი შენ,
მაგრამ არ გამიღვიძებიხარ,
რადგან ვიცოდი, რომ ცხადში

შეუძლებელი იყო ჩვენი შეხვედრა.
გაგისწორე სამი ნაჯი შუბლზე,
ჩუმად,
ძალიან ჩუმად გითხარი რაღაც იდუმალი...
და,
იმწამსვე,
ვიდრე ირიჟრაჟებდა,
დავუბრუნდი
ჰოლანდიის ნისლში გახვეულ
ჩემს პატარა ბუნგალოს.

აბსურდული პარიზი

ხომ არ ჩაეძინა
წვიმითა
და
კვამლით
გათხვრილ
მაისის ცის ქვეშ?
ისეთი მდუმარებაა,
თითქოს
შვიდმა მილიონმა
კაცმა
ერთბაშად,
ფეხაკრეფით,
დატოვა
იგი.
ცარიელი ნავები
თავისით
ირწევიან
სენაში.
თანხმობის მოედანზე
დავიწყებულ

სათამაშოსავით
აყუდებულია
ლუკსორის
ობელისკი.
მეც,
შემთხვევითი მგზავრი,
ერთ რკინის მერხზე
ვინაბები და ვინაბები,
რათა
ჩემმა ფეხის ხმამ
ძილი არ დაუფრთხოს
მას.

მაგრამ ეს არ გრძელდება
ერთ წამზე მეტხანს...
მგრგვინავი ზვავი
ეშვება
ეტუალის მხრიდან.

ნ ა პ ი რ ზ ე

დიუნები მთელი ღამე
გრძელ ქარავნად ვიდოდნენ,
ბალახის ობოლი ღერო,
მთელი ღამე,
ცეკვავდა წრეში.
ერთი ჩიტი,
მთელი ღამე,
ქსოვდა სილაზე,
ერთი ნიჟარა,
მთელი ღამე,
ეჩურჩულებოდა ქარს და
აძინებდა ნანინათი.

მაგრამ შენ ამას ვერ მიხვდი,
და, როცა გათენდა,
გაიქეცი
ზღვის ნაპირ-ნაპირ...
აქლემები
შეკრთნენ
და დიუნებად იქცნენ უცებ,
გათელილმა
ბალახის ღერომ
ჩაყვინთა,
თეთრმა ჩიტმა
განწირული ხმით
წამოიკივლა,
გაიღვიძა ზღვამ
და ისე ამოიოხრა, —
კინაღამ ფსკერი
ამოატანა თან.

უგუნურება

გაკვირდები შენ
და შიში მიპყრობს:
შენ ღამესავით
ხარ გაუმჭვირვალი.
სად გაქრა
თვალთა შენთა
ის ელვარება,
ან, ის
მთრთოლვარე ვენა,
რომელმაც
გაგცა შენ?
მთის გვირაბში
განგაშით

შერბოდა
გაქანებული მატარებელი...

ჩვენ კი —
უგუნურნი —
ვუყურებდით:
როგორ ქრებოდნენ
ბოლო
ვაგონის
მიღმა
გამოუყენებელი წუთები,
მოციმციმე წყალი
და უტიფარი,
გამომწვევი ბუნება...
შორეთის ბუნდოვანი
დაპირებებით გატაცებულებმა
რატომ დავტოვეთ უჩვენოდ,
რაც ყველაზე ძვირფასი იყო ჩვენში?

შთაგონება

„იგი ფსიქიკური ფენომენია... ჭეშმარიტებას ჭვრეტს სახეებში...' მისი წვდომა პოეტთა შთაგონების მსგავსია...

(ცნობილი ბულგარელი პარაფსიქიატრის დოქტორ ლოზანოვის მეცნიერული კონსტატაციიდან).

საყოველთაო მზერის მაგიერ, —
ჭვრეტა! —
უცნაური და საშინელი!
უსინათლო მისანი, —
ჩავარდნილი ტრანსში, —
არღვევს დღეთა

მარად რიტმს,
წარსულს უერთებს მომავალს,
ხელის ცეცებით
მიცოცავს
იმ ლაბირინთებში,
რომელთა შესასვლელები
დაცემენტებულია.
ააშკარავებს
შავბნელ განზრახვებს,
ხსნის,
მომავალ საქმეთა
იმ გადაუწყვეტელ ფორმულებს
სადაც
ციფრები,
მიზეზნი
და ძიება —
უცნობია...
ვანგას მკითხაობისაგან
მე ჩემს წარსულსა და აწმყოს
არ ვმალავ...
ახლოა თუ არა აღსასრული, —
ეს არ მსურს ვიცოდე;
ყოველი ვადა
მაცბუნებს მე...
მაგრამ სპეციალისტის
სიტყვებმა,
ცოტა არ იყოს,
შემაშფოთეს: —
იგი სახეებში ჭვრეტს
შემაძრწუნებელ ჭეშმარიტებებს...
და წვდომა მისი —
პოეტთა შთაგონების
მსგავსიაო...
ჩვენი სახენი?
ჩვენი ჭეშმარიტებანი?
ჩვენი წვდომანი?

პირვან სტეფანოვი



სინაზე

აქ ღამეები ზღვის მოქცევის ჰრიან მსგავსი,
ირგვლივ, ჩვენს ახლოს, ხრჩოლავს წყვდიადი...

და ჩვენ — დამფრთხალნი ვეჭიდებით
ხვევნის საშველ რგოლს, —
რათა დილამდე შევინახოთ
სინაზე ჩვენი.

მაგრამ წყვდიადი ჩვენს თვალებში პოულობს იმას, —
მის ოქროს სილას
ხეებსა და ხის ტოტებს აფრქვევს, —
უნდა ცივ ცვარში ჩაახრჩოს იგი.

შენ რა?!
დაღუპვა გაშინებს მისი?!
ნუ გეშინია! —

სასწაული მოხდება ნაღდი:
წვეთ-წვეთად შესვამს დედამიწა ამაღამ იმას —
და ხვალ იქნება გაცილებით ის უკეთესი.

სურათი

არ მოეშალოს მშვიდობის დილა! —
შენს —
თითქოს ღრუბლით მომზირალ თვალებს...
შენი თვალები იმგვარად ბრწყინავს, —
მე სასწაულსაც ვირწმუნებ მალე.

მე და შენს შორის, —
შენც იცი, მგონი, —
სიოა მხოლოდ და სამი ჩიტი...
ხეზე დამჯდარა სამიდან ორი,
მესამე — ციდან დაგვძახის — „ჭიტას“.

ბავშვი

ყმაწვილი მოდის, ვითარცა ღმერთი, —
თავისი შეჰქმნას სამყარო რათა.
თავდაპირველად პატარაა სამყარო მისი:
სათამაშონი,
მეზობლის ბიჭნი
და ფანჯარაზე დახატული ჩიტები ჭრელი...
ვინიცობაა, — სათამაშო გაუტყდა უცებ! —
ხმამაღლა ტირის, —
არ სტკივა თუმცა.

მაგრამ დღე დგება,
როს ხვდება იგი,
ჩიტები თვითონ წაშალოს უნდა,
დახატოს უფრო ლამაზნი რათა.

ყმაწვილს პირველად იბრიყვებს სევდა,
და იკვნეტს ბაგეს,
და ხვდება იგი, —
ლიდია უკვე.

თეთრი ფრინველი

მე დამესიზმრა თეთრი ფრინველი.

წინათ,
ჩვენ, — ორნი, —
მეგობრები ვიყავით დიდი.
დავიწყებულმა ბაღებმა ალბათ
მასტუმრეს იგი.

მან მე თავისი ხათრიანი შემავლო მზერა. —
მომცა სალამი.
და ცდა დაიწყო, —
რომ მე მისი სახელი მეთქვა,
ვით მითქვამს წინათ.

მაგრამ მე ვდუმდი.
გაფრინდა მაშინ
და გამიყენა ბავშვობის გზათა;
ყვავილნი ჭრელნი
როკავდნენ ირგვლივ.

გადმოსულები დოქიდან თითქოს, —
მე წინ ნაცნობნი მხვდებოდნენ ჩიტნი...
მაგრამ რა პირით მე ვუთხრა კარგებს, —
რომ აღარ მახსოვს სახელნი მათნი!

შემომხარიან,
ვითარცა წინათ, —
სურთ რომ ზღაპარი მიამბონ ტკბილი...
ვით მოვახერხო დამალვა იმის,
რომ ენაც უკვე არ მახსოვს მათი?

და მე ვიღვიძებ...
ჩემს ხელებზე ციმციმებს ცვარი..
ვიტირე ძილში!

ეჰეი, ჩიტნო,
ეჰეი, ხენო...
მე თქვენს საძებრად ზეცამდე ვირბენ.

მაგრამ რომ გიხმოთ, არ ძალმიძს უკვე,
მე აღარ მახსოვს სახელნი თქვენნი.

ირგვლივ — არავინ! —
ტკივილი მხოლოდ, —
და მდუმარება,
და თეთრი ჩიტი —
ჩემი ძილიდან გამოფრენილი.

ზეცის ჭიშკარზე სკუპდება იგი —
თენდება გარეთ.

შ ე კ ი თ ხ ვ ე ბ ი

— რატომ არიან ბელურები ფეხშიშველნი...
— ხეები რატომ არხევენ ქარებს?

სად გაგონილა
ამდენი— „რატომ?“
შემეშვი, შვილო,
იწამე ღმერთი,
შენ ხომ უზნეო არა ხარ ბავშვი!

ო, ღმერთო,
როდის გახდება დიდი,
რომ ამ შეკითხვებს
მოელოს ბოლო?
ეს რა წამომცდა?! —
ასული ჩემი
ვით გავიმეტე უღმერთოდ ასე?!

ნუ მიწყენ, შვილო!
მოწმეა ღმერთი! —
მე ეს არ მითქვამს ბოროტი გულით.
ახლა კითხვებით რომ ტანჯავ სხვათა,
ხვალ — შეკითხვათა საკუთარ ჯვარზე —
კირთება გელის შენ უფრო მძიმე.

და ჩვენც ვიჩქარით, —
შენ გიხსნათ რათა.
ჩვენ ეს გვასწავლეს მამათა ჩვენთა,
ისინი მაგრად გვიწევდნენ ყურებს, —
სურდათ რომ სიბრძნე მიგველო მათი;
და მოვიშალეთ კითხვები როცა, —
ამოისუნთქეს მაშინღა შვებით, —
სრულწლოვანებად ჩაგვთვალეს უკვე.

შენც დაგემართოს არ მინდა ასე! —
არ დაანებო შეკითხვებს თავი! —
დაე, უზნეო გიწოდონ ბავშვი! —
არ შეისმინო სწავლანი დიდთა! —

არ შეუწყვიტო კითხვები ჩიტებს,
არ მოუშალო კითხვები ხეთა,
კითხვის გარეშე არ დაგრჩეს მღილიც —
შეგაცოცდება რომელიც ფეხზე.

დე, შეკითხვათა კუთხენი მარად
აელვარებდეს ბაგეთა შენთა.



ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘ

უთქმელი მთები
თვინიერად წამოწოლილან.

ზამთრობით — მშვიდებს,
ზაფხულობით — სიფიცხე შვენით.

ხოლო მათ შორის, —
თავი გაბსნილ ჩვრებში ჰგონიათ —

და სოფლები და ქალაქები
გორავენ ჩვენი.

ლაღი სიმღერით
მწვერვალები აღწევენ ცამდე.

ბუდეს ქვებისგან იხოლიხებს
არწივი ლეგა.

ქვათაფერია, როგორც წესი,
არწივის მართვე.

იტყვი: —
რა არის?!
კლდე არის, თუ
ლოდია ნეტა?!

წიფლის ტევრიდან
კომიტური[1] მახვილი მზერით
გოლიათები
გუშაგობენ მიდამოს ტურფას.
წამოხტებიან. —
მწვერვალს ორად აპობენ ხელად.

იტყვი:
კამეჩი არ ეყოფა
თითოს ერთ ლუკმად.

უნდა დაისვა ბულგარეთი
ბავშვივით მუხლზე.

უნდა დაბერო თბილი სული,
ვით მტრედის ხუნდსა.

ბედნიერება იქ გაჩენის
არ გქონდა თუკი.

იმის კალთაში აღსასრული
ინატრო უნდა.

რბიან ქალწულნი —
გაწეწიათ ზილფები სათის.

---

[1] კომიტა — თურქეთის უღლისაგან ბულგარეთის განთავისუფლებისათვის მებრძოლი კომიტაჯია, კომიტინი.

ულერენ და ულერენ
ნიაქარში ნაწნავნი ლაღთა.

ცეცხლს აკვესებენ
ზეთიანი თვალები მათი.

იტყვი:
მზისანი
არიან ნალდად.

მითხარით, დებო! —
ამოდენა ვისია კვალი?!

— ვისი იქნება,
ჩვენი ზორბა ბიჭების გარდა!

ჯერ კიდევ ნორჩებს,
ულრანზე რომ უჭირავთ თვალი.

იტყვი: —
ნამდვილად
ღვიძლი ძენი
არიან მთათა.

ჩემი პატარა
მთელი ღამე ხელს იწვდის ზღვისკენ.
ციცინათელას სურს სტაცოს ხელი,
წითლად ციმციმებს რომელიც ზღვაზე.

ო, არა, შვილო,
არ მოუსპო იმედი ხომალდს!
მეზღვაურების ცისკარს მოეშვი.

მრუმეა ღამე,
ზღვა შავია,
გზა არის გრძელი.

ღამეა როცა —
უმაგისოდ როგორ ჭირს, იცი?!
გზას ვერ გაიგებ, —
ეგ ერცახე რომ არა შუქი.

ყური დამიგდე, —
ყველაფერს გეტყვი: —
თავს რა გადამხდა, —
მოვაღწევდი
შენამდე
ვიდრე.

გზა იყო გრძელი,
ლუკმა — მწარე,
მიწა — პირქუში.

ციცინათელას —
იმედს ჩემსას —
იჭერდა ვილაც,
მალავდა თავის პაწია მჯიღში
და მე მტოვებდა
ბნელში და მარტო.

და იხვეოდა ბილიკი ჩემი,
იხვანგლებოდა, როგორც უნასი...
და დავხოხავდი
ხიდან ხემდე
და ქვიდან ქვამდე.

და მე ულრანში დავტოვე კვალი, —
უსწორმასწორო
ელვაზე უფრო.

აი, თენდება! —
გამოენთე მინდორში ჩიტებს,
სდიე, რამდენიც გინდოდეს,
პეპლებს.

ციცინათელას დაეხსენ ოღონდ,
თავი ანებე ამ კეთილ იმედს,
ამ მოციმციმე წერტილს შეეშვი.

და ხვალ მინდორში
იქნება კვალი —
სწორი და მტკიცე! —
და იტყვის ხალხი:
აქ ვარსკვლავებმა იარეს ალბათ.

ვან კლიბერნი ასრულებს ჩაიკოვსკის

გულს გამოივლის გონებიდან დაძრული სისხლი
და როიალში
ღერიან მერე თითები შხვართა.

ეს, გრუზა თმათა,
ქერა თმათა როდია ჩრდილი, —
ცვარდანაღვარი
თეთრ კედელზე შეტოკდა ვარდი.

ციაგი ათი
კლავიშებში იძირვის ისე,
როგორც ჩიტების
ალუბლებში ეფლობა გუნდი.

რომ მოუსმინოს, —
თავს ანებებს ხელეჩო ფიცარს.

ზეაწეული
ჩაქუჩიც კი ჩერდება წუთით.

ეს არის წამი,
წამი, როცა რუსეთზე ფიქრი, —
ზღვაზე და ხმელზე
მზეკაბანობს აქეთ და იქით.

თითებს საოცრად უმართლესი უჭირავს გეზი.
ვან:
თუ არ ვცდები,
ჩვენ თამბაქოს ვრგავთ ხოლმე ეგრე.
ეგრე, მთის წვერებს
ნაკადები წყდებიან თეთრი,
რომ დაბლა — ბარში
მარიცა და ციბერი[1] ჩქეფდეს.

საჭირო სიტყვებს
რემინგტონზე მეც ეგრე ვეძებ, —
„Hermes beby-“-ც[2]
ეგრევე ქსოვს სიმღერას შენზე.

მაგრამ, შენივე ყურს გიგდებენ შენ ძმები ახლა?!
თუ აღტაცებით
თოფის ჩახმახს ჩარხავენ ახალს?!

სისხლის ღვრათანი
კვლავ რომ დგება გეგმაზე გეგმა?!
ყუმბარებისა
აქამდე რომ გრძელდება დელგმა?!

ყორნები კვლავ რომ ირევიან
აქა-იქ ცაში?!
გული ქვეყანას კვლავ რომ უთქვამს
რაღაცა საშიშს?!

---

[1] მდინარეები ბულგარეთში, ქ. ვიდინის ახლოს.

[2] რემინგტონის მარკა.

დაე, აჩრდილი ემაგ შენი ხუჭუჭა თავის
ლაღად ჰყვაოდეს
განათებულ მოსკოვის ჭერქვეშ;
რადგან აჩრდილი ხუჭუჭდება
სხვარიგად შავი
და საზენიტო ქვემეხები
ჯერ კიდევ ჭექენ.

ლოცვა

ღმერთო, შეგწყვიტოთ დღეიდან ბრძოლა,
ჩემსაში ნულარ ამოხვალ ოხტში.
ღალატიანი მაშორე ცოლი,
ცოლი ერთგული მაშორე ორგზის.

ჩამავლე შენი უხეში ხელი,
შეუკაზმავზე შემსვი ქურანზე,
მაშორე კაცი შიგნიდან ჭრელი,
გარედან ჭრელი მიჯობს უნასი.

ღამიან გზებზე შემყარე ქარებს,
სულს ნუ ამომხდი ბუხართან ჯდომით,
ანგელოზებთან მუდამ დღე ალერსს
ეშმაკთან მიჯობს მუდამ დღე ომი.

გმირულად მომკალ, გამრიე მიწას,
შენ დაინახო საჭიროდ თუკი,
ღმერთო, — ჩემს გულში რომელიც ზიხარ
და თავზე ჩემი გახურავს ქუდი.

გულმა სიმღერა დატოვა თუკი

დასობილია სამარეზე ხის შავი ჯვარი!
არის!
რადგანაც
ის
აღარ არის!

ამ სამარეში
წევს ვიღაცა გადაქანცული.
მისი მიზნები, ოცნებები,
მთელი წარსული
თავმოყრილია აქ ყოველი
და
ჯვარდასმული.

ფოთოლს მოისხამს წიფლიანი,
თუ დაყრის ფოთოლს.
დაპურებული არის ყანა,
თუ არის თოთო.
შემოდგომაა,
ზაფხულია,
თუ გაზაფხული! —
შავი ჯვრის ჩრდილით
არის ყველა გადახაზული.

ასე გასინჯეთ,
უგუნური თვით მზეს არ ინდობს,
უცხო სიშავით
ცდილობს საფლავს რომ განარიდოს.
საფლავის ჯვარი!
გამოთლილი ხისაგან წიფლის.
ყოვლად ძლიერი! —
თავისი ფიქრით.

თუ გააკეთეს ხელებმა წყარო —
კოკას რომ ვავსებთ,
იმ ხელებს ვლოცავთ.

თუ გვიანდერძეს ხელებმა ხმალი —
თავსა ვხრით დაბლა,
ხმალს ვკოცნით როცა.

გულმა სიმღერა დატოვა თუკი —
ჩვენ იმ სიმღერას
თვით საფლავში
ჩავძახებთ ბუკით.

ბანშორება

როგორც გაფრინდა, მოფრინდება მერცხალი, ისე.
როგორც ჩავიდა, მზე ისევე ამოვა ცაზე.
მე კი დღეიდან უკვე შენთან მომსვლელი არ ვარ,
ამიერიდან აღარც შენ ხარ მომსვლელი ჩემთან.
მოგონებათა მასპინძლობა მოგვიწევს მხოლოდ,
არ ივიწყებენ გათიშულებს ისინი რადგან.

როცა ოთახში მე და ღამე ვიქნებით მარტო,
ისინი ჩემთან უბოდიშოდ შემოვლენ მაშინ.
წამომაგდებენ ლოგინიდან გვიანი ღამით
და გამიბამენ უსასრულო ლაპარაკს შენზე:
მე გავიგონებ მერცხლისებურ საუბარს შენსას,
მომეფერება შენი თბილი, ლამაზი ხელი,
ქალწულებრივი შენი ტანის მეცემა სუნი.
შეკოწიწებას ვეღარ შევძლებ გამტყდარი ძილის,
დილამდე გასტანს მრუმე ღამის თვალებში მზერა,
მე, შეიძლება, სიმღერის თქმაც კი ვცადო ამ დროს,
იქნებ, გულიც კი ამომიჯდეს, ავტირდე უცებ.

შენ ვერ გაიგებ, სულერთია, რაც უნდა მოხდეს,
კიდეც რომ გითხრან, არა მგონი, შენ ამან შეგძრას.

მაგრამ, მაშინ კი, ზეცა როცა გახდება ლეგა,
და ფანტელები ჯიკაობით წამოვლენ ციდან,
და ქერა ზილფებს გაგითეთრებს პირველი თოვლი;
შენ, უეჭველად მოიგონებ პაემანს პირველს,
მოგაგონდება, იმ დროს თქმული სიტყვები ჩემი,
გაგახსენდება, რა თქმა უნდა, პირველი კოცნაც.
ეს, შეიძლება, პირადად შენ გეწადოს არც კი,
ამის გულიდან გადაგდებაც კი სცადო იქნებ,
მაგრამ, იცოდე, ცდა ყოველი — იქნება ფუჭი.
დახუჭავ თვალებს, — დაგიდგები მაშინვე თვალწინ,
თვალები ჩემი არ მოგცემენ გასაქანს ძილშიც,
სახელი ჩემი შეატოკებს ბაგეთა შენთა.
ხელში ქაღალდი უცაბედად თუ მოგხვდა სადმე, —
მალულად დაწერ შენ უმალვე ზედ სახელს ჩემსას.
და, როცა ისევ სასეირნოდ შეივლი ბაღში,
და შორიახლო გამოგყვება ჩიტების გუნდი,
და შემოდგომა ფიანდაზას გაგიფენს ფეხქვეშ, —
გინდა, არ გინდა, ელვის უმალ გაეჩნდები შენთან:
სახელი ჩემი გაიჟღერებს ჩიტების ხმაში,
ჩემი ჩურჩული გეგონება ფოთოლთა ცვენა,
და თავზე როცა შეგეხება რტო ნორჩი წაბლის, —
ხელისგულს ჩემსას ემგვანება საოცრად ივი.
ჩანს, დავიწყება არ ყოფილა იოლი შენი,
გაგიჭირდება დავიწყება შენც ჩემი ალბათ.
როგორც გაფრინდა, მოფრინდება მერცხალი ისე.
როგორც ჩავიდა, მზე ისევე ამოვა ცაზე.
მე კი დღეიდან უკვე შენთან მომსვლელი არ ვარ,
ამიერიდან აღარც შენ ხარ მომსვლელი ჩემთან.



ნება მიბოძე

ნება მიბოძე ვიფიქრო შენზე.
ხელს ნუ ამიკრავ
ტრფობას ხელახალს.
ყავ სიყვარული! —
ცოლიც იყავ,
დაც იყავ
ჩემი.
არ შემიძლია დავიჯერო:
თითქოს ყოველი
აკრობატული ილეთების
ჯამია მხოლოდ.
რომ ტყუის ჯაზიც —
წამოიწყო დაკვრა რომელმაც,
ხელიც, —
ხელს ეძებს ჩემსას რომელიც,
ქალიც, —
ვისთანაც მე ვცეკვავ ახლა.
არ შემიძლია ვიარსებო უპაემანოდ, —

რა უმჯობეა პაემნისა სანაპიროზე;
ვიძირვით წაბლის ღრმა ჩრდილში ოდეს,
წაბლი კი ჩუმად ხმას ისმენს ჩვენსას...
და, რა მძიმეა, —
შენ არ დგახარ როდესაც ჩემთან —
ხისქვეშ, —
ჩურჩული აღარც ახსოვს რომელსაც ჩვენი...
ნება მიბოძე ვიფიქრო შენზე.
ხელს ნუ ამიკრავ
ტრფობას ხელახლას
ყავ სიყვარული! —
ცოლიც იყავ
დაც იყავ
ჩემი.
იყავი,
სადაც გენებოს, —
იქა!
ოღონდ იყავი!
იყავი,
გსურდეს ვისთანაც, —
მასთან! —
ოღონდ იყავი!
და მომიგონე
ათასში ერთხელ.

ზღვას თუკი მართლა არ უყვარს მკვდარი,
ცოცხალი უყვარს უკეთუ მარტო?!
ერთი გოგონა, — უმჯობე მთვარის, —
არ გამორიყა აქამდე რატომ?!
ზღვა ატივტივებს გოგონას მერდინს,
პატრონი არ ჩანს მერდინის ოღონდ...

გოგოს მიჩმანი უყვარდა ერთი,
მიჩმანს კი — ყველა ლამაზი გოგო.
ზღვა ატივტივებს გოგონას მერდინს, —
თეთრი რომელსაც შვენის არშია...
შევხედეთ ზეცას და ყველა ერთად
გალუნგებულში გადავხტით წყალში.
კენჭები ზღვისა და ფსკერის ქვიშა
ლურჯით ამაოდ ვჩიჩქნეთ თითებით...
კვალიც კი ვერსად ვიპოვეთ მისი, —
არ შეელიენ ვისაც ზვირთები.

პატარა ბალადა დიდ მდინარეზე

მდინარე ელავს,
მრუმდება მერე,
აქვს მოალერსე მდინარეს ხელი.
თითქოსდა მიდის,
თითქოს არ მიდის, —
ხან ერთობ მცირე,
ხან ერთობ დიდი.

წარმოუდგენლად,
უსაზღვროდ წმინდა
წყალში ვარსკვლავთა ჩადის ხიზანი...
იქ, სადაც თევზნი ბზინავენ წითლად,
თევზნი — რწმენანი მდინარისანი.

ცით თეთრი მთვარე აწვეთებს სევდას,
ტუჩებს ილოკავს ნაპირის თიხა...
და უკვე ვხედავ,
გარკვევით ვხედავ, —
განკაცებამდე რაიცა ვიყავ.

ახლა ღამენი მინასავით არიან ცივნი

ახლა ღამენი მინასავით არიან ცივნი.
ჰაერიც უკვე ვერავის ნუსხავს.
თავისთვის არის დედამიწა,
თავისთვის მთვარე,
თავისთვის არის ყველაფერი გარშემო ახლა.
და, ჩვენ აღარც კი გვგონია ცხადი,
დიახ, ხილული გვგონია ძილში:
ხასხასა მოლი,
ყვავილნი ჭრელნი,
და მოშრიალე დიდრონი ხენი.

ხეა ამჟამად ჩაძირული საკუთარ თავში,
მისი სიკვდილი არის მხოლოდ მოჩვენებითი;
ერთი შეხედვით, — უსიცოცხლო სხეული მისი, —
ყელამდე სავსე არის სიცოცხლით.
ოღონდ ხემ შიგნით შეიტანა თავისი მზერა,
როგორც ბაკანში შეაქვს ხოლმე კუს თავი თვისი...
და იგი ახლა თავს საკუთარს უღიმის მხოლოდ,
და მის ნახშირა ფესვებში ახლა
ხის ფანტაზია განუწყვეტლივ მუშაობს მძაფრი.

ხე ილიმება.
ვერც კი ხვდება, — დაგვცინის როგორ!
ხე მხიარულობს და ფიქრობს იგი:
ჩვენც ზედმიწევნით მსგავსნი ვართ მისი, —
სიწმინდით, რწმენით და ნებისყოფით.
რომ ჩვენც ვითომდა საკუთარ თავში, —
იქ, სადაც ფესვნი გართხმულან ჩვენი, —
გვჯერა ხეებზე ნაკლებად როდი
ხეთანი,
მოლთანი,
ყვავილთანი.

ჩემს შვილს

მოდი, მე და შენ წავიდეთ ტყეში,
ერთად ვიგემოთ შიში და ეშხი;
და მოვიგონოთ სახელნი, მოდი,
ფრინველთა,
ხეთა,
ყვავილთა,
მოლთა.

იყავი ბავშვი.
ყოჩაღად იარ.
არ შეგაჩქვიფოს ხმაურმა ტყისამ.
და ყველას პირი დარჩება ღია,
სულ მალე ისეთ სასწაულს იზამ;
ტყეს გაახარებს დანახვა შენი,
ჩაგიკონებენ დიდრონი ხენი.
შენი ფინია გახდება ლომი,
შეგიტკბობს შვიდი კეთილი გნომი.
ტურა და მგელი, ციყვი და მელა. —
შენი ძმობილი გახდება ყველა.
იჩქარე,
გასწი,
ყოჩაღად იარ,
გარდაიარე კლდენი და ღრენი,
არ დაგავიწყდეს,
რაც ტყეში ხეა, —
გზადაგზა ყველას მიეცი ხელი.
ყური ათხოვე მოწყალე ბალახს,
წყალს დაუჯერე,
იარე რწმენით...

იცოდე, კაცის ისაა ძალა,
არ ლაპარაკობს რაც კაცის ენით.
იჩქარე,
გასწი,

ყოჩაღად იარ, —
დაღამდებიან ხეები ვიდრე,
და ქათქათებდა იქ სადაც დილა, —
მიხაკი ვიდრე იფეთქებს შვიდი.
როს დაბრუნება მოგიხდეს ჩემთან,
პაწია ხელი ჩაჰკიდე ბილიკს,
და იმ ელვარე ბილიკთან ერთად,
დილა იალებს — ყველაზე ტკბილი.
წვრილად იამბე, — ხილული ტყეში.
შემომიკეთე ახალი ფერი,
რომ მე ზღაპრული დავწერო ლექსი,
და შენ მოგიძღვნა ის ლექსი მერე.



ცხენოსნები

ცხენოსნები, სისხლიანი ცხენოსნები.
გადამწვარი მშობლიური მხარე.
ჩამომხრჩვალი ქალიშვილი— მეოცნებე.
ყანობირში დასეირნობს ქარი.

ფლოქვთა ქვეშე აზლუქუნდა არემარე,
ნასოფლარზე სახრჩობელა მღერის.
პანაშვიდად გადაიქცა პაემანი,
განადგურდა ხოდაბუნი ვრცელი.

იბუზება ტაძარიღა ერთი ცალი,
მზეზე ბზინავს გაფრენილი შუბი.
შეჯმუხვნილან კამარანიც ზეცისანი,
ისე, როგორც ქონდაქარის შუბლი.

ცხენოსნები, სისხლიანი ცხენოსნები.
— ნეტავი თუ გვეშველება რამე!
გულდამწვარი უჩვეულო საოცრებით,
ცეცხლიანი იცრემლება ღამე.

ბაზაფხული

დილიდანვე დაერია
აკაციებს ქარი.
ნაწვიმარზე,— ჰაერია! —
გაცოცხლდება მკვდარი.
არემარე — პეპლიანი —
მიკლავს თვალთა წყურვილს,
ცის ლაჟვარდში მზე ბრიალებს,
როგორც ოქროს ცული.

მზის სხივებზე ჭალოვანის
ისე ბზინავს მოლი, —
თითქოს ტურფა ბანოვანი
შემომცინის შორით.

მივაბიჯებ, სიხარულით
ცას ვეწიო ლამის...
ზღაპარია! — სიყვარულზე
უმაღლესი რამე!

მღვიძარება

ისევ უძილო ღამე — ქათქათა,
თვალწინ სტრიქონი — სისხლის მწოველი;
უსაბიოდ, როგორც აქამდე,
შენ გამოჭედო უნდა რომელიც.

ზუსტად ისეთი თუ გინდა შანთი,
წარმოდგენაში, როგორიც გსურდა,
როგორც თხუნელა ქვესკნელში ჩადის,
საკუთარ გონში ჩაეშვა უნდა;

იქ, სადაც შენი ელვარებს დილა,
იქ, სადაც შენი კრიალებს ზეცა,
იქ, სადაც ხშირად, ძალიან ხშირად,
ეჭვით უმზერენ სიმღერას შენსას.

ო, ეს კირთება, — უზომოდ ძნელი,
შენ შენი ნებით რომ გაწევს ტვირთად,
ვით დროის მანკი, ვით ბედისწერა,
როგორც მიზანი — წმინდათაწმინდა.

ო, ეს წავარნა, — განცხრომის მტერი,
შენი ძაგებით რომ ვეღარ გაძღა,
რომელმაც, შენდა მოულოდნელად,
შენ არა ერთხელ გაგემა ლანძღვა.

არ გაეკარო, იცოდე, სხვა გზას,
მარად და მხოლოდ შენ ამ გზას ენდე,
ქვეყნიერებას უამგზოდ რადგან
აზრი სრულიად არა აქვს შენდა.

სულ პირდაპირი გეჭიროს გეზი,
სტრიქონს ფერხორცი უბოძე ლურჯი,
რომ სხვისი სადაც მძვინვარებს ლექსი,
ნუნ შენი ლექსიც აჟღერდეს ურჩი.

რწმენა

ხმაურით გადიან წლები,
ყველაფერს მოუდის ჯერი;
იქნება ვარსკვლავი ბევრი, —
მე როცა გაქრები, მერეც.

ვიცი, რომ ჩხრიალებს ჩემში, —
შორიდან მოსული სისხლი;

ოქეში და ღრუბელი მრეში, —
ჩემამდეც რომ იყო, ვიცი.

წამების შევიცან რაზმი,
მრავალჯერ ჩამიქრეს შუქი...
სასწაულს მოვახდენ. რასმე, —
მიზანი მიზიდავს თუკი.

მე იგი მილხენდა სიყრმეს,
იგი და, არარა მეტი,
რომ ბნელი ტრამალის მიღმა, —
პატარა სინათლეს ვჭვრეტდი.

და, როცა დავხუჭო თვალი,
ქვეყანამ იცოდეს, დაე! —
ვიყავი ლაჟვარდის ალი,
ბალახი ვიყავი მწვანე.

ვართ მუდამ ერთად

ვართ მუდამ ერთად, — ჭირში და ლხინში.
ლხინი, ეჰ, ლხინი უეცრად ქრება.
ჭირი, ჭირმა კი — ხანგრძლივად იცის;
შენც სწორედ ჭირში გეკუთვნის ქება.

ხარ შემტყვებარი ცხოვრების გეზის,
ორთავეს ერთი გვაღელვებს ნატვრა...
ჯერ არ ამყრია მე გული შენზე,
შენ ყველაფერში ჩემთან ხარ რადგან.

ხანდახან, დასტურ, მიჭირდა ერთობ,
კლდეები ზათქით ცვივოდნენ ზღვაში,
კაცი მინდოდა მყოლოდა გვერდით,
და შენც ყოველთვის მშველოდი მაშინ.

მზე, მეწამული, ზოზინით ჩადის,
ვერ შევაჩერებთ — ორთავემ ეიცით...
იმედი რაა, რა არის დარდი,
თეით ზეცა რაა! — გავიგეთ ისიც.

შორად ისწრაფვის ცხოვრება ჟღერით,
შიგ ორი ფშანი ჩხრიალებს ცქვიტი,
ერთ ბედად იქცა სვე-ბედი ჩვენი,
ვარ შენთან ერთად, იყავი მშვიდად.



ᲐᲘᲡᲘ

ნაპირებს ზღვისას დაჰნათის მთვარე,
რომელიც მალე მზეს უნდა შეხვდეს.
ზღვიდან ნელთბილი უბერავს ქარი
და ძველ კედელთან, ჯერ კიდევ შაეი,
სილუეტები ირხევა ლელვთა.

დროა შუქურა ჩააქროს ვინმემ,
თვითონ რცხვენია თავისი შუქის.
მთვარე კი მაინც არ იშლის იმედს
და ლივლივებენ უხმოდ და მძიმედ
ცისკრის ნათელში ბადენი რუხი.

სახურავებზე გლარუსთა ტირილს
ხმას უწყობს ქარი — დაძრული ზღვიდან,
და გაჩენილი სწორედ ამ დილით,
ორი ღრუბელი — სრულიად ჩვილი,
პირველად ხილულ დილაში ყვინთავს.

ბეჭედი

იმ შენი მჩატე ნაბიჯის გამო —
დღემდე გრუხუნებს რომელიც ჩემში,
ვაშლის ხესავით სხეულის გამო,
როგორც ჭოლოკი რომელსაც შევრჩი.

შენგნით უთქმელი სიტყვების გამო
შენივე მზერით რომ იყო თქმული,
ვეებერთელა ალერსის გამო —
შენი ბღაოდა რომელშიც გული.

ყველაფრის გამო, რითაც კი გიგრძენ,
და შენში დღემდე რაც არის წმინდა,
ბეჭდის მაგივრად, შენს ლამაზ თითზე
ბაგეთა ჩემთა მორგება მინდა.

დუმილი

გულმა მდუმარება ისურვა.
ოთახი მყისვე
ოკეანის ვაქციე ფსკერად,
უტყვი ლანდების ტყედ ვაქციე
მაშინვე იგი,
რომ იქ გულს ჩემსას,
ვით ერთ ფოთოლს,
ეთრთოლა მხოლოდ.

კარებმა,
კიბემ,
იატაკმა,
კედლებმა,
ზარმა! —

პირზე ბოქლომი დაიდო ყველამ.
გარინდდა ქარი.
გაქვავდა ქუჩა, —
სრული დუმილი მდგარიყო რათა.

მაგრამ დუმილი არ დადგა მაინც!
არა და არა!

კვლავაც რელსებით უმოწყალოდ ვარ დაჩეხილი,
ცხელი ტყვიებით
და სიტყვებით
ვარ დაცხრილული.
ვარ ათხრილი და გადახნული
გუთნით
და ტერფით.
ჩემში უღმერთოდ გრუხუნებს ურო,
სტვენენ ბაგენი,
ხომალდები ბღავიან დილით,
ტკაცუნებს აფრა,
ჭყლოპინებენ ჩიტები ჭრელი,
მაესებს ოხვრანი,
სიმღერები,
კაეშნის ხმანი! —
ამ სასაცილო სიჩუმეში მკაფიო უფრო!

ო, არა, არა,
აღარ სუფევს დუმილი უკვე!

რომ დამაჭრდება
ბადაგი ქვევრში, —
ის მთელი ძალით
აწვება სარქველს, —
ამოისუნთქოს ხალვათად რათა
და ხელმეორედ სიმღერად იქცეს.
ნაფლეთი ღრუბლის, —
საიდანღაც ჩუმად რომ მოდის,

გზადაგზა
ელვით,
ჩხრიალით,
ქროლვით,
ფუვდება მისი ჯიქანი თეთრი.
არა, დუმილი არ არის, არა!

სად დავემალო
მე ამ ხმაურს,
ამ ხმებს უთვალავს?
გულო!
შენა ხარ ძუძუ ყველაფრის,
შენი წითელი ნიჟარაა
სათავე მათი.
და მე ისინი თან დამაქვს ყველგან.
და ვხედავ
როგორ მძიძგნიან ხოლმე,
როგორ მკლავენ და სამარიდან მიღებენ მერე,
სივრცეს ხელიდან
გოჯა-გოჯა როგორ მტაცებენ!

რომ, რაც წამართვეს,
დამიბრუნონ ხელახლა იგი.

მე ყველაფერი მაქვს

სუყველა მიდის.
მე ვრჩები მხოლოდ.
და უწიგნებო კარადა რჩება,
და ორად ორი მიხაკი რჩება,
და ერთი თეთრი ფანჯარა რჩება, —
იატაკზე რომ ჯვარს ხატავს, იგი.
ვრჩები ჰოსპიტლის ფერმკრთალ ფოთლებთან,

იქ, სადაც
ჩემმა გიჟმა სისხლმა მიხაზ-მოხაზა
მწვერვალები და მღელვარება ოკეანეთა.

სუყველა მიდის.
მე ვრჩები მხოლოდ, —
ერთი და ბევრი.
და ჩემს მთრთოლვარე უპეთა შიგნი
ბრწყინავს წითელი მიხაკი ორი.
არავის ეუხმობ.
მაქვს ყველაფერი.
თქვენი ჭირიმე,
მოგონებანო!

ო, ქვენ,
სახეებო ცოცხალთანო, გარდაცვლილთანო,
თქვენ,
მტრის მზერანო და კეთილო თვალნო ძმისანო,
თქვენ,
დიდნო სულნო ულმობელნო და ერთობ ნაზნო,
როგორც სატევრის გაფხაულის პირია ნაზი.
მომეპოვება
განშორება
და შეხვედრები,
მაღალი ცა და
დანარცხება მიწაზე ციდან,
ტანზე კოცნათა უთვალავი მაჩნია კვალი,
და ანაბეჭდი არაერთი გესლიან კბილთა.
მამშვენებს დაღი
ბორკილების — ახლის და ძველის.
მაქვს ყველაფერი.
და ვწევარ მშვიდად! —
იმ ხეხილის ბრძნული სიფათით, —
შემოდგომაზე მიწამდე რომ დახრის ნაყოფი.

ო, დალოცვილო მოგონებანო!
სუყველა მიდის.

თქვენ რჩებით მხოლოდ.
იყავით ჩემთან.
წამოვდგე რათა,
რომ ისევ ისე
გავსწორდე წელში.
საშინელია, —
თქვენ როცა არ ხართ!
ეს უწიგნებო კარადა ძველი,
ეს ყრუ ოთახი, —
ამ თეთრი ფანჯრით, —
იატაკზე რომ ჯვარს ხატავს ხოლმე,
თვით სახე ჩემი, —
ეს სახე დინჯი, —
აუტანელი იქნება ყოვლად, —
თქვენ რომ უთქვენოდ დატოვება ისურვოთ მათი.

სუყველა მიდის.
მე ვრჩები მხოლოდ.

ოთახი არის მიხაკით სავსე.

ბანაჩენი

ცხოვრებას ჩემსას,
ცხოვრება რომ არ ერქვას ძალლის! —
უნდა ჩაძალლდეს უსათუოდ ბევრი რამ ჩემში.

იმ მეგობრობას,
არ იკარებს რომელსაც სული,
და სამარცხვინოდ
არ მეთმობა რატომღაც მაინც, —
უნდა აკუგო
უპირველეს ყოვლისა წესი!

იმ მოკლე სურვილს,
მე გამიშრო რომელმაც სისხლი,
რაც მაიძულებს,
ვიყო მონა პაწია ხალხის, —

სახრჩობელასი
უკვე დროა მოვარგო ყულფი.

მზევ სტანიოლის, —
ბავშვებს მზე რომ ჰგონიხარ ნაღდი,
მეც რომ აქამდე
სწორუპოვარ მნათობად გთვლიდი, —
დღეიდან უკვე.
ბურდღა აღარ იქნება შენი.

უნდა დაგხოცოთ,
არ იქნება დანდობა თქვენი!
ცხოვრებას ჩემსას
მსურს ცხოვრება ეწოდოს კაცის.

მე ვარ ცოცხალი

მე ვარ ცოცხალი.
ხურს სითეთრემდე ჩემში ყოველი, —
რაც არის ჩემი.

მე ვარ ცოცხალი.
ძირს ვენარცხები,
მერე ვდგები და
მთელი ხმით ვკივი.
და ვკივი არა ტკივილის გამო,
რომ დავენარცხე —
იმიტომ ვკივი.

მე ვარ ცოცხალი.
ვით მსხარპანე ვცახცახებ მშვილდი.

მე ვარ ცოცხალი.
თხემით ტერფამდე ვიწვი და ვკივი.
მე ვარ ცოცხალი.
ვცახცახებ არა ცხელების გამო,
ვთრთი რისხვის გამო! —
რატომ გავჩერდი!

მე ვარ ცოცხალი.

მე ჩემში მყოფი წუთები მტანჯავს.
მე ვარ ცოცხალი.
და გზებს გაქცეულს ვადევნებ კივილს.
მე ვარ ცოცხალი.
სიცოცხლე მინდა,
სიკვდილი არ მსურს.

მე ვარ ცოცხალი.
ჩემში ვეება სამყარო ბღავის.
მე ვარ ცოცხალი,
მე ვარ ცოცხალი.

რომ არ ვიყვირო —
ვიქნები მკვდარი.

მე ვარ ცოცხალი
დიაგნოზი ისმინეთ სენის:
— მე ვარ ცოცხალი!



გაეოწვეული პასუხი

> სნობებს, ხატად და მსგავსად თვისად
> ხილვა რომ სურდათ ჩემი.

ვიფიქრებ: ვიყო ნეტავი სუსტი,
ნეტა მეც კაცი ვიყო პატარა,
რომ ვაქიციონო თქვენსავით კუდი,
ქვეყნად რომ თავის შევძლო გატანა.

გავხდები მათი ძმაკაცი დიდი, —
ჩემზე ნაკლები ვინც არის ჭკუით;
გმირია-მეთქი! — ჯაბანზე, — ვიტყვი,
ჭეშმარიტებად გავყიდი ტყუილს.

ჭკუა რამდენიც სჭირდება ამას,
იმდენი ჭკუა, მე მგონი, შემწევს;
და, როგორც სხვებზე ამბობენ, ალბათ:
— გენიაარ! — იტყვიან ჩემზეც.

თქვენ კი, რომლებიც მჩხვერთ ახლა ნემსით,
და ჩემი ტანჯვა თამაშად გიჩანთ,
წამოემხობით მაშინვე ჩემს წინ
და მიწას ცხვირით დაუწყებთ ჩიჩქნას.

აჰ, ჩემო კარგნო, რომელთაც, მჯერა,
გაქვთ გემოვნება ფაქიზი ჩემზე,
უკლებლივ ზურგზე შეგისვამთ ყველას, —
უკეთუ ჩემსას იკადრებთ ლექსებს.

მე რომ თქვენამდე გულით მოვედი,
ეჭვი არ გქონდეთ არავითარი...
რომ გავმხდარიყავ თქვენი პოეტი, —
ბრძოლაც მიტომ არ გადავიტანე?!

თქვენსას ველირსე რაკიღა ბუდეს,
თქვენი ვარ უკვე, ჩამკიდეთ ხელი...
ეს კია... რაღაც მაკლია მუდამ, —
თხემით ტერფამდე რომ გავხდე თქვენი.

მეტი არაფერი

მთელი ქვეყანა ჩემია ახლა, —
მთავარი უკვე აღარ მაქვს ნაკლი;
რაკიღა ბრიყვთან დავეხსენ კამათს
და მხდალთან ჩხუბსაც შევეშვი რაკი.

მეც,
რა თქმა უნდა,
შევმცდარვარ ჩშირად,
ვით, თავის გზებზე ვარსკვლავთა გუნდი,
მაგრამ მე მათი ის მშურს და მხიბლავს,
რომ ვარსკვლავებად კვდებიან მუდამ.

დაწვა, — წყვდიადის გაფატერა შუქით, —
მიწაზე წითლად დაშვება ციდან;
უნდა უდაოდ გავთავდე თუკი,
გარდაცვალებაც ამგვარი მინდა.

ᲛᲯᲔᲠᲐ

სამშობლოე ჩემო, ურყევად გწამდეს,
რაც გიძღვენ, გიძღვნი ორ იმდენს აწი,
შენზე ამოშდის მე მზე და მთვარე,
ხარ ვინაიდან შენ ჩემი აზრი.
სიცოცხლის გაელენ ამრიგად დღენი, —
და ჩემი მევე თუ გავხდი შემწე:
მჯერა, ოდესმე ბაგენი შენი:
— ხარ შვილი ჩემი! — იტყვიან ჩემზეც.
მე კი იმ მიწის ვიქნები ფერფლი, —
დევგმირი იშვა ურიცხვი სადაც,
ვერ მოიკიდა რომელზეც ფეხი,
ვერც მამაღმერთმა
ვერც არამზადამ.

ᲘᲡ — ᲪᲝᲪᲮᲐᲚᲘᲐ

ახალგაზრდობა
თანდათან მიდის! —
ყოველლამ ყურში ჩამძახის ვიღაც;
სახეზე ფერი გედება ფითრის
და უმეტესად ოთახში ზიხარ.

როგორ თუ მიდის?
ვიმარჯვებ მუშტებს.

თქვენ ვიღაცაში გეშლებით მგონი.
ვერ დავიჯერებ, —
კიდეც რომ მსურდეს.
ხმა ჩაიწყვიტეთ!
არ არის სწორი!

როგორ?
მე იგი დამტოვებს ნუთუ?
არა!
ის ჩემში იყო და არის!
აგერ დგას იგი, —
აბოლებს თუთუნს!
დიადი.
ლაღი.
დაუდეგარი.

და მე და იგი სულ ასე ვივლით, —
ქვეყნად ჩემი გზით დავდივარ სანამ...
სად წავა! —
როცა ამრიგად ვიწვი,
და მკლავებს ასე მიმძიმებს ძალა.

კი, მაგრამ, სისხლი რომ არ მაქვს მშვიდი?
თმაშიც რომ ერთობ ცოტა მაქვს თოვლი?
მიდის?
სად მიდის?
როგორ თუ მიდის?
ხმა ჩაიწყვიტეთ!
არ არის სწორი!

ლირიკული

გაზაფხულივით შემოხველ ჩემში,
გულზე მეძგერე ყვავილთა ფენით,
მხურვალე სუნთქვით, ციური ეშხით,
მღელვარე ნატვრით და აღმაფრენით.

ვიყავი შენი სიტურფით მთვრალი,
შენი სხეულის მადნობდა სითბო,
შენ იყავ ჩემი მზეცა და მთვარეც,
სიცოცხლე ჩემი შენ იყავ ოვითონ.

ძალმიძდა მთათა დაპყრობა დიდთა,
თვით კლდის გაპობა ძალმიძდა მკერდით,
ოღონდ შენ გეთქვა, თუნდ ერთი სიტყვა,
ოღონდ შენ მუდამ მყოლოდი გვერდით.

ვარ ახლა მარტო. ვარამი მნისლავს.
საათზე ცივი ისრები ცოცავს.
და უნდა მივცე მე ახლა ვის რა, —
შენ ჩემთან ახლოს აღარ ხარ როცა?

როცა ეზოში თქარუნებს წვიმა,
დახშული არის როდესაც კარი,
ხიდან ფოთოლი როდესაც სცვივა,
და ჩრდილოეთის უბერავს ქარი.

დღე დღეზე ასე გადის და მიდის...
არ მოხვალ, — ვიცი და მაინც გიხმობ:
— დაბრუნდი უკან, გაფანტე ბინდი, —
იმდროინდელი მომიტა სითბო!

გაზაფხულივით შემოდი ჩემში,
გულზე მეძგერე ყვავილთა ფენით,
მხურვალე სუნთქვით, ციური ეშხით,
მღელვარე ნატვრით და აღმაფრენით.

მიზეზისმიერი

ჭკუით უნდა იყოს ყველა, ჭკუით!
ჭკუამ უნდა შეაშუქოს ცაში,
თუ გვინდა რომ გადაშენდეს „უი“
და მოზღვავდეს სიცილი და „ვაშა“!

ჭკუით უნდა ვიყოთ-მეთქი, ჭკუით!

ჭკუა უნდა არა მარტო ბზუილს, —
დუმილიც არ იუარებს ჭკუას,
ღღენიადაგ უნდა ვიყოთ ჭკუით —
ცის და მიწის შუა.

ვინც არ ცხოვრობს ჭკუით,
ვინც უჭკუოდ ბზუის, —
ბოჰყავს ხოლმე ჭკუაზე
იგი ბაბაჭუასა.

ვინც ირჯება ჭკუით, —
ლევს დაიჭერს ყურით.

ს ა რ ჩ ე ვ ი

ელისაბეტა ბაგრიანა

გულის სეისმოგრაფი	5
გიზგიზა ხე	6
ინდუსტრია	7
ერთადერთი	8
სიტყვა და ექო	9

ბანჩო ბანოვი

უცნაური ამბავი, რომელიც ერთ კაცს გადახდა	11
ბიჭი და შადრევანი	13
*** („ — გალიაში გყავარ...“)	13
არწივი და კაჭკაჭი	14
საუკეთესო თანაშემწე	15

ვლადიმერ ბაშეევი

რკინა სწავლობს ფრენას	18
საათების მაღაზია	20
ასაკი	23
მოკვდები გზაში	24
გამარჯვება	25

ბიჟიდარ ბოჟილოვი

ელეგია	26
ელვა	27
მტერი	28
ატელიე	29
მიმოქცევა	30

დორა გაბე

წინააღმდეგობა	31
შეურიგებელი	32
ტელეპატია	33
დუმილი	34
სიმძიმე	35

შარკო განჩევი

ცვივიან სოფლები ქალაქებში	36
ონორე დე ბალზაკი	37
პირველნი გატყდნენ	39
ხილვადობა	40
ჟან ბატისტ მოლიერი	41

ანდრეი გერმანოვი

ყოველად კეთილი კაცი	43
თქმულება ტახტზე	45
ლონვოზის გაკაფვა	46
ხიდი	47

თამაში 48

ალექსანდრ გეროევი

ჭიქა მასტიკა 51

ერთგულება 52

დღე 52

ედელეაისი 53

საკარნავალო გროტესკა 54

ვლადიმერ გოლევი

პოეზია 55

ისხარი 56

საუბარი ჯერარშობილ ლექსთან 58

*** („მოდი, იცრუე“...) 60

ჩაფიქრება 61

ივან დავიდკოვი

იყო ერთი მხატვარი 62

პორტრეტი 64

პირველი ზღვა 65

ოლე ბაქანზე 66

სატვირთო ვაგონები 68

ათანას დალჩევი

თოელი 71

44 AVENUE DU MAINE 72

საღამო 73

შესვედრა ვაგზალზე 74

მოთხრობა 76

დამიან დამიანოვი

ავტოქრონიკა 77

ვედრება 78

რექვიემი 79

დონ კიხოტი 80

ეპილოგი 81

ლიანა დასკალოვა

ძე 82

სევდა 83

დაგვიანებათა მდინარე 83

თოვლთან გამოთხოვება 85

ბლაგა დიმიტროვა

სისწრაფე 86

ჩემს მამას 87

ზვავი 89

გამოცანა 89

დიმიტრი დუბლევი

ბალადა მანქანაზე 91

წარმოსახვა . 92
თაობის ანგარიში 93
ოდა ჩვენს თავისუფლებაზე 95
ავტობიოგრაფია 97

ევტიმ ევტიმოვი

ცეცხლი 98
ელეგია 100
სასტუმროს ანკეტა 101
მწკლარტე ღვინო 102

ნიკოლაი ფიდაროვი

*** („პარდაპირ ქრისტეს პერანგი გახდა“) 104
იასამნის კიმპალით 105
მეხსიერება 106
ხახნი 107
გაზაფხულის მოლოდინი 103

ნიკოლა ინჯოვი

მე თეთრპერანგა მივაბიჯებ დელამიწაზე 109
ნაწვიმარი ცისარტყელა 111
ბალადა დრამატულ მსახიობზე 112
*** („მიდიხარ ჩემგან“...) 112
მიმწუხრის ჟამი 113

ემლადენ ისაევი

პაემანი 115
თეთრი ტყე 116
დიდროა 116
მოვალეობა 117
სიყვარული 118

პეტრ კარაანგოვი

პოეტი 120
სტიქიონი 122
ფრანველთა მზველავი 123
არდადეგები 125
მელანქოლია სექტემბერში 126

სლავ ხრისტოვ კარასლავოვი

თეთრი თაგვი 128
ძილისპირული 129
ეპოქა 131
შვილის პირისპირ 132
გუგული 134

ნიკოლაი კინჩევი

გაგება 136
განშორება 137

თეთრი ყორანი 138
ტყეში ეიღაცა დადის 138

ლამარ (ლალიუ მარინოვი)

არწივი 140
ფიქრი 141
უსხეულო ძალა 142
ზარი 143

ლუბომირ ლევჩევი

საგაზაფხულო ხმები 145
პოზიცია 146
დღის სინათლე 148
ბინდბუნდის ბიჭები 149
მიზეზნი 151

ნიკოლა მარანგოზოვი

1923 წლის ზაფხულის ქრონიკა 152
წითელი სახლი 154
ლირიკული ლოგიკა 156
დობრუიმის კოშკის ფანტომი 157

პაველ მათევი

ტრფობა 160
მიწამ თავისი მარადი წვიმა 161
სუყველგან პირველ სიყვარულს ვეძებ 162
ეშმაკიც კია ამაღამ ცოდვა 162
განაპირობა ასაკმა, მჯერა 163
✓ ვეაღელვებს ხოლმე, წარსულთან ერთად 164

დიმიტრი მეთოდიევი

*** („მიზიდავენ და მაგდებენ“) 166
ნეფერტიტი 167
Fin d'Oise 168
პარმის საკანე 169
რას ვფიქრობდი, ტროტუარზე რომ მიმოვდიოდი 169

ალექსანდრ მილანოვი

თავისუფალი გადამღერება ანდერსენის ზღაპრისა „შიშველი ხელმწიფე“ 173
ანათემა 174
გაზაფხული 175
ნახატი 176

ალექსანდრ მურატოვი

პიკასოს მტრედი 178
გამოზაფხული 179
სმოლიანი 180

უეთუ მოკვდე 181
კარგი დღე 182

დავიდ ოვადია

კოშკი აეიგე 184
ერთ ლამაზ დილით 185
სინანული 186
ფრაგმენტი 186

კონსტანტინ პავლოვი

მასიური სასწაული 187
როგორ ვაწარმოოთ ბოროტი სულები 188
პასტორალური 189
კაპრიჩიო გოიაზე 190
პრელუდია — ობობები 190
ინციდენტი 191
მეორე კაპრიჩიო გოიასე 192

ივან აეიჩევი

გოდორეული 194
ჩრდილები 195
ღამენი 196
გაუვებრობა 197
ხმები 198

სტანკა პენჩევა

*** (დროზე შელევა") 199
ვიქნები 200
ვაშლის ბაღი 201
*** („არამც თუ თორნი") 202
ყოელად უბრალო თანამდებობა 202
შეშფოთება 204

ვალერი პეტროვი

საკაზაუსულო 207
სასიხარულო წერილები 208
ჯეშმარიტება 209
გრძნობა 211
ბედნიერება 211

დობრი ჟოტევი

მხიარული ზღაპარი სიცრუეზე 213
დიოგენი 216
რობოტთან შესეედრა 218
ორი გიჟი 220
წალაპარაკება საკუთარ პასპორტთან 221

ხრისტო რადევსკი

ვითარცა წვიმა 224
✓სიცილი 225

(„ღღეა“...) 226
შემოღვომა 227
ჩემს შვილს 228

ივან რაღოევი
როდესაც ეჩნდებით 230
ბედნიერნი 231
ანკესიანი მოხუცი იტალიელი და ღვინია 233
როდესაც ვკვდებით 234
ᲮᲑარის სოღლები 235

ვიტო რაკოვსკი
მოძებნას ჩემსას ისურვებ თუკი 237
ხანდაზმული მამაკაცი, ახალგაზრდა ქალი და ზღვიერი
სხვასხვა რამ... 239
ექიმის ცოლი 241
შეგრძნება 243
იჩქითი ქარი 243

რადო რალინი
როგორ იწყება და როგორ თავდება დღე 245
სურათი 246
ადამიანები და წიგნები 247
სწრაფეა 248
მელაპარაკება ყველაფერი 249

გეორგი სვეტინი
ინტიმური 251
უკანასკნელი წერილი 252
თქეში 254

ხრისტო სტანიშევი
ოვიდიუსის მონოლოგი 255
რეპლიკა 256
ანტიომი 257

ლილიანა სტეფანოვა
საწყისი 258
ზაფხული 260
ულამაზო მამაკაცი 261
უანგარობა 262
დღეო, ნუ წახვალ 264

ნევენა სტეფანოვა
წამი 266
აბსურდული პარიზი 268
ნაპირზე 269
უგუნურება 270
შთავონება 271

პირვან სტეფანოვი

სინაზე	273
სურათი	274
ბავშვი	274
თეთრი ფრინველი	275
შეკითხვები	275

ანასტას სტოიანოვი

ბულგარეთი	278
*** („ჩემი პატარა...“)	280
ვან კლიბერნი ასრულებს ჩაიკოვსკის	282
ლოცვა	284
გულმა სიმღერა დაკოვა თუკი	285
განშორება	286

ხრისტო ფოტევი

ნება მიბოძე	288
*** („ზღვას თუკი ეარსალა...“)	289
პატარა ბალადა დიდ მდინარეზე	290
ახლა ღამენი მინასავით არიან ციენი	291
ჩემს შვილს	292

ნიკოლა ფურნაჯიევი

ცხენოსნები	294
გაზაფხული	295
მღვიძარება	295
რწმენა	296
ვართ მუდამ ერთად	297

ვესელინ ხანჩევი

აისი	299
ბეჭედი	300
დუმილი	300
მე ყველაფერი მაქვს	302
განანენი	304
მე ვარ ცოცხალი	305

ვეორგი ჯაგაროვი

გამოწვეული პასუხი	307
მეტი არაფერი	308
მჯერა	309
ის — ცოცხალია	309
ლირიკული	311
მიზეზისმიერი	312

АНТОЛОГИЯ СОВРЕМЕННОЙ БОЛГАРСКОЙ ПОЭЗИИ

(На грузинском языке)

Издательство «Мерани»
пр. Руставели, 42
Тбилиси
1989

მხატვარი რ. მახარაძე
მხატვრული რედაქტორი ს.ჰ. ცინცაძე
ტექნიკური რედაქტორი ო. კაპანაძე
კორექტორები: თ. ფირცხალავა, ნ. ლომაძე.
გამომშვები ნ. ხაეთასი.

ს. ბ. 3672

ნაბარდა წარმოებას 7.08.89 წ. ხელმოწერილია საბეჭდად 21.11.89 წ. ფორმატი 84×108 1/32. ქაღალდი საბეჭდი საწიგნე-საჟურნალო. გარნიტურა ივერია. ბეჭდვა მაღალი. პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 16,8. სააღრიცხვო-საგამომცემლო ფურცელი 13. პირობითი საღებავ-ვატარება 16,8. ტირაჟი 2.000. შეკვეთა № 1629.

ფასი 2 მან.

გამომცემლობა „მერანი", რუსთაველის პრ. 42. თბილისი 1989.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი თბილისის ი. ჭავჭავაძის სახ. წიგნის ფაბრიკა, მეგობრობის გაზ. № 7.

Тбилисская книжная фабрика им. И. Чавчавадзе Государственного комитета Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли пр. Дружбы № 7.